საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.ge
№29 (264)
6 – 12 აგვისტო, 2014

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## მართლმადიდებლობა — ყველაზე დევნილი რელიგია 11

# ბრალდებული ჯამბაზი



5 სააკაშვილი ვერ მოიქცევა ისე, როგორც ძველი ყაიდის ზოგიერთი დიქტატორი დახვრეტის წინ: «გულში მესროლეთ, ჯარისკაცებო! გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს!», ასე მას არ შეუძლია. ბოლო დროს ის ჯამბაზივით იქცევა

## რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების მესამე პაკეტი ამოქმედდა — ვინ დარჩება ნაგებული? 12

## უკრაინა 2014: სახელმწიფო გადატრიალების ტექნიკა შარპის მიხედვით 13

## ვინ წამოიწყო 2008 წლის აგვისტოს ომი და რატომ არავინ აგო პასუხი მის შედეგებზე? 14

## «სააკაშვილი რომ ამაყობს თავისი შვილებით, მათი განათლებით და ამბობს, ძალიან მენატრებაო, მეც მენატრება ჩემი შვილი 9

## ფაშიზმი უკრაინული აქცენტით

დასავლეთისგან წაქეზებულმა უკრაინელმა ნაციონალისტებმა სისასტიკით წინამორბედებსაც გადააჭარბეს. ასეთი მხეცობა ფაშისტ ბანდერასაც კი არ ჩაუდენია... 16




## რუსეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შეჩერება საქართველოსთვის მძიმე შედეგების მომტანი იქნება 4

## ვინ და რატომ ცდილობს სომეხი სასულიერო პირის დანაშაულის მიჩქმალვას?



„წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, ერევანში, ეჩმიაძინში ქართველ სასულიერო პირს იარაღიდან სროლა რომ აეტეხა. სომხები მას სასტიკად დასჯიდნენ და მართალნიც იქნებოდნენ...“ 10

## 7 ექსპრეზიდენტი, რომლებიც ციხეში გამოამწყვდიეს 21

## სააკაშვილს ბრალი აგვისტოს ომის გამოც უნდა წაუყენონ 8

## 26 ალკოჰოლი, ნარკოტიკები და თავისუფალი სექსი, ანუ ყველაფერი «კაზანტიპის» შესახებ

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ევროპაში ელექტროენერგიის ფასი სარეკორდოდ გაიზარდა



**ევროპის ბაზარზე ელექტროენერგიის ფასი იზრდება. ამ დინამიკას ექსპერტები რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციებით ხსნიან.** 2014 წლის ივლისის მონაცემებით, კონტრაქტები 2015 წელს ელექტროენერგიის მიწოდებაზე გერმანიაში 2,2%-ით გაძვირდა, საფრანგეთში — 1,3%-ით, სკანდინავიაში (ფინეთს, შვედეთს, ნორვეგიასა და დანიას ელექტროენერგიის საერთო ბაზარი აქვთ) — 4,8%-ით. ეს ელექტროენერგიაზე ფასების ზრდის სარეკორდო მაჩვენებელია ბოლო 10 წლის განმავლობაში. ევროკავშირის მიერ რუსეთის წინააღმდეგ შემოღებული სანქციები მიზეზი შეიქნა ფასების მომატებისა ბუნებრივ აირსა და ქვანახშირზე. ეს ენერგომატარებლები ძირითადი წყაროა ევროპული კომპანიებისთვის, რომლებიც ელექტროენერგიას გამოიმუშავებენ. ეს კომპანიები კი რუსეთზე არიან დამოკიდებულნი, რადგან ენერგომატარებლების მიწოდება რუსეთიდან ხდება.



## ანაკლიაში «კაზანტიპის» საწინააღმდეგო აქცია გაიმართება

**სასულიერო პირების ორგანიზებით, 14 აგვისტოს ანაკლიაში „კაზანტიპის“ საწინააღმდეგო აქცია გაიმართება, — განაცხადა არქიმანდრიტმა, მამა ანთიმოზმა. მისი თქმით, აქცია მშვიდობიანი იქნება და მის ჩასატარებლად ეკლესია და მრევლი უკვე ემზადებიან.**

„14 აგვისტოს ანაკლიაში დაგეგმილია დიდი აქცია. ხალხმა არ იცის „კაზანტიპი“ რას ნიშნავს. მეც უბრალო გართობა მეგონა და სერიოზულად ჩავიხედე, სერიოზულად წავიკითხე მათი კონსტიტუცია, ვნახე კადრები და გავოცდი. ეს არის ყველაფრის თავისუფლება — ნარკოტიკის, სექსის, პორნოგრაფიის. თავიანთი კონსტიტუცია და წესები აქვთ, თავიანთი პრეზიდენტი ჰყავთ, რომელიც იძახის, რომ ჯადოქარი ვარო. ეს არის მსხვერპლშეწირვა. ამბობენ, რომ ნარკოტიკი და სექსი არ იქნებაო. ამას მნიშვნელობა არ აქვს, ეს არის ეშმაკზე მსხვერპლშეწირვა“, — აღნიშნა მამა ანთიმოზმა.

არქიმანდრიტ ანთიმოზის შეფასებით, რაც მოხდა 17 მაისს და რაც ხდება „კაზანტიპზე“ — ეს არის საქართველოსთვის თავსმოხვეული იდეოლოგია.



## საავტომობილო გაზი გაძვირდა

**თითქმის ყველა კომპანიაში გაზის ფასი 5 თეთრით გაიზარდა და 1.10 ლარი შეადგინა, ხოლო „სოკარში“ — 98 თეთრიდან 1.09-მდე. ფასებზე ცვლილება 3-4 დღის წინ დაიწყო. ეს, თბილისელი მძღოლების აზრით, ცუდად აისახება ყველაზე.**

„ისედაც გვიჭირს ბენზინისა თუ გაზის ჩასხმა და მისი გაძვირება არავისთვის იქნება კარგი, განსაკუთრებით ჩვენთვის, ტაქსის მძღოლებისთვის“, — განაცხადეს მძღოლებმა.

ბუნებრივი აირით მოსარგებლეთა ასოციაციის ხელმძღვანელის — იმედა დვალიძის თქმით კი, იმ შემთხვევაში, თუ ფასების ზრდა არ მოხდება, ძალიან ბევრ კომპანიას გაკოტრება დაემუქრება.

„ფასების მატება რომ არ მომხდარიყო, ბევრი კომპანია იძულებული გახდებოდა, გაჩერებულიყო და გაკოტრდებოდნენ. სხვა გამოსავალი კომპანიებს, ბაზრის სიტუაციიდან გამომდინარე, აღარ ჰქონდათ. ის ზრდა, რომელიც მინიმალურია, აუცილებელია იმისთვის, რომ კომპანიებმა განაგრძონ არსებობა, დაფარონ ვალდებულებები და ხარჯები“, — აღნიშნა დვალიძემ.

# მიხეილ სააკაშვილს ბრალი დაუმძიმდა



**მიხეილ სააკაშვილს, ვანო მერაბიშვილსა და ერეკლე კოდუას ახალი ბრალდება ყოფილ პარლამენტარ ვალერი გელაშვილის ცემის ფაქტზე წარედგინათ. სააკაშვილთან ერთად, სისხლის სამართლის პასუხისგებაში შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ვანო მერაბიშვილიც მიეცა.**



„პარლამენტის წევრ ვალერი გელაშვილზე 2005 წელს მომხდარი შეიარაღებული თავდასხმის და მისი ცემის საქმეზე საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ მხილებულ იქნენ ამ დანაშაულის ორგანიზატორები: საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ივანე მერაბიშვილი. აქედან გამომდინარე, საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ გამოტანილ იქნა დადგენილებები მიხეილ სააკაშვილისა და ივანე მერაბიშვილის ბრალდებულების სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის თაობაზე.

გამოძიებით დადგინდა შემდეგი: 2005 წლის 29 ივნისს გაზეთ „რეზონანსში“ გამოქვეყნდა საქართველოს პარლამენტის იმჟამინდელი წევრის — ვალერი გელაშვილის სტატია სათაურით „ვალერი გელაშვილი თავის სახლს სააკაშვილს დაუთმობს“. აღნიშნულ სტატიაში ვალერი გელაშვილი გამოთქვამდა უკმაყოფილებას მოქმედი პრეზიდენტის მიმართ, კერძოდ, იმასთან დაკავშირებით, რომ მას წაართვეს ქონება, რომლის ღირებულებასაც არ უნაზღაურებდნენ. ამავე სტატიაში მან შეურაცხმყოფელი ფორმით ისაუბრა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პირად ცხოვრებაზე. აღნიშნული სტატიის გამოქვეყნების შემდეგ, მიხეილ სააკაშვილმა, ვალერი გელაშვილის სამაგალითოდ დასჯის მიზნით, პირადი შურისძიების მოტივით, საქართველოს თავდაცვის იმჟამინდელ მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილს დაავალა, მოეხდინა ვალერი გელაშვილის მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორება, რაზეც ირაკლი ოქრუაშვილისაგან უარი მიიღო. შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა ვალერი გელაშვილის ფიზიკური ანგარიშსწორება დაავალა საქართველოს შინაგან საქმეთა იმჟამინდელ მინისტრს — ივანე მერაბიშვილს. დავალების მიღების შემდეგ ივანე მერაბიშვილმა მის დაქვემდებარებაში მყოფი სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის დირექტორის — ერეკლე კოდუას ორგანიზებით უზრუნველყო მიხეილ სააკაშვილის დავალების ზედმიწევნით შესრულება, რომელიც განხორციელდა 2005 წლის 14 ივლისს. სოდ-ის ოპერატიულმა თანამშრომლებმა და შეიარაღებული სპეციალური რაზმის მებრძოლებმა თბილისში, მირცხულავას ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე გადაადგილებისას მოახდინეს ვალერი გელაშვილის მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანის ბლოკირება, რის შემდეგაც თავს დაესხნენ ვალერი გელაშვილს და მის თანმხლებ პირებს. ერეკლე კოდუას დავალებითა და სოდ-ის სამმართველოს უფროსის — გიორგი სირაძის ხელმძღვანელობით მოქმედმა სპეციალური რაზმის მებრძოლებმა ძალის გამოყენებითა და ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით ავტომანქანიდან თანმხლებ პირებთან ერთად გადმოიყვანეს ვალერი გელაშვილი, დააწვინეს ასფალტზე და იარაღის კონდახებით სასტიკად ცემეს.

დანაშაულებრივი ქმედების შედეგად ვალერი გელაშვილმა მიიღო ქალა-ტვინის ტრავმა, სახის ძვლების მრავალი მოტეხილობა, ნახეთქი ჭრილობა ცხვირისა და შუბლის არეში, ზედა და ქვედა ყბის ძვლების მოტეხილობა.

ვალერი გელაშვილის მიმართ ძალადობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო 2005 წლის 14 ივლისს, თუმცა იმ პერიოდში საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად არ განხორციელებულა არც ერთი ქმედითი საგამოძიებო მოქმედება და 2013 წელს საქმეზე გამოძიების განახლებამდე აღნიშნული საქმე გაუხსნელი იყო.

ხსენებულ ფაქტზე 2014 წლის 24 აპრილს პასუხისგებაში მიეცნენ ერეკლე კოდუა და გიორგი სირაძე სსკ-ის 333-ე მუხლის მესამე ნაწილით, აგრეთვე, 237-ე მუხლით, და ვინაიდან თავს არიდებენ გამოძიებას, მათ მიმართ გამოცხადებულია ძებნა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ საქართველოს პარლამენტის წევრის — ვალერი გელაშვილის ცემის ფაქტი საქართველოს პროკურატურის მიერ გახსნილია და ამ დანაშაულისთვის ბრალდებები გამოტანილია მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ერეკლე კოდუასა და გია სირაძის მიმართ.

მიხეილ სააკაშვილისა და ივანე მერაბიშვილის მიმართ გამოძიება გრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილით, რომელიც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3 დან 8 წლამდე ვადით“, — ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

## «ალ ქაიდას» ევროკავშირის ქვეყნები აფინანსებდნენ?

**ევროკავშირის მოქალაქეების გატაცება, გამოსასყიდის მიღების მიზნით, „ალ-ქაიდას“ მებრძოლებისთვის იქცა ნამდვილ ბიზნესად, რომელიც სუბსიდიებს იღებს მსოფლიოს ბევრი სახელმწიფოდან.**

„ევროპის ისტებლიშმენტს არა ერთხელ განუცხადებია, რომ უარს ამბობს მძევლების გასათავისუფლებლად ტერორისტებისთვის ფულის გადახდაზე, მაგრამ ამერიკელი ჟურნალისტების მიერ ჩატარებულმა გამოძიებამ ცხადყო, რომ 2008 წლიდან დღემდე „ალ ქაიდამ“ ამ შემოსავლიანი ბიზნესით, სულ ცოტა, 125 მლნ დოლარი გამოიმუშავა.

საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაცია „ალ ქაიდას“ ხელმძღვანელობა ევროპის სახელმწიფოების ხელისუფლებისგან მალულად ფინანსდებოდა, რაც დაფარული იყო მძევლების გათავისუფლებისთვის გადახდილი დიდძალი თანხით“, — წერს ამერიკული გამოცემა The New York Times-ი. გაზეთის მიერ მოპოვებული მონაცემებით, 2008 წლიდან დღემდე ისლამისტმა ტერორისტებმა ევროპიდან, სულ ცოტა, 125 მლნ დოლარი მიიღეს.



ამ თანხიდან 66 მლნ მხოლოდ 2013 წელს გადაუხადეს.

როგორც გაზეთი წერს, ჟურნალისტური გამოძიების შედეგად გაირკვა, რომ ორგანიზაციის დაფინანსება და მისი მებრძოლების წვრთნა მძევლად აყვანილი ევროპელების გამოსასყიდი თანხით ხდებოდა. ამრიგად, ევროკავშირი თავისებური ხელშემწყობი იყო „ალ ქაიდასი“.

**გამოცემა აღნიშნავს, რომ დღეს ადამიანების გატაცების ბიზნესი ყვავის — თუკი 2003 წელს მძევლის გათავისუფლებაში გამტაცებლები 200 ათას დოლარს იხდიდნენ, დღეს გამოსასყიდის ფასი 10 მლნ დოლარია.**

## ლატვიის ეკონომიკის მინისტრი: რუსეთის მხრიდან სანქციების დაწესება ლატვიას დაანგრევს

**დასავლეთის მიერ რუსეთისთვის დაწესებული სანქციების ფონზე ლატვიის ეკონომიკის მინისტრი შეშფოთებულია. რა მოხდება, რუსეთმა სანქციებს სანქციებითვე რომ უპასუხოს?!**

უკრაინის გარშემო განვითარებულმა პროცესებმა გამოძახილი ლატვიაშიც ჰპოვა — მაისში, რუსეთისთვის სანქციების დაწესებამდე, ლატვიის ექსპორტის მოცულობა რუსეთში 16%-ით შემცირდა.

ლატვიის ეკონომიკის მინისტრს — ვიაჩესლავ დომბროვსკის მიაჩნია, რომ რუსეთის საპასუხო რეაქცია ლატვიისთვის დამანგრეველი იქნება.

ლატვიის ტელეარხ LTV-სთვის მიცემულ ინტერვიუში დობროვსკიმ განაცხადა, რომ იმედი აქვს, ლატვიის მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობა 10%-ზე მეტით არ შემცირდება. თუმცა კარგად აცნობიერებს იმას, რაც მის ოკეანისგაღმელ პარტნიორებს არ აღელვებთ: **სანიტარული ნორმების მოშველიებით მოსკოვს შეუძლია, ლატვიის კვების მრეწ-**



**ველობა დააჩოქოს, საკვები პროდუქტები კი ლატვიის ექსპორტის ნახევარია, ლაპარაკი არ არის ტრანზიტსა და ენერგომატარებლებზე.**

„ამერიკელი პოლიტიკოსები და ექსპერტები გამოდიან წინადადებით, რომ ალიანსში მიიღონ არა მხოლოდ უკრაინა, არამედ საქართველოც, მოლდოვაც, სომხეთიც, ბოსნიაც და ჰერცოგოვინაც, ფინეთიც, კოსოვოც, მაკედონიაც, ჩერნოგორიაც და შვედეთიც, გარდა ამისა, განიხილავენ ნატოს აზიაში გაფართოებასაც და ეს საშინელი შეცდომაა“.

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# Forbes: აშშ-ის გეგმები ნატოს გაფართოების თაობაზე «სტრატეგიული უგუნურებაა»!

**აშშ-ის გლობალური გეგმები ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გაფართოების შესახებ „სტრატეგიული უგუნურებაა“, — ამტკიცებს პოპულარულ ჟურნალ „ფორბსში“ გამოქვეყნებული სტატიის ავტორი, კატონის უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელი დაგ ბენდოუ.**

ამერიკელი პუბლიცისტი გაკვირვებას ვერ მალავს, რომ ვაშინგტონი მზად არის, ომი გააჩაღოს ამერიკისგან შორს მდებარე ქვეყნების გამო, რომლებსაც აშშ-ის უსაფრთხოებაზე გავლენის მოხდენა არ შეუძლია.

„ევროპული ქვეყნები არ ჩქარობენ რუსეთთან კონფრონტაციას იმიტომ, რომ ეს მათ ხელს არ აძლევთ ეკონომიკური თვალსაზრისით, — წერს დაგ ბენდოუ, — აი, ვაშინგტონი კი, რომელსაც ყველაზე ნაკლებად ემუქრება უკრაინის კონფლიქტი, ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებაზე ფიქრობს. **ამერიკელი პოლიტიკოსები და ექსპერტები გამოდიან წინადადებით, რომ ალიანსში მიიღონ არა მხოლოდ უკრაინა, არამედ საქართველოც, მოლდოვაც, სომხეთიც, ბოსნიაც და ჰერცოგოვინაც, ფინეთიც, კოსოვოც, მაკედონიაც, ჩერნოგორიაც და შვედეთიც. განიხილავენ ნატოს აზიაში გაფართოებასაც და ეს საშინელი შეცდომაა“.**

ბენდოუ მიიჩნევს, რომ ნატოს გაფართოებით, აშშ პრობლემებს იმატებს და თავის უსაფრთხოებას ვერ უზრუნველყოფს. ავტორი ასკვნის, რომ ვაშინგტონს „სტრატეგიული უგუნურება“ სჭირს.

ვაშინგტონმა ევროპას უნდა დაუბრუნოს შესაძლებლობა, დაკავდეს საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფით. **არ არსებობს მიზეზი, რომლის გამოც ამერიკელებმა უნდა იბრძოლონ პაწაწინა ჩერნოგორიისა და კოსოვოსთვის, შორეული და უცნობი სომხეთისთვის, აგრეთვე, საკუთარ ტერიტორიაზე კონფლიქტების ხშირად წარმომქმნელი უკრაინისა და საქართველოსთვის!“** — წერს **დაგ ბენდოუ.**


დაგ ბენდოუ




**«არ არსებობს მიზეზი, რომლის გამოც ამერიკელებმა უნდა იბრძოლონ პაწაწინა ჩერნოგორიისა და კოსოვოსთვის, შორეული და უცნობი სომხეთისთვის, აგრეთვე, საკუთარ ტერიტორიაზე კონფლიქტების ხშირად წარმომქმნელი უკრაინისა და საქართველოსთვის»**

# ვილი ვიმერი: აშშ-ის მიზანი რუსეთის ბუნებრივ რესურსებზე კონტროლის დამყარებაა!

**ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარის ყოფილმა მოადგილემ ახსნა, რასთან არის დაკავშირებული აშშ-ის პრეტენზიები რუსეთთან. „ამას საფუძვლად უდევს აშშ-ის მიერ ჯერ კიდევ 1990-იან წლებში აღებული საგარეოპოლიტიკური კურსი, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ რუსეთს არაფერზე შეუთანხმდნენ, ამის ნაცვლად აღმოსავლეთით თავიანთი გავლენის სფერო გააფართოვონ, გააფართოვონ ნატო და ყველაფერი გააკეთონ რუსეთის საწინააღმდეგოდ,“ — განაცხადა ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარის ყოფილმა მოადგილემ ვილი ვიმერმა ტელეარხ „Russia Today“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.**

დასავლეთი აწარმოებს პოლიტიკას, რომლის მიზანიც რუსეთის ბუნებრივ რესურსებზე კონტროლის დამყარებაა. ამის ნათელი მაგალითია „იუკოსის“ საქმე და მოვლენები უკრაინაში.

აშშ ყოველ დღეს რუსეთისადმი ბრალდებების გამოთქმით იწყებს და ამითვე ამთავრებს. ეს არის ბრალდებების ნიაღვარი. ამერიკელებს სურთ, დასავლეთის საზოგადოებრიობა მიეჩვიოს აზრს, რომ რუსეთი რაღაცაში ყოველთვის დამნაშავეა! ევროპელებისთვის ეს არის ილუსტრაცია იმისა, როგორ არის მოწამლული საერთაშორისო ურთიერთობები. **ამას საფუძვლად უდევს აშშ-ის მიერ ჯერ კიდევ**


ვილი ვიმერი

**1990-იან წლებში აღებული საგარეოპოლიტიკური კურსი, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ რუსეთს არაფერზე შეუთანხმდნენ, ამის ნაცვლად აღმოსავლეთით თავიანთი გავლენის სფერო გააფართოვონ, გააფართოვონ ნატო და ყველაფერი გააკეთონ რუსეთის საწინააღმდეგოდ.**

„იუკოსის“ საქმეს პოლიტიკური სარჩული უდევს. მე შევხვდი გერმანელ თანამდებობის პირებს გერმანიის საელჩოში მოსკოვში, და მათ საინტერესო რამ მითხრეს: **ხოდარკოვსკი და მისი მეგობრები ცდილობდნენ, რუსეთის ნავთობისა და გაზის რესურსები აშშ-ის საფინანსო წრეებისთვის მიეყიდათ.** ვფიქრობ, გარემოებების გათვალისწინებით, რუსეთის ხელისუფლების მოტივი ყველასათვის გასაგებია: **რატომ უნდა დათანხმდეს რუსეთი იმას, რომ მის ენერგორესურსებს უოლსტრიტი განკარგავდეს? სწორედ ეს უდევს საფუძვლად დღევანდელ დაპირისპირებას, რომელსაც პრინციპული ხასიათი აქვს. ჩემი აზრით, ის, რაც დღეს უკრაინაში ხდება, იმავე პოლიტიკის გაგრძელებაა ლონდონისა და ნიუ იორკის მხრიდან.** აშშ-ის საგარეო პოლიტიკის მიზანი რუსეთის ბუნებრივ რესურსებზე კონტროლის დამყარებაა. ეს სურვილი ხომ არასოდეს დაუმალავს აშშ-ის ყოფილ სახელმწიფო მდივან მადლენ ოლბრაიტს, რომელმაც თავის დროზე განაცხადა, რუსეთის რესურსები — არა მხოლოდ ნავთობისა და გაზის — რუსეთის გარდა, სხვა სახელმწიფოებმაც უნდა გააკონტროლონო. ასე რომ, ეს ისტორია თავიდანვე პოლიტიკური შეფერილობისაა და მიმართულია რუსეთის წინააღმდეგ.

**«ეს სურვილი ხომ არასოდეს დაუმალავს აშშ-ის ყოფილ სახელმწიფო მდივან მადლენ ოლბრაიტს, რომელმაც თავის დროზე განაცხადა, რუსეთის რესურსები — არა მხოლოდ ნავთობისა და გაზის — რუსეთის გარდა, სხვა სახელმწიფოებმაც უნდა გააკონტროლონო»**



# ილჰამ ალიევი: ნუთუ ყველა სახელმწიფო, რომლებშიც სომხები ცხოვრობენ, სომხეთად უნდა იქცეს?!

**აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევის განცხადებით, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი რეგიონს საფრთხეს უქმნის. ამის შესახებ მან ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საზაფხულო სესიაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.**

„სახელმწიფოები ყარაბაღის კონფლიქტს „გაყინულს“ უწოდებენ, თუმცა ის სულაც არ არის გაყინული. კონფლიქტი მოსაგვარებელია. მთიანი ყარაბაღი ისტორიულად აზერბაიჯანული მიწაა. სომხები იქ 200 წლის წინათ ჩავიდნენ. სომხური საოკუპაციო ჯარების მიერ განადგურებულია ისტორიული აზერბაიჯანული ძეგლები, აზერბაიჯანის ტერიტორიის 20% კვლავ ოკუპირებული რჩება,“ — განაცხადა ალიევმა.

მისივე თქმით, აზერბაიჯანელებს არ აქვთ შეუთავსებლობა სხვა ხალხებთან. სომხებს კი მიაჩნიათ, რომ ისინი შეუთავსებლები არიან აზერბაიჯანელებთან. ამ პოლიტიკის შედეგად, სომხეთის მოსახლეობის 99,9% სომეხია, სხვა ეროვნების ადამიანებმა კი ეს ქვეყანა დატოვეს. ილჰამ ალიევმა ხაზი გაუსვა, რომ სომხებს აქვთ საკუთარი სახელმწიფო, რომელიც აზერბაიჯანმა ერთ-ერთმა პირველმა აღიარა. ახლა კი ახალ თვითდამკვიდრებაზე საუბრობენ. „ნუთუ ყველა სახელმწიფო, რომლებშიც სომხები ცხოვრობენ, სომხეთად უნდა იქცეს?!“ — გაკვირვებით აღნიშნა პრეზიდენტმა.

სიტყვით გამოსვლისას აზერბაიჯანის პრეზიდენტმა მოუწოდა საერთაშორისო თანამეგობრობას, უარი თქვან ორმაგ სტანდარტებზე და ხელი შეუწყონ მრავალწლიანი კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებას.

# მთიან ყარაბაღში ვითარება ნებისმიერ მომენტში შეიძლება ომში გადაიზარდოს

**სომხეთის თავდაცვის მინისტრ სეირან ოგანიანის განცხადებით, მთიან ყარაბაღში, აზერბაიჯანისა და სომხეთის შეიარაღებული ძალების შეხების ხაზზე ვითარება კვლავ დაძაბულია.** სომხეთის თავდაცვის მინისტრის აზრით, ნებისმიერი პროვოკაცია შეიძლება ომში გადაიზარდოს, თუმცა ჯერ ფართომასშტაბიანი დაპირისპირების საფუძველი არ ჩანს.

აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების მესამე საარმიო კორპუსის მეთაურის, გენერალ-ლეიტენანტ როვშან აკპეროვის განცხადებით, ბოლო დღეებში მოკლულია 71 სომეხი სამხედრო მოსამსახურე, დაჭრილი — 80, აზერბაიჯანმა კი 13 სამხედრო დაკარგა.

სომხეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტები მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებით საკითხის განსახილველად ერთმანეთს 8-9 აგვისტოს სოჭში შეხვდებიან. შეხვედრა რუსეთის შუამავლობით გაიმართება.

მთიანი ყარაბაღის საკამათო სტატუსი — ეს არის შედეგი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის 1980-იანი წლების ბოლოს დაწყებული კონფლიქტისა, რომელიც 1994 წლის მაისამდე გაგრძელდა. უკვე 20 წელიწადია, ეს ორი ქვეყანა კონფლიქტის მოგვარებას ცდილობს რუსეთის, საფრანგეთისა და აშშ-ის შუამავლობით.

ეკონომიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ხელისუფლება ხშირად ამბობდა, რუსეთთან ურთიერთობას ვაგვარებო, — ეს ბევრმა დაიჯერა და აიღო კრედიტი იმ იმედით, რომ საქონლის რეალიზაციას რუსეთის ბაზარზე მოახერხებდა. წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში აღმოჩნდება ის, ვისაც ასიათასობით და მილიონობით კრედიტი აქვს აღებული".**

# რუსეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შეჩერება საქართველოსთვის მძიმე შედეგების მომტანი იქნება

**რუსეთმა საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება შეაჩერა, რომელიც, ექსპერტთა აზრით, რუსეთის ბაზარზე ქართული პროდუქციის გაძვირებას გამოიწვევს და, შესაძლოა, მისი ექსპორტირებაც გაართულოს. როგორ აისახება ეს ყველაფერი ქართული პროდუქციის კონკურენტულობაზე და როგორ უნდა იმოქმედოს საქართველოს ხელისუფლებამ ფინანსური ზარალის ასაცილებლად? — ამ საკითხებზე „საქართველო და მსოფლიო" ეკონომიკის ექსპერტებს ესაუბრა.**






**მამუკა ჩხეიძე, ეკონომიკის საკითხების ექსპერტი:**

— რუსეთმა საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება შეაჩერა, რაც ჩვენი ქვეყნისთვის კარგი, რა თქმა უნდა, არ არის. ვფიქრობ, ეს მხოლოდ პირველი სიგნალია და **მომავალში, შესაძლოა, ქართული პროდუქციისთვის რუსეთის ბაზარი საერთოდ დაიხუროს.** სამწუხაროდ, პოლიტიკა და ეკონომიკა ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული, ამას მსოფლიო პრაქტიკაც ადასტურებს. მაგალითად, ვიცით, რომ რუსეთმა უკრაინული პროდუქციისთვის თავისი ბაზარი დახურა და დასავლეთმა რუსეთის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციები დააწესა. ისტორიული მაგალითის მოყვანაც შეიძლება: 50 წელიწადზე მეტია, ამერიკას ეკონომიკური ბლოკადა აქვს კუბისთვის გამოცხადებული. „ნაციონალურმა მოძრაობამ" საქართველო რუსეთთან ომის, დაპირისპირების არიერგარდად აქცია. ვფიქრობ, ეს უბედურებაც აქედან დაიწყო.

ახალი ხელისუფლება აცხადებდა, რომ რუსეთთან ურთიერთობას მოაგვარებდა, თუმცა, როგორც ახლა გაირკვა, მოგვარებული არაფერია.

**— ჯერ კიდევ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამდე ჩვენს გაზეთთან ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ აუცილებელია, საქართველომ მთავარ ექსპორტიორ რუსეთთან პარალელურ რეჟიმში აწარმოოს მოლაპარაკება, რათა რუსეთის ბაზარი კვლავ არ დაიხუროს საქართველოსთვისო. ასე რომ არ მოხდეს, ხელისუფლება რაიმე ზომას თუ მიმართავს?**

— რასაკვირველია, რუსეთის მხრიდან საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შეჩერება პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, თუმცა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის საკითხი, ეკონომიკური თვალსაზრისით, შესაძლოა, ისე დარეგულირდეს, რომ ამით რუსეთის ბაზარს არაფერი დაემუქროს. როგორც აღვნიშნე, სამწუხაროდ, ეკონომიკა პოლიტიკის გატარების ერთ-ერთი იარაღია. ვითარება კიდევ უფრო დაამძიმა იმან, რომ ახალმა ხელისუფლებამ იმედიანად განაწყო ბიზნესმენები. **ხელისუფლება ხშირად ამბობდა, რუსეთთან ურთიერთობას ვაგვარებო. ეს ბევრმა დაიჯერა და აიღო კრედიტი იმ იმედით, რომ საქონლის რეალიზაციას რუსეთის ბაზარზე მოახერხებდა. წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში აღმოჩნდება ის, ვისაც ასიათასობით და მილიონობით კრედიტი აქვს აღებული.** ჩვენი მთავრობა კი აცხადებს, საბაჟო ტარიფს დავაწესებთ და ბიუჯეტში მეტი თანხა შემოვაო.

**— ხელისუფლება ამბობს, რომ დიდი ფინანსური ზარალი არ მიადგება საქართველოს. აცნობიერებს კი ხელისუფლება ვითარებას?**

— საქართველოს წლიური ექსპორტის 9%-ზე მეტი რუსეთზე მოდის და აღსანიშნავია, რომ ეს 9% მოიცავს ყველა იმ საქონელს, რომლებიც საქართველოშია წარმოებული და არ არის რეექსპორტირებული. ამ 9%-ის შესაქმნელად ქვეყანაში უამრავი ადამიანია დასაქმებული და, როგორც უკვე აღვნიშნე, ბევრმა კრედიტი აიღო იმ იმედით, რომ რუსეთის ბაზარი იმუშავებდა.

რაც შეეხება კონკრეტულ ზარალს, 2008 წელს ომის შემდგომ დასავლეთმა გრანტებისა და კრედიტების მეშვეობით დიდი მატერიალური დახმარება გაგვიწია. ფაქტობრივად, ამან გადაფარა ჩვენი ომითა თუ იმჟამინდელი გლობალური ფინანსური კრიზისით გამოწვეული სირთულეები. თუ დასავლეთი ახლაც მოგვცემს მილიარდებს, რასაკვირველია, საქართველო ამ სირთულეებს ადვილად გადალახავს, მაგრამ საკითხავია, მოგვცემს? მგონია, რომ არ მოგვცემს. ამას გარდა, **ახლა საქართველოსთვის ყველაზე მთავარი პრობლემა უმუშევრობაა. ეს დასაქმებული 9%, რომელიც ზემოთ ვახსენე, უმუშევარი დარჩება. ასე რომ, თუ საქართველოსთვის რუსეთის ბაზარი დაიხურება, ცუდ შედეგებს მივიღებთ.**

**— ხელისუფლების წარმომადგენლებმა ისიც განაცხადეს, რომ ჩვენს პროდუქციას უფრო დიდი მომავალი აქვს და, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებიდან გამომდინარე, ევროპულ ქვეყნებში დიდი გასაღების ბაზარი ექნება.**

— გაიკითხონ, რა მდგომარეობაა ლიტვაში. ეს ქვეყანა რძის პროდუქტების ერთ-ერთი წარმატებული მწარმოებელი იყო მსოფლიოში და ნახონ, როგორია ლიტვის ექსპორტი ევროკავშირში. ევროკავშირის ბაზარზე შეღწევა ძალიან რთულია. რასაკვირველია, ჩვენ ამისკენ უნდა ვისწრაფვოდეთ. მსოფლიო რუსულ ბაზარზე შესასვლელად ფულს ხარჯავს, ჩვენ კი სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდში პირიქით, იქიდან გამოსასვლელად დავხარჯეთ ფული.

**— თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შეჩერება, ბუნებრივია, ფასების ზრდას გამოიწვევს, როგორ აისახება ეს ქართული პროდუქციის კონკურენტულობაზე?**

— ქართული ბაზრის პროგნოზირება ფასწარმოქმნის მექანიზმის მიმართ თითქმის შეუძლებელია. საქართველოში მონოპოლიური კაპიტალიზმია. უბრალო მაგალითს გეტყვით: 1 სექტემბრიდან ევროკავშირთან საბაჟო გადასახადები უქმდება, ანუ ევროკავშირის პროდუქციაზე იმპორტის გადასახადი გაუქმდება, ამან, წესით, ევროპული პროდუქციის გაიაფება უნდა გამოიწვიოს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ასე არ მოხდება, რადგან ქართული ბაზარი სპეციფიკურია და არც ანტიმონოპოლიური სამსახური მუშაობს.



**დემურ გიორხელიძე, ეკონომიკის საკითხთა ექსპერტი:**

— საქართველოში ეს გადაწყვეტილება არასწორად გაიგეს. საუბარია, 1994 წელს საქართველოსა და რუსეთს შორის გაფორმებული თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობის იმ ნაწილის შეჩერებაზე, რომელიც ნულოვან საბაჟო განაკვეთებს ეხება და ამ გადაწყვეტილების მოტივიც გასაგებია, მიზეზი საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერაა. ამიერიდან საქართველო-რუსეთის ეკონომიკური ურთიერთობა, ყოველგვარი შეღავათების გარეშე, ჯერჯერობით მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ დაწესებული ტარიფების შესაბამისად გაგრძელდება და საბაჟო განაკვეთები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ დაწესებული ტარიფების შესაბამისი იქნება.

**— ექსპერტთა აზრით, თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმიდან გასვლის გამო, რუსულ ბაზარზე ჩვენი პროდუქცია გაძვირდება, რაც, ბუნებრივია, პროდუქციის კონკურენტულობაზეც აისახება.**

— ცხადია, საბაჟო ტარიფების დაწესება ხარჯების გაზრდას გამოიწვევს, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს კატასტროფა არ არის. ჩვენი პროდუქციის კონკურენტუნარიანობა, ხარისხი უნდა გავზარდოთ და მაშინ მასზე რუსეთშიც და სხვა ქვეყნებშიც დიდი მოთხოვნა იქნება. ჩვენს კომპანიებს მოგება, ალბათ, ცოტა შეუმცირდებათ, ვიდრე პროდუქციის მოცულობას გაზრდიან. **ვინაიდან არ გვინდა რუსეთთან ინტეგრაცია და ევროპისკენ მივდივართ, თავისთავად ცხადია, რუსეთი შეღავათებს აღარ გვიწესებს და ის მზად არის, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სატარიფო ბადის შესაბამისად ივაჭროს საქართველოსთან.**

**«საუბარი რომელიმე ბაზრის ჩანაცვლებაზე პროფანაცია და დილეტანტიზმია. ერთი ბაზარი მეორეს არ ანაცვლებს. თუ სადმე რაიმე გეყიდება, უნდა გაყიდო. ეს არის ანბანური ჭეშმარიტება, რომელიც ეკონომიკის და ვაჭრობის არსიდან გამომდინარეობს»**

**— ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების შემდეგ გაიხსნება კი ევროპული ბაზარი საქართველოსთვის?**

— ევროპული ბაზარი დღესაც გახსნილია, მაგრამ, იქ რომ შეხვიდე, რაღაცას უნდა აწარმოებდე. გარკვეული პროდუქცია ამ ხელშეკრულების გარეშეც გადიოდა ევროპის ბაზარზე. **არაფერს ვაწარმოებთ და რა უნდა გავიტანოთ ექსპორტზე?** თუმცა აღსანიშნავია, რომ ასოცირების ხელშეკრულება გვაძლევს მიმართულებას, თუ 7-10 წელი ინტენსიურად ვიმუშავებთ, შევძლებთ, ჩვენი ეკონომიკა მოვამზადოთ იმისთვის, რომ ამ ხელშეკრულებით ვისარგებლოთ. დღეს **საუბარი რომელიმე ბაზრის ჩანაცვლებაზე პროფანაცია და დილეტანტიზმია. ერთი ბაზარი მეორეს არ ანაცვლებს. თუ სადმე რაიმე გეყიდება, უნდა გაყიდო. ეს არის ანბანური ჭეშმარიტება, რომელიც ეკონომიკისა და ვაჭრობის არსიდან გამომდინარეობს.**

**— რამდენიმე დღის წინათ პრესკონფერენციაზე განაცხადეთ, მესამე ტალღის სანქციების შედეგად, 2014 წლის ბოლოს, შესაძლოა, რუსეთის ზარალმა — 23 მილიარდს, ევროკავშირის ზარალმა კი 40 მილიარდს მიაღწიოსო. როგორ აისახება მსოფლიოში არსებული ვითარება საქართველოზე?**

— ეს სანქციები რუსეთს დიდად ვერ დააზარალებს, პირიქით — თუ შეძლებენ, გონივრულად მართონ კრიზისული სიტუაციები, მათზე დადებითადაც აისახება. რუსების ხასიათიდან გამომდინარე, რაც უფრო უჭირთ, მით მეტად მობილიზებულები არიან, ამიტომ ეს სანქციები რუსეთს დიდად ვერ აზარალებს, მაგრამ, თუ აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა ფულად-საკრედიტო პოლიტიკას შეცვლის და საპროცენტო განაკვეთების ზრდას დაიწყებს, ეს მტკივნეულად აისახება რუსეთზე, ვინაიდან რუსული კომპანიების კორპორაციული ვალი 700 მილიარდს შეადგენს, რომელსაც რესტრუქტურიზაცია სჭირდება და მათთვის ფულის მოძიება გაჭირდება.

ცხადია, **მსოფლიოში ფულის გაძვირება საქართველოშიც გამოიწვევს საპროცენტო განაკვეთების ზრდას, რაც ჩვენი, როგორც იტყვიან, ისედაც დაქცეული ეკონომიკისთვის ძალიან მძიმე გადასატანი იქნება.**



**იოსებ არჩვაძე, პროფესორი, ეკონომიკის ექსპერტი, სტატისტიკის სპეციალისტი:**

— 1990-იან წლებში გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, საქართველო პროდუქციის ექსპორტს დღემდე ყოველგვარი ბაჟის გარეშე აწარმოებდა. ყველაზე რთულ პერიოდშიც კი, როდესაც რუსეთმა ემბარგო დააწესა ჩვენს პროდუქციაზე, ეს ურთიერთობა მაინც შენარჩუნდა. 2006-2012 წლებშიც კი საქართველო რამდენიმე მილიარდი დოლარის ოდენობის პროდუქციის ბრუნვას ეწეოდა რუსეთის ბაზარზე. ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტს, რომ **რუსეთს არ აუკრძალავს ქართული პროდუქციის შეტანა თავის ბაზარზე, მაგრამ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების შეჩერება ჩვენს პროდუქციაზე ფასების მომატებას გამოიწვევს.** მაგალითად, **საქართველოდან რუსეთის ბაზარზე ღვინო გადის დაახლოებით 4 დოლარად, რუსულ ბაზარზე კი საშუალოდ 14 დოლარად იყიდება,** ვინაიდან საწყის ფასს ემატება საბაჟო მოსაკრებელი, სააქციზო გადასახადი და ა. შ.

რა თქმა უნდა, **რუსეთის გადაწყვეტილება თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შეჩერების თაობაზე ქართული პროდუქციის გაძვირებას გამოიწვევს. ვფიქრობ, დაახლოებით 12-15%-ის ფარგლებში მოიმატებს ფასი ქართულ პროდუქციაზე.**

იმპორტიორები იძულებულები იქნებიან, შეინარჩუნონ ხარისხი და ფასი დაწიონ. თუ აქამდე შუამავლები და ვაჭრები ღვინის იმპორტზე უფრო დიდ მოგებას იღებდნენ, ამიერიდან, რადგან საბაჟო გადასახადი იზრდება, შეიძლება მოგების მარჟა შემცირდეს.

**მოამზადა შორენა ცივქარაშვილმა**

**სააკაშვილი ვერ მოიქცევა ისე, როგორც ძველი ყაიდის ზოგიერთი დიქტატორი დახვრეტის წინ: „გულში მესროლეთ, ჯარისკაცებო! გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს!“, ასე მას არ შეუძლია. ბოლო დროს ის ჯამბაზივით იქცევა.**



დიმიტრი მონიავას
საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბრალდებული ჯამბაზი

**დიალოგი წარსულთან საკმაოდ რთული რამ არის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამ წარსულს მიხეილ სააკაშვილი განასახიერებს. ან როგორ გინდა, მოუსმინო ადამიანს, რომელიც სრული სერიოზულობით თავს „ქართული სახელმწიფოს შემქმნელს“ უწოდებს, ისე, რომ არ გაგახსენდეს გარესამყაროსგან იზოლირებული ბალი ასათიანის ქუჩაზე, სადაც ძველად შეძლებისდაგვარად დინჯად სეირნობდნენ თვითგამოცხადებული ფარნავაზები, ნაპოლეონები და მაკედონელები. რატომ დახურა სააკაშვილმა ფსიქიატრიული ასათიანის ქუჩაზე? ეს „ვარდების რევოლუციის“ ერთ-ერთი ყველაზე დიდი საიდუმლოა, რომლის უკან, შესაძლოა, რაღაც ძალიან პირადული იმალებოდეს.**



**სააკაშვილი ძალზე ანერვიულებულია და, როგორც ჩანს, საკუთარი უსაფრთხოების გარდა, ამქვეყნად აღარაფერი აინტერესებს**

საზოგადოდ, მენტალურად აშლილი ადამიანის დაცინვა ვერაფერი ვაჟკაცობაა, ხოლო მისი მოსმენა და მით უმეტეს, მისი იდეების განხილვა, დროის ფუჭი ხარჯვაა. ერთადერთი რამ, რაც შეიძლება მის ბოლოდროინდელ კომენტარებზე ითქვას (ცხადია, ეს სუბიექტური მოსაზრებაა), ის არის, რომ სააკაშვილი ძალზე ანერვიულებულია და, როგორც ჩანს, საკუთარი უსაფრთხოების გარდა, ამქვეყნად აღარაფერი აინტერესებს. შესაბამისად, ის მოსაწყენია, როგორც ნებისმიერი ადამიანი, რომელიც კონცენტრირებულია ერთადერთ საკითხზე.

ფიგურანტს წლების განმავლობაში ვაკვირდებოდით და, ალბათ, გადაჭარბებული არ იქნება იმის თქმა, რომ, თუ დასავლური სამყაროს ყველა ლიდერი, სპეცსამსახურების შეფებთან ერთად, მივა სააკაშვილთან, რათა დაამშვიდოს და უთხრას, რომ მას ქართველ სამართალდამცავებს 99%-იანი ალბათობით არ გადასცემენ, მისი მშფოთვარე გონება ჩაებღაუჭება იმ ერთადერთ დარჩენილ პროცენტს და მის საფუძველზე კოშმარული სცენარების კონსტრუირებას დაიწყებს. **ჩვენ არაერთგზის დავრწმუნდით, რომ მიხეილ სააკაშვილის შიშს არაპროპორციულად დიდი თვალები აქვს და, სავარაუდოდ, ადრე თუ გვიან ეს შიში მძიმე შეცდომას დააშვებინებს.**

ცნობილი კაციჭამია დიქტატორი ცენტრალური აფრიკიდან — ჟან-ბედელ ბოკასა მშვიდად ცხოვრობდა საფრანგეთში, როდესაც სამშობლოში დაუსწრებლად გაასამართლეს. **1986-ში კი ბოკასამ გადადგა ნაბიჯი, რომელსაც, ძალიან ძნელია, ლოგიკური ახსნა მოუძებნო და იმის იმედით, რომ ხალხი ტახტზე დააბრუნებდა, მოულოდნელად ჩაფრინდა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, სადაც, როგორც მოსალოდნელი იყო, დაუყონებლივ დააპატიმრეს.** ცხადია, სააკაშვილი მსგავსს არაფერს გააკეთებს; ბოკასა, მიუხედავად იმისა, რომ საზიზღარი დიქტატორი იყო, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი გახლდათ და პიროვნული სიმამაცის დეფიციტს არ უჩიოდა, ხოლო ეს ჩვენი „დედიკოს ბიჭი“ ამდენს ნამდვილად ვერ გაბედავს. აქ მთავარია სხვა რამ: რეალობის ტრანსფორმირება გაქცეული დიქტატორის გონებაში და არაკორექტული, სიტუაციის შეუსაბამო სცენარების შემუშავება. **პერუს ყოფილი მმართველი ალბერტო ფუხიმორი ქვეყნიდან გაქცევის შემდეგ იაპონიაში ცხოვრობდა, სადაც ექსტრადიცია ნამდვილად არ ემუქრებოდა. მაგრამ რაღაც გაუგებარი, უცნაური გათვლების საფუძველზე ჩაფრინდა ჩილეში, სადაც დააპატიმრეს და პერუს გადასცეს.** ორივე დიქტატორმა, სავარაუდოდ, ვერ გააცნობიერა სხვაობა თავის ძველ და ახალ შესაძლებლობებს შორის, ხოლო ემოციურმა აღტკინებამ სიტუაციის ობიექტური შეფასების შესაძლებლობა არ მისცა. **სააკაშვილის შემთხვევაში ამას პანიკური შიში ემატება, სწორედ ის შიში, რომელმაც 2008 წლის აგვისტოში გორის ცენტრში იმ სამარცხვინო გარბენისკენ უბიძგა (და არა მხოლოდ მისკენ). ადრე თუ გვიან მძიმე შეცდომას, სავარაუდოდ, ისიც დაუშვებს, არა ზუსტად ისეთს, როგორსაც ბოკასა და ფუხიმორი, არამედ სხვას, განუმეორებელსა და დაუვიწყარს.** თუ მისი თანაგუნდელების ინტერვიუებს ყურადღებით გავაანალიზებთ, დიდი ალბათობით, მივალთ დასკვნამდე, რომ იმ ამაზრზენი რეპრესიებისა და სისასტიკის უკან, უპირველეს ყოვლისა, მიხეილ სააკაშვილის ყოვლისმომცველი, სავსებით არალოგიკური შიში იდგა. მას მუდამ ეშინოდა ოპოზიციის, პატარკაციშვილის, ივანიშვილის, გადატრიალების, რევოლუციის და ა. შ. და, რაც მთავარია, ეშინოდა ხალხის.

**იმ შემთხვევაშიც კი, თუ სააკაშვილი ქართულ საპატიმროში არ მოხვდება და სადღაც უცხოეთში დაიმალება, სიცოცხლის ბოლო წუთამდე სწორედ შიში შეასრულებს მისთვის ყველაზე მკაცრი რეჟიმის კარცერის როლს. სინამდვილეში, ის უკვე დაპატიმრებული და დასჯილია, თუმცა, შესაძლოა, ამას ბოლომდე ვერ აცნობიერებს.**

პრინციპში, ყოველივე აღწერილი უფრო მისი პრობლემაა, ვიდრე ჩვენი. ეკამათოს პროკურატურას, დაიცვას თავი, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მისი პროცესი ძალიან საინტერესო იქნება, თანდათან, სავარაუდოდ, საზოგადოების ყურადღების პერიფერიაზე გადაინაცვლებს. ცხადია, უფრო გვიან, ვიდრე ეს ახალაიასა და მერაბიშვილის პროცესების შემთხვევაში მოხდა, მაგრამ მაინც. საქმე ისაა, რომ კონცენტრირება წარსულზე საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეუძლებელია, სააკაშვილი კი წარსულია, თან (მისი ბოლო კომენტარებით თუ ვიმსჯელებთ) უიმედო წარსული. ასე რომ, მისი გასამართლება გარკვეული დროის განმავლობაში შეინარჩუნებს მნიშვნელოვან ადგილს საზოგადოებრივ დისკუსიებში, თუმცა მთავარი თემა მალე აღარ იქნება. მაგრამ დამშვიდობება წარსულთან, მის გადახაზვას როდი ნიშნავს, **სააკაშვილის გასამართლება უკავშირდება მისი მმართველობის პერიოდის შეფასებას და საქართველოს უახლეს ისტორიაში მისთვის შესაბამისი ადგილის მოძებნას. რა იყო ეს? რისთვის იყო? რა დასკვნები გამოვიტანეთ? ამ (ისევე როგორც ნებისმიერი სხვა) ისტორიული გამოცდილების კრიტიკული გააზრების გარეშე, ისევ „წრეზე სიარული“ მოგვიწევს.**

„ნაციონალები“ მიიჩნევენ, რომ 2003 წელს საქართველოს ისტორიაში ახალი ეპოქა დაიწყო, უახლოეს წარსულთან მის კავშირს უარყოფენ. ამავე დროს, ისინი, ასევე ემოციურად, უარყოფენ კავშირს 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ შექმნილ რეალობასთანაც. ამას შეიძლება ერთგვარი „ისტორიული სეპარატიზი“ ვუწოდოთ. წარსულისა და აწმყოს უარყოფა უბიძგებს მათ იმისკენ, რომ „საკუთარი ეპოქა“ სრულიად განსხვავებულ, ცალკე მდგომ მოვლენად განიხილონ და, რაც მთავარია, სხვებისგან მისი ცალსახა შეფასება მოითხოვონ. ეს მიდგომა ისტორიულ პროცესს არა მდინარის დინებას (ცნობილი მეტაფორაა), არამედ ნახტომების სერიას ამსგავსებს.

ამას, პარადოქსულად, მოაქვს „სააკაშვილის ეპოქის“ სრული უარყოფა საზოგადოების დიდი ნაწილის მიერ. **უამრავ ადამიანს ურჩევნია, უბრალოდ, გადახაზოს „სააკაშვილის ეპოქა“ ზუსტად ისე, როგორც „ნაციონალებმა“ „შევარდნაძის ეპოქა“ გადახაზეს. მათი ლოგიკა გასაგებია — თუ „ნაციონალებს“ სურთ, მიიღონ ცალსახა შეფასება „ცუდი-კარგი“-ს პრიმიტიულ კოორდინატთა სისტემაში, აგერ, ბატონო, ცალსახა შეფასება.** არადა, ისტორიაში არ არსებობს არაფერი ცალსახა და შეუძლებელია კავშირის სრული გაწყვეტა სხვადასხვა პერიოდს შორის. შეუძლებელია, გაიგო „სააკაშვილის ეპოქა“ „შევარდნაძის ეპოქასთან“ კავშირის გაანალიზების გარეშე, ან „ივანიშვილის ეპოქა“ „სააკაშვილის ეპოქაზე“ დაკვირვების გარეშე და ა. შ.

საბოლოო ჯამში, ისტორიული გამოცდილების გააზრების ნაცვლად, აბსურდის თეატრს ვიღებთ. ვინაიდან საქართველოში ფართოდ გავრცელებულია კოგნიტური ხარვეზი, რომელიც ერთი დეტალის შეფასებაზე დაყრდნობით მთელი სისტემის შეფასებას ითვალისწინებს, პოლემიკა ფრიად უცნაურ ხასიათს იძენს. „ნაციონალები“ ამბობენ, რომ პოლიციელებმა შეწყვიტეს ქრთამის აღება და დაუყონებლივ გადადიან იმის მტკიცებაზე, რომ, აქედან გამომდინარე, „მათი ეპოქა“ მთლიანობაში მშვენიერი იყო. **მათი ოპონენტები კი ამბობენ, რომ ამავე პოლიციელებმა დაიწყეს თანამოქალაქეების (გაცილებით მასშტაბური, ვიდრე „მექრთამეობის პერიოდში“) წამება, დახოცვა და გაუპატიურება და იქვე ასკვნიან, რომ განხილული ეპოქა სრული კოშმარი იყო. იგივე ეხება ეკონომიკას, პოლიტიკას, სამხედრო საქმეს, კულტურას და ა. შ.**

ამ ხმაურში იკარგება ერთი მნიშვნელოვანი იდეა — სააკაშვილის რეჟიმის ფორმირება ყველა იმ საზიზღრობით, რომლებიც მას უკავშირდება, შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა საზოგადოებაში ფართოდ წარმოდგენილი არაკორექტული წარმოდგენები და ბნელი ინსტინქტები. რეჟიმი, უპირველესად, ამაზე იდგა და არა უცხოელების მხარდაჭერაზე, რომელნიც, მათი საეჭვო მოტივების მიუხედავად, არასოდეს დაუჭერენ მხარს იმას, რასაც მოსახლეობაში დასაყრდენი საერთოდ არ აქვს. სხვათა შორის, 2012 წლის ოქტომბერში ეს „ბნელი მხარე“ საზოგადოების (ქვე)ცნობიერებაში არსად გამქრალა. **სააკაშვილი მარსიდან არ ჩამოფრენილა, ის ქართულმა საზოგადოებამ შვა და მანვე შესაძლებელი გახადა მისი მახინჯი რეჟიმის ჩამოყალიბება. ამიტომ, ალბათ, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ სააკაშვილის გასამართლებას საზოგადოებამ საკუთარ თავში გარკვევის თუნდაც მინიმალური მცდელობა დაუკავშიროს და „მთელ ამ ისტორიაში“ საკუთარი როლი გაიაზროს.** ეს არ იყო მხოლოდ სააკაშვილის რეჟიმის ისტორია ან წინააღმდეგობის მოძრაობის ისტორია, ეს თითოეული ჩვენგანის (და საზოგადოების მთლიანობაში) მტკივნეული ტრანსფორმაციის, იმედებისა და იმედგაცრუების, სიყვარულისა და სიძულვილის ისტორია იყო. **დღეს გერმანია, შესაძლოა, იმიტომაა მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული და ამაყი ქვეყანა, რომ თავის დროზე არ შეშინდა და საკუთარ წარსულს თვალებში ჩახედა.**

ზოგს მსგავსი პარალელების გავლება შეიძლება გაუმართლებლად მოეჩვენოს, მაგრამ, ჩემი სუბიექტური აზრით, ეს სწორედ რომ ფაშიზმი იყო. ნებისმიერ მსურველს შეუძლია, გადაიკითხოს ლოურენს ბრიტის „ფაშიზმის 14 ნიშანი“ და თქვას, რომელი ერთი არ იყო წარმოდგენილი სააკაშვილის დროინდელ საქართველოში (ან გაეცნოს „საქართველო და მსოფლიოს“ გასული წლის 15 მაისის სტატიას „მიხეილ სააკაშვილის ჩვეულებრივი ფაშიზმი“, სადაც ეს საკითხი, ასე ვთქვათ, „კონსპექტურად“ განიხილება). ჩვენ შეგვიძლია ვუწოდოთ მას „პროტოფაშიზმი“, „კვაზიფაშიზმი“, „უტვინო და არშემდგარი ფაშიზმი“, მაგრამ პრობლემის არსს ეს არ შეცვლის. **ასეთი უპატივცემულობა ადამიანების უფლებების მიმართ შესაძლებელია მხოლოდ ფაშისტური რეჟიმის პირობებში და მწარე სიმართლე იმაში მდგომარეობს, რომ ამ რეჟიმის ჩამოყალიბება შესაძლებელი ქართულმა საზოგადოებამ გახადა. ამ ნიადაგზე სასურველია თვითგვემის (მოკლე და თეატრალიზებული) სეანსი კი არ მოვაწყოთ, არამედ გავერკვეთ, რა დაგვემართა.**

**სააკაშვილი ვერ მოიქცევა ისე, როგორც ძველი ყაიდის ზოგიერთი დიქტატორი დახვრეტის წინ: „გულში მესროლეთ, ჯარისკაცებო! გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს!“, ასე მას არ შეუძლია. ბოლო დროს ის ჯამბაზივით იქცევა და, შესაძლოა, ორი მიზნის მიღწევას ცდილობს. მას, სავარაუდოდ, სურს, ხაზი გაუსვას პროცესის არასერიოზულობას და აუდიტორიაში თანაგრძნობა აღძრას.** მართლაც, შეუძლებელია, სრული სერიოზულობით მიუდგე კლოუნს, თუნდაც ხელები სისხლში ჰქონდეს გასვრილი და სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი რომც გაუტანოს, იმის ალბათობა, რომ საზოგადოება ზიზღით ზურგს შეაქცევს და შეეცდება, რაც შეიძლება მალე დაივიწყოს (ეს კი შესაძლებლობას მისცემს, სადღაც შორს გახოხდეს და დაიმალოს), საკმაოდ დიდი იქნება. **მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩვენ არაფრის დავიწყების უფლება არ გვაქვს და წარსული სრული მოცულობით უნდა გავიაზროთ, რათა უკეთესი მომავალი შევქმნათ.**

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ეს იქნება მტკივნეული დარტყმა, უპირველეს ყოვლისა, გლეხებისთვის და ღვინის ექსპორტიორებისთვის. ახალი ხელისუფლების მოსვლისა და სანქციების გაუქმების შემდეგ უამრავმა ადამიანმა საკუთარი ეკონომიკური წარმატება რუსულ ბაზარს დაუკავშირა, აიღო კრედიტი და წარმოების გაფართოებას მოახმარა.**



# ომი და მშვიდობა და თავისუფალი ვაჭრობა

**მალე რუსეთის ბაზარზე ახალი პრობლემები შეგვექმნება. გასულ კვირას ცნობილი გახდა, რომ მეზობელი ქვეყნის ეკონომიკის სამინისტრომ შეიმუშავა დადგენილების პროექტი, რომელიც რუსეთსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მოქმედების შეჩერებას ითვლისწინებს. უკლებრივ ყველა მიმომხილველი მოსკოვის ამ ნაბიჯს საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას უკავშირებს. როგორც ჩანს, მალე მთავრობას მოუწევს დისკუსია უკმაყოფილო მოქალაქეებთან, რომელთათვის შეუფერხებული ექსპორტი რუსეთში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ეს პრობლემა სცდება ვიწრო ეკონომიკურ ჩარჩოებს და, ალბათ, გაცილებით ფართო კონტექსტში უნდა განიხილებოდეს.**



## ბიძინა გიორგობიანი პარკებსა და სკვერებში ბენზინგასამართი სადგურებისა და რესტორნების რაოდენობის შემცირებას გეგმავს

როგორც გიორგობიანმა ჟურნალისტებს განუცხადა, ბენზინგასამართი სადგურების მშენებლობა და უსაფრთხოების ზომები ხშირად არ აკმაყოფილებს შესაბამის ნორმებს.

„ჩემი სამსახურის პრიორიტეტი იქნება ის, რაც გაწერილი იყო კოალიციის საარჩევნო დოკუმენტში. ეს ეხება სარეკრეაციო ზონების განახლებას და გაშენებას თბილისსა და მის გარშემო, ეს ეხება ჰაერის დაცვას, პარკებისა და სკვერების მოწესრიგებას. პარკებსა და სკვერებში ბენზინგასამართი სადგურების თუ რესტორნების შეზღუდვას, რაც ამ წლების განმავლობაში თბილისში ძალიან მავნე პრაქტიკად დამკვიდრდა. ნებართვები გაიცემოდა ძალიან საეჭვო ვითარებაში და ბევრი ბენზინგასამართის უსაფრთხოების ზომები არ აკმაყოფილებს შესაბამის ნორმებს და პირდაპირ გზებზე, სახლების მიმდებარე ტერიტორიებზეა გაშენებული“, — განაცხადა გიორგობიანმა.



## ევროასოცირებული დაზარალებულები

თუ თვალს გადავავლებთ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის პერიოდის პუბლიკაციებს, ვნახავთ, რომ პოლიტიკოსები და ექსპერტები ორ დიდ ბანაკად გაიყვნენ. ერთნი ამ შეთანხმებას ლამის სამოთხეში მოხვედრას ადარებდნენ და უარყოფდნენ ნებისმიერ ვარაუდს მოსალოდნელი გართულებების თაობაზე. მეორე, შედარებით ფრთხილი და წინდახედული ნაწილი მიანიშნებდა, რომ საწყის ეტაპზე ქართულ ეკონომიკაში შეიძლება მნიშვნელოვანი პრობლემები შეიქმნას, თუმცა ოპტიმისტურად ასკვნიდა, რომ ამის შემდეგ მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდება. **და მხოლოდ რამდენიმე ექსპერტი ამტკიცებდა, რომ ევროკავშირთან შეთანხმების ეკონომიკური ნაწილი მხოლოდ და მხოლოდ ნეგატიურ შედეგს მოგვიტანს.**

ისევე, როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში სახელისუფლო პროპაგანდა აქაც „გადადებული ჯილდოს“ პრინციპს ეფუძნება. ბოლოდროინდელ თანამშრომლობას ევროკავშირთან უსაფრთხოების სფეროში ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ჩვენი სამხედროების გაგზავნა მოჰყვა (ეს მისია საქართველოში ფრიად არაპოპულარულია), ხოლო ეკონომიკურ შეთანხმებას — პრობლემები რუსულ ბაზარზე, თუმცა ხელისუფლება ოპტიმისტურად გვარწმუნებს, რომ ეს დროებითი და, საბოლოო ჯამში, უმნიშვნელო უსიამოვნებებია, სამაგიეროდ, მომავალში „დიდი პრიზი“ გველოდება.

ტაქტიკური თვალსაზრისით, ქართულმა დიპლომატიამ, კერძოდ კი პრემიერმინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში — ზურაბ აბაშიძემ გააკეთა ყველაფერი, რათა რუსეთის საპასუხო დარტყმას საქართველოსთვის რაც შეიძლება ნაკლები ზიანი მოეტანა. ამის შედეგად, უკრაინისა და მოლდოვასგან განსხვავებით, „ევროასოცირების“ ხელმოწერის პერიოდმა მძიმე ბრალდებების ისტერიული გაცვლის გარეშე ჩაიარა. შესაძლოა, ამის შედეგია ისიც, რომ რუსეთი მხოლოდ თავისუფალი ვაჭრობის გაუქმებაზე ფიქრობს და არა სანქციების დაწესებაზე ამა თუ იმ საქონლის რუსეთში შეტანის აკრძალვით, როგორც ეს ორი ზემოთ ნახსენები ქვეყნისა და რუსეთის ზოგიერთი სხვა მეზობლის შემთხვევაში ხდება. 7 ივლისის კონსულტაციებმა პრაღაში ეკონომიკური უწყებების წარმომადგენლებს შორის სავსებით კონსტრუქციულ ვითარებაში ჩაიარა, მაგრამ მეტის გაკეთება ვერ მოხერხდა. როგორც მოსალოდნელი იყო, კრემლმა უარი არ თქვა ძირითად პრინციპზე: ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ახალი სავაჭრო-ეკონომიკური შეთანხმებები ევროკავშირთან თავისუფალ ვაჭრობას გამორიცხავს რუსეთთან.

**ზოგმა შეიძლება ჩათვალოს, რომ ეს კარგი გამოსავალია საქართველოსთვის, ვინაიდან, როგორც გეოგრაფიული მდებარეობა, ისე ეკონომიკური მდგომარეობა თითქოს უბიძგებს მას, რომ მომავალში შეუერთდეს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმს თურქეთსა და «საბაჟო კავშირის» ქვეყნებს შორის**

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საქართველომ რუსეთში 134 მილიონი დოლარის პროდუქცია შეიტანა (9,4% ექსპორტის მოცულობიდან). რუსეთში გადის ქართული ღვინის დაახლოებით ორი მესამედი. სანქციების მოხსნის შემდეგ რუსულ ბაზარზე ქართველი მეღვინეების წინსვლის ტემპმა დაახლოებით ორჯერ გადააჭარბა ექსპერტების ყველაზე თამამ პროგნოზებს (ეს ერთგვარი „პატარა სასწაული“ იყო). თუ რუსეთი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების მოქმედებას შეაჩერებს, რუსულ ბაზარზე ქართული პროდუქციის ფასი შეიძლება დაახლოებით 20%-ით გაიზარდოს. ზემოთ მოყვანილი მაჩვენებლები, სავარაუდოდ, მნიშვნელოვნად გაუარესდება. **ეს იქნება მტკივნეული დარტყმა, უპირველეს ყოვლისა, გლეხებისთვის და ღვინის ექსპორტიორებისთვის. ახალი ხელისუფლების მოსვლისა და სანქციების გაუქმების შემდეგ უამრავმა ადამიანმა საკუთარი ეკონომიკური წარმატება რუსულ ბაზარს დაუკავშირა, აიღო კრედიტი და წარმოების გაფართოებას მოახმარა.** მთავრობა ირწმუნება, რომ „ზარალი არც ისე დიდი იქნება“, ზოგიერთი ექსპერტი კი მეწარმეებს ევროპული ბაზრისკენ წასვლას ურჩევს. მაგრამ ის, ვინც ამტკიცებს, რომ შეიძლება უპრობლემოდ გადაამისამართო ექსპორტი რუსული ბაზრიდან ევროპულზე, უპასუხისმგებლო დემაგოგია. **ევროკავშირში სულ სხვა, გაცილებით მკაცრი რეგულაციები მოქმედებს და გადაწყობა მათ მიმართ ქართული ეკონომიკის მთელი რიგი სექტორების საფუძვლიან რეკონსტრუქციას მოითხოვს და არ არსებობს გარანტია, რომ ის დასრულდება წარმატებით და არა კრახით.**

ასე რომ, მთავრობას მოუწევს სერიოზული დაფიქრება იმაზე, თუ როგორ აუხსნას აგრარული სექტორის უკმაყოფილო წარმომადგენლებს, რატომ გაუარესდა მათი მდგომარეობა და კარგი რატომ არის ეკონომიკური დაახლოება ევროკავშირთან. ეს მით უფრო პრობლემური იქნება იმის გათვალისწინებით, რომ ეკონომიკური ბონუსები „ევროასოცირებისგან“ შედარებით შორეულ პერსპექტივას უკავშირდება, ხოლო რუსულ ბაზარზე შეღწევის გართულებით გამოწვეული პრობლემები არა ერთ ოჯახს უახლოეს მომავალში შეეხება.

## რუსეთსა და თურქეთს შორის

**ყველაზე სულელური, რაც შეიძლება განხილულ სიტუაციაში გაკეთდეს, თავზე ნაცრის დაყრაა ან ერთმანეთთან დაპირისპირება ისტერიული შეძახილებით „ხომ გეუბნებოდით!“. საჭიროა გამოსავლის ძიება და ამ მხრივ საინტერესო შე-** ▶

## აზერბაიჯანში 2006 წლამდე გამოშვებული მანქანით შესვლა საგარანტიო თანხის და საგარანტიო წერილის შემთხვევაში იქნება შესაძლებელი



**აზერბაიჯანში საქართველოს ელჩის, თეიმურაზ შარაშენიძის, განცხადებით, იმის გამო, რომ საქართველოს მოსახლეობა არ იყო ინფორმირებული აზერბაიჯანში გადაადგილებაზე დაწესებულ შეზღუდვებთან დაკავშირებით, ეს შეზღუდვები კიდევ ერთხელ გადავადდა.** „აზერბაიჯანის ხელისუფლების კეთილი ნებით, შეზღუდვა 1 აგვისტომდე გადავადდა. მაგრამ მოხდა გაუგებრობა, ყველა ჩვენი თანამოქალაქე არ იყო ინფორმირებული, ამიტომ აზერბაიჯანის ხელისუფლებამ ჩვენი თხოვნა გაიზიარა და კიდევ ორი კვირით გადაიწია ამ კანონის ამოქმედებამ“, — განაცხადა თეიმურაზ შარაშენიძემ. მისივე თქმით, ეს კანონი ითვალისწინებს გადაადგილების შეზღუდვას და არა აკრძალვას. შეზღუდვა კი იმაში მდგომარეობს, რომ 2006 წლამდე გამოშვებული ავტომობილით საქართველოს მოქალაქეებს ექნებათ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შესვლის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი საგარანტიო თანხას დატოვებენ საზღვარზე, რომ მანქანა უკან დაბრუნდება, ან ექნებათ მიმწვევი აზერბაიჯანის მოქალაქის საგარანტიო წერილი.

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ევროკავშირში სულ სხვა, გაცილებით მკაცრი რეგულაციები მოქმედებს და გადაწყობა მათ მიმართ ქართული ეკონომიკის მთელი რიგი სექტორების საფუძვლიან რეკონსტრუქციას მოითხოვს და არ არსებობს გარანტია, რომ ის წარმატებით დასრულდება და არა კრახით.

**◀ იძლება თურქეთის გამოცდილება გამოდგეს.**

თურქეთს ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება აკავშირებს, ხოლო ივლისის შუა რიცხვებში თურქეთისა და რუსეთის ეკონომიკის მინისტრების — ნიხატ ზეიბეკჩისა და ალექსეი ულიუკაევის შეხვედრაზე თურქული მხარე გამოვიდა ინიციატივით „საბაჟო კავშირთან“ (რუსეთი, ბელარუსი, ყაზახეთი) თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნის თაობაზე. ცხადია, ეს საკითხი იოლი გადასაწყვეტი არ არის და მხარეები შეთანხმდნენ, საგანგებო ჯგუფი შეექმნათ, რომელიც მუშაობას სექტემბერში შეუდგება, თუმცა მთავარი აქ, ალბათ, სხვა რამ არის — თურქეთი ცდილობს, მიაღწიოს როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის პრივილეგირებული ეკონომიკური პარტნიორის სტატუსს.

**ზოგმა შეიძლება ჩათვალოს, რომ ეს კარგი გამოსავალია საქართველოსთვის, ვინაიდან, როგორც გეოგრაფიული მდებარეობა, ისე ეკონომიკური მდგომარეობა თითქოს უბიძგებს მას, რომ მომავალში შეუერთდეს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმს თურქეთსა და „საბაჟო კავშირის“ ქვეყნებს შორის.** ეს შეიძლება, აგრეთვე, განვიხილოთ, როგორც „შემოვლითი გზა“ რუსულ ბაზარზე მაქსიმალურად კომფორტული მდგომარეობის დაბრუნებისთვის. მაგრამ აქ არის ერთი ნიაუნსი — „საბაჟო კავშირთან“ თანამშრომლობის სურვილის გამოთქმის შემთხვევაში (ისე, როგორც ეს თურქეთის ხელისუფლებამ გააკეთა), ჩვენს მთავრობას ადგილობრივი ოპონენტების მწვავე კრიტიკის მოგერიება მოუწევთ, რომელნიც „საბაჟო კავშირს“ ცალსახად იმპერიალისტურ პროექტად განიხილავენ. მას კი (ჯერჯერობით?) ურჩევნია, საქმე აქამდე არ მიიყვანოს, ამიტომ, სავარაუდოდ, მკვეთრ მოძრაობებს მოერიდება. მოკლედ, **ჩვენ, ალბათ, დავრჩებით იქ, სადაც ვართ, ხოლო მაქსიმალურ ბონუსებს თურქეთი და ზოგიერთი სხვა ქვეყანა მიიღებენ, რომლებიც ცდილობენ, საერთაშორისო ურთიერთობებში შექმნილი რთული მდგომარეობით ისარგებლონ.**

უკრაინაში ომი გრძელდება და აშშ-ის შემდეგ მასშტაბურ სანქციებზე რუსეთის წინააღმდეგ შეიძლება ევროკავშირის წამყვანი ქვეყნებიც (და, შესაძლოა, იაპონიაც) წავიდნენ. ეს აუცილებლად გამოიწვევს ეკონომიკური კავშირების გაწყვეტას (სრულს თუ მხოლოდ ნაწილობრივს, მომავალი გვიჩვენებს) და ვაჭრობის მოცულობის შემცირებას რუსეთსა და დასავლეთის წამყვან ქვეყნებს შორის, რითაც შეიძლება „მეორე ეშელონის“ ქვეყნებმა ისარგებლონ და წინასწარ თადარიგი დაიჭირონ, რათა რუსულ ბაზარზე გამოთავისუფლებული ნიშების თუნდაც ნაწილი დაიკავონ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შეზღუდული ეკონომიკური შესაძლებლობები აქვს, მისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, დაინახოს საკუთარი ადგილი ამ პროცესებში — თურქეთის მსგავსად მოვიქცევით თუ ალტერნატიულ სტრატეგიას ავირჩევთ.

**ბოლო წლებში რუსეთ-თურქეთის ურთიერთობას დადებითი დინამიკა ახასიათებს და გამორიცხული არაა, სავაჭრო ურთიერთობების გაუმჯობესების ახალ ფორმულამდე მივიდნენ, თუმცა სიტუაცია შეიძლება ძალიან სწრაფად შეიცვალოს, თუ მდგომარეობა ყარაბაღში მკვეთრად გაუარესდება. გასულ კვირას იქ სერიოზული შეტაკებები მოხდა და ათეულობით მებრძოლი დაიღუპა.** საქართველოში ამ კონფლიქტის მიმართ ორი ძირითადი მიდგომა არსებობს. კომენტატორების მცირე ნაწილი (ძირითადად ყოფილი ხელისუფლების მომხრეები) ახალ ომს მოუთმენლად ელოდება, რადგან მიიჩნევს, რომ ის „აჭრის“ სიტუაციას რეგიონში, შეცვლის ძალთა ბალანსს, რომლითაც შეიძლება საქართველომაც იხეიროს. მეორე, შედარებით დიდი ნაწილი, მიიჩნევს, რომ ახალი ომი ყარაბაღში საქართველოს უსაფრთხოებას ძალზე სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის, რომელსაც შეიძლება ვერ გავუმკლავდეთ.

არ შეიძლება მშვიდად ელოდო ომს და ისეთი რეალობის შექმნას, როდესაც საქართველო გახდება უმოკლესი დამაკავშირებელი გზა, ერთი მხრივ, სომხეთსა და მის მთავარ მოკავშირე რუსეთს შორის; მეორე მხრივ კი, — აზერბაიჯანსა და მის მთავარ მოკავშირე თურქეთს შორის. ალბათ, გადაჭარბებული არ იქნება იმის თქმა, რომ კონტროლი ჩვენს ტერიტორიაზე გამავალ კომუნიკაციებზე ყარაბაღის ახალი ომის ბედს გადაწყვეტს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ის დიდხანს, მხარეთა გამოფიტვამდე გაგრძელდება. ორივე მხარისთვის სტრატეგიული ტვირთების გადასროლა საქართველოს ტერიტორიის გავლით რაღაც მომენტში შეიძლება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდეს. ასეთ ვითარებაში თუნდაც ერთი არასწორი ნაბიჯი შეიძლება ახალი ტერიტორიების ან, სულაც, სახელმწიოებრიობის დაკარგვის ფასად დაგვიჯდეს.

ცხადია, რომ საქართველოს ინტერესებშია (ჩვენი შეზღუდული შესაძლებლობების გათვალისწინებით), ხელი დეესკალაციას შეუწყოს, რომელიც ჯერ კიდევ შესაძლებელია. **ამასთანავე, ალბათ, უნდა დავფიქრდეთ იმაზე, რომ თავისუფალი ვაჭრობის ზონა ან სხვა ინიციატივა, რომელიც რეგიონში უსაფრთხოების განმტკიცებას ხელს შეუწყობს, არა მხოლოდ დამატებითი ბონუსების მიღების საშუალებაა, არამედ ქართული სახელმწიფოს შენარჩუნების და გაძლიერების მნიშვნელოვანი წინაპირობა. ალბათ, სასურველია, მთავრობამ სიტუაციას ამ კუთხით შეხედოს, რუსეთ-თურქეთის პოზიციების ბოლოდროინდელ დაახლოებაში საქართველოსთვის ახალი შესაძლებლობები დაინახოს და შესაბამისი სტრატეგიის შემუშავებას შეუდგეს.**




**ბოლო დროს სულ უფრო ხშირად შეინიშნება სხვადასხვა ჯგუფის მცდელობა, გააღვივონ კონფლიქტი, ერთი მხრივ, ქართველებსა და სომხებს, მეორე მხრივ, ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის, ამიტომ სახელმწიფომ ამ საგანგაშო სიმპტომებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს**

### ბინძური თამაში

**ქართველი პოლიტიკოსებისა და ექსპერტების უმრავლესობა, რამდენიმე მარგინალის გამოკლებით, თანხმდება იმაზე, რომ სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტში ერთადერთი შესაძლებელი პოზიცია საქართველოსთვის მკაცრი ნეიტრალიტეტია.** საინტერესოა, რომ **ბოლო დროს სულ უფრო ხშირად შეინიშნება სხვადასხვა ჯგუფის მცდელობა, გააღვივონ კონფლიქტი, ერთი მხრივ, ქართველებსა და სომხებს, მეორე მხრივ, ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის, ამიტომ სახელმწიფომ ამ საგანგაშო სიმპტომებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს.**

ფეხბურთი, ერთი შეხედვით, შორსაა პოლიტიკისგან (1969 წლის „საფეხბურთო ომი“ ჰონდურასსა და სალვადორს შორის დროებით გვერდზე გადავდოთ), მაგრამ ის, რაც 31 ივლისს ბაქოში საჩხერის „ჩიხურასა“ და ბაქოს „ნეფტჩის“ მატჩზე მოხდა, უდავოდ, დაკვირვებას საჭიროებს. კონფლიქტი მას შემდეგ დაიწყო, რაც ტრიბუნაზე, სადაც ქართველი გულშემატკივრები იმყოფებოდნენ, გამოფინეს საქართველოს დიდი რუკა, რომელზეც ზაქათალა და კახი ალბეჭდილი იყო, როგორც საქართველოს ტერიტორია (ისევე, როგორც სხვა ტერიტორიები, რომლებიც ამჟამად მეზობელი ქვეყნების შემადგენლობაში შედის). ამას აზერბაიჯანელი გულშემატკივრების აღშფოთება და დიდი შეხლა- შემოხლა მოჰყვა, რომელშიც პოლიცია ჩაერთო. „იქ ძალიან ცუდი ვითარება იყო, — განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს კონსულმა აზერბაიჯანში ნიკოლოზ გოგიტიძემ, — შეიძლება ხალხი დალუპულიყო. ამაზე არავინ ფიქრობს. იქ იყო ათიათასიანი ბრბო, რომლის შეჩერება ძალიან ძნელი იქნებოდა. ორი ქვეყანა დიდ უბედურებას გადაურჩა, რომ არავინ დაიღუპა, არავინ დაიჭრა და დაშავდა“. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ეს ინციდენტი ორი ქვეყნის პრეზიდენტმა სატელეფონო საუბრის დროს განიხილა.

მიუხედავად იმისა, რა და როდის შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში, აშკარაა, რომ ის, ვინც ბაქოში ხსენებული რუკა გამოფინა, ან ვერ აცნობიერებდა, რას აკეთებდა, ან მიზნად დიდი პროვოკაციის მოწყობას ისახავდა. ვის შეიძლება აძლევდეს ხელს მსგავსი პროვოკაცია?

თუ დავუბრუნდებით ადგილობრივი არჩევნების წინარე პერიოდს, შეიძლება გაგვახსენდეს უპრეცედენტო მოვლენა ქართული პოლიტიკის ისტორიაში — მმართველმა კოალიციამ გამგებლობის კანდიდატი არჩევნებიდან მოხსნა. „ქართული ოცნების“ განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ მისმა პოლიტსაბჭომ ეს იმიტომ გააკეთა, „რომ ოპოზიციურმა პარტიებმა ვერ მოახერხონ ეთნიკურ ნიადაგზე დაპირისპირების პროვოცირება“ (ოპოზიციურ პარტიებში, უპირველეს ყოვლისა, „ნაციონალური მოძრაობა“ იგულისხმებოდა). „ოცნებამ“ არჩევნები მარნეულში მაინც მოიგო, მაგრამ აქ გაცილებით მნიშვნელოვანია სხვა რამ: ყველა დამოუკიდებელი ექსპერტი, რომლებიც აკვირდებოდნენ პროცესებს მარნეულში, დიდი ალბათობით, დაადასტურებენ იმას, რომ „ნაციონალების“ კამპანია მართლაც შეიცავდა ეროვნული გრძობებით მანიპულირების ბინძურ ელემენტს და მასშტაბური დაპირისპირების ხელშეწყობა შეეძლო; კომენტატორებმა ამაზე არაერთგზის მიუთითეს. ამასთანავე, ძალიან ფართოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად, „ნაცმოძრაობა“ ვერაფერს აკლებს ივანიშვილის ბლოკს „კონვენციური“ პოლიტიკური მეთოდების გამოყენებით (და ამას როგორც არჩევნების შედეგები, ისე რეიტინგები ადასტურებს) და სულ უფრო ხშირად მიმართავს ისეთ მოქმედებებს, რომლებმაც შეიძლება საფრთხე სახელმწიფოს სტაბილურობას შეუქმნას. ყოფილი მმართველი პარტიის ლიდერები არაერთგზის დაადანაშაულეს, რომ ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა თუ აჭარაში ეთნიკურ თუ რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირების პროვოცირებას ცდილობენ.

არავისთვის საიდუმლო არაა, რომ **„ნაციონალური მოძრაობა“ თავის დროზე ცდილობდა, ფეხბურთის გულშემატკივრების რიგებში დასაყრდენი მოეძებნა და შეექმნა ორგანიზებული ჯგუფები, რომლებიც მის დაკვეთებს შეასრულებდნენ.** უდანაშაულობის პრეზუმფცია, რა თქმა უნდა, ხელშეუხებელია, მაგრამ კარგი იქნება, თუ დამოუკიდებელი მკვლევარები გამოიძიებენ, კონკრეტულად ვინ გამოფინა რუკა ბაქოში, გულშემატკივრების რომელ ჯგუფში შედიოდა ის და ა. შ. (იმის გათვალისწინებით, რომ ამ საქმეში სამართალდამცავების ჩარევისთვის ფორმალური საფუძველი არ არსებობს). იმედია, ადრე თუ გვიან შევიტყობთ, „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესები იდგა ამ პროვოკაციის უკან თუ რომელიმე სხვა ძალის.

მთავარია, რომ ეს „სასარგებლო იდიოტები“ (ლენინის თქმის არ იყოს) „ნაცმოძრობიდან“ მათზე გაცილებით ჭკვიანმა და გამოცდილმა მანიპულატორებმა არ გამოიყენონ სერიოზული კონფლიქტის პროვოცირებისთვის, თუნდაც იმისთვის, რომ მომავალში ყარაბაღის ახალ კონფლიქტში დაზარალებული მხარის დანაკარგების კომპენსირება სუსტი და პრაქტიკულად დაუცველი საქართველოს ხარჯზე მოახდინონ.

**დიმიტრი მონიავა**



## ევროკავშირთან უვიზო რეჟიმი ორ წელიწადში ამოქმედდება?

საქართველოს პრემიერმინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ვარაუდობს, რომ ევროკავშირთან უვიზო რეჟიმი ორ წელიწადში ამოქმედდება.

„გამოიწვევს თუ არა ეს ხალხის გადინებას? — ადამიანი მიდის უცხოეთში იმიტომ, რომ პერსპექტივას ვერ ხედავს საკუთარ სახლში, საკუთარ ქვეყანაში. მე ვერ წარმომიდგენია, რატომ უნდა წავიდეს ნიჭიერი ახალგაზრდა უცხოეთში, იქ დარჩენის მიზნით, როცა ქვეყანაში აქვს რეალური პერსპექტივები. თუ ჩვენ ადამიანებს აქ შევუქმნით იმის პირობებს, რომ მოახდინონ უცხოეთში მიღებული ცოდნის გამოყენება და საკუთარი თავის რეალიზება, ამ პრობლემის წინაშე არ დავდგებით. რა თქმა უნდა, ნაწილი მაინც წავა და გეტყვით, რომ, ვისაც წასვლა აქვს გადაწყვეტილი, ის მაინც წავა, მნიშვნელობა არ აქვს, იქნება უვიზო რეჟიმი თუ არა“, — აღნიშნა პრემიერმა.



08.08.08

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ომი არ დაწყებულა 8 აგვისტოს, ომი გაცილებით ადრე დაიწყო, მაშინ, როდესაც ცხინვალის დაბომბვა საარტილერიო დანაყოფებმა დაიწყეს და რამდენიმე საათში დაასრულეს. 8 აგვისტოს, გარიჟრაჟზე, ყველაფერი დასრულებული იყო, მოსახლეობა კი უპატრონოდ დარჩა, ოჯახებში მკვდრები ესვენათ, ჩვენი პატრონი არავინ იყო. მადლობა უნდა ვუთხრათ რუსებს, რომ გაცოფებულები არ შემოცვივდნენ და დიდი და პატარა ლიახვის ხალხი ერთიანად არ ამოგვჟუჟეს.“**

# სააკაშვილს ბრალი აგვისტოს ომის გამოც უნდა წაუყენონ

ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ბრალი წაუყენეს და პატიმრობაც შეუფარდეს. კასკადი დანაშაულებისა, რომლებიც მან და მისმა თანაგუნდელებმა ჩაიდინეს, ჩამოთვლილია, ოღონდ ჩამონათვალში არსად არის ნახსენები 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ჩადენილი დანაშაული.
ექვსი წელი გადის აგვისტოს 2008 წლის ომიდან და დღემდე უცნობია, რამ გამოიწვია ომი ორ სახელმწიფოს შორის; ომი, რომლის მონაწილე ჯარისკაცებს შესაბამის დოკუმენტებში „სამხედრო წვრთნების მონაწილე“ უწერიათ.
მკითხველისთვის ცნობილია, რას ედავებიან იმჟამინდელ თავდაცვის მინისტრსა და ქვეყნის მთავარსარდალს საჰაერო ჯარების მაღაჩინოსნები — სააკაშვილი, მისი ბიძა თემურ ალასანია, კეზერაშვილი და შემდეგ უკვე ბაჩანა ახალაია იარაღს უკრაინაში რომ ყიდულობდნენ და საქართველოს გავლით სხვა ქვეყნებში ჰყიდდნენ. პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი ამ ამბავს თავდაპირველად არ იჯერებდა და ბოდვას უწოდებდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც აღნიშნული საქმით ჰილარი კლინტონი დაინტერესდა, დაიჯერა და საზოგადოებას საქმის გამოძიებასაც დაჰპირდა.
გვესაუბრებიან 2008 წლის აგვისტოს ომის უშუალო მონაწილეები:



ტრისტან წითელაშვილი



რევაზ სახვაძე



ვაჟა ხაჭაპურიძე

**«სააკაშვილი და მისი ბანდა არიან ამერიკული სპეცსამსახურების მიერ გაწვრთნილი ჯგუფი, რომელსაც, რასაც დაუკვეთენ შემქმნელები, ყველაფერს პირნათლად ასრულებენ. მათ სხვადასხვა ქვეყანაში გადაისვრიან ხოლმე სწორედ ისე, როგორც ახლა უკრაინაში გადაისროლეს, სააკაშვილისნაირი იყო თავის დროზე ბენ ლადენი. დიახ, ის და მისი ბანდა ამ ტიპის დამნაშავეები არიან»**

**რევაზ სახვაძე, სახმელეთო ჯარების ჰაერსაწინააღმდეგო საზენიტო დივიზიის ვიცეპოლკოვნიკი:**

— აგვისტოს ომის დეტალები გამოძიებული აქამდეც უნდა ყოფილიყო. და რა თქმა უნდა, სააკაშვილს ბრალი აგვისტოს ომის გამოც უნდა წაუყენონ.

**— „ნაცები“ ამბობენ, მოწინააღმდეგის მხრიდან პროვოკაციები განხორციელდაო. თუ ასე იყო, საქართველოს პასუხი არ უნდა გაეცა?**

— ეს საკითხი გამოსაძიებელია, იყო თუ არა ნამდვილად პროვოკაციები. ომი დაიწყეს, წააგეს, რაღაც საშინელ უბედურებაში გაგვხვიეს და ახლა თავს იმართლებენ, პროვოკაციები იყოო. მოკლედ, ეს საქმე გამოსაძიებელია, რათა სიმართლე გაირკვეს.

**— გჯერათ, რომ ამჟამინდელი ხელისუფლება აგვისტოს ომის დეტალებს გამოიძიებს და თქვენ თუ დაგკითხეს?**

— დაკითხვაზე ჯერ არავის დავუბარებივარ, მაგრამ მჯერა, რომ გამოიძიებენ, უნდა გამოიძიონ, ეს მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

**— რატომ თვლით, რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია?**

— იმიტომ, რომ სიმართლე უნდა გაირკვეს და დამნაშავე აუცილებლად დაისაჯოს. **აგვისტოს ომი „ნაცმოძრაობის“ უმთავრესი დანაშაულია, ამ სისაძაგლეს ხალხი და ტერიტორიები გადააყოლეს. ომის ორგანიზატორებმა კი, საკუთარი დანაშაული რომ დაეფარათ, სამხედრო მოსამსახურეები ციხეებში გამოამწყვდიეს, გახსოვთ, ალბათ, 2008 წლის შემდეგ მასობრივი დაპატიმრებები რომ დაიწყეს.**

**— დანაშაულს რომ ამბობთ, რას გულისხმობთ?**

— დაკარგულ და მავთულხლართებით შემორაგულ ჩვენს ტერიტორიას.

**ვაჟა ხაჭაპურიძე, შიდა ქართლის ყოფილი გუბერნატორი:**

**— ბატონო ვაჟა, ექვსი წელი გავიდა აგვისტოს ომიდან. დღემდე გამოძიებული არ არის, რატომ და როგორ დაიწყო ეს ომი ან ვინ დაიწყო, რა წვლილი აქვს სააკაშვილს. როგორ ფიქრობთ, უნდა იყოს თუ არა ეს სამართალდამცავი ორგანოებისთვის საინტერესო?**

— ხელისუფლება რომ შეიცვალა, მაშინვე მივმართე არჩილ კბილაშვილს და იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს, ვუთხარი: თუ თქვენ საქმის მასალები არ გაქვთ, ჩემს მეგობრებთან ერთად მეგზურობას გაგიწევთ ცხინვალისკენ და დოკუმენტურ მასალებს გაგაცნობთ-მეთქი, მაგრამ, როგორც ჩანს, ვიღაცას ამ საქმის დეტალების შესწავლა არ აძლევს ხელს.

**აგვისტოს ომით სააკაშვილს, უბრალოდ, კი არ გაუფუჭებია საქმე, მან კაცობრიობის წინაშე ჩაიდინა დანაშაული. საკუთარ ქვეყანაში უშიშროების საბჭოსთან ერთად ვანდალიზმი ჩაიდინა. როდესაც აგვისტოს ომზე ვსაუბრობთ, მხოლოდ სააკაშვილის დანაშაულზე არ უნდა ვილაპარაკოთ, დამნაშავეა ყველა, ვინც ამ საკითხზე იმსჯელეს და შემდეგ ომის დაწყებაზე თანხმობა განაცხადეს.**

**— ამბობენ, სააკაშვილი იძულებული შეიქნა, თავისი ხალხი დაეცვაო...**

— მტკნარი სიცრუეა. **სრულიად საქართველოს ახსოვს, რომ 2006 წელი შერიგების წლად გამოცხადდა.** ეს იყო უპირობო შერიგება, სტატუსზე მოგვიანებით ვიმსჯელებდით. იმ პერიოდში არ ყოფილა ადამიანის გატაცების ფაქტები, ასეთი რამ თავში აზრად არავის მოუვიდოდა. ასე რომ ყოფილიყო, შერიგებაზე ვისაუბრებდით?

**— შემდეგ რა მოხდა?**

— **რა მოხდა და შერიგებაზე საუბრის დასრულებისთანავე სააკაშვილის ხელისუფლებამ გამოიყვანა ჯერ გოგა ხაინდრავა და რაღაც სისულელეები ალაპარაკა, მერე კი ირაკლი ოქრუაშვილმა გამოაცხადა, 1 იანვარს ცხინვალში შევხვდებით და საქართველოს სადღეგრძელოს ყანწით დავლევთო.**

**— რისთვის სჭირდებოდა სააკაშვილს ამ ომის დაწყება?**

— ზუსტად ამიტომ არის საჭირო ამ საქმის გამოძიება. რა მოხდა? რა გახდა იმის მიზეზი, რომ ნახევარი ცხინვალი დაანგრია და უამრავი ხალხი დახოცა?

სააკაშვილი აგვისტოს ომის გამოც უნდა დაისაჯოს და არა მხოლოდ ის — მის გარშემო ყველა, ვინც ფართომასშტაბიანი ბრძოლის დაწყებას ხელი შეუწყო და მწვანე შუქი აუნთო.

შეცდომისგან დაზღვეული არავიანაა, მაგრამ როგორ შეიძლება, პატარა პროვინციაში, ვიღაც პროვინციელის სულელური გამოხდომის გამო (თუ, რა თქმა უნდა, ასეთი რამ მოხდა), სახელმწიფოს მეთაურმა ფართომასშტაბიანი ბრძოლა დაიწყოს, თანაც ვისთან? სახელმწიფოსთან, რომელსაც ვერასოდეს მოერევი.

კიდევ ვიმეორებ: **მზად ვარ, მეგზურობა გავუწიო აგვისტოს ომით დაინტერესებულ ყველა ადამიანს, მათ შორის თქვენც — ჟურნალისტებსაც, მაგრამ, ვისაც ხელეწიფება ამ საქმის გამოძიება, მათ დაინტერესებას ვერ ვამჩნევ.** არაერთხელ მივმართე ახალ მთავრობას პრესით თუ უშუალოდ, მაგრამ აქამდე პასუხი არ არის. დღეს თუ ხვალ ეს საკითხი დღის წესრიგში დადგება და 2008 წელს მომხდარ ვანდალიზმს თავისი სახელი დაერქმევა.

**ომი არ დაწყებულა 8 აგვისტოს, ომი გაცილებით ადრე დაიწყო, მაშინ, როდესაც ცხინვალის დაბომბვა საარტილერიო დანაყოფებმა დაიწყეს და რამდენიმე საათში დაასრულეს. 8 აგვისტოს, გარიჟრაჟზე, ყველაფერი დასრულებული იყო, მოსახლეობა კი უპატრონოდ დარჩა, ოჯახებში მკვდრები ესვენათ, ჩვენი პატრონი არავინ იყო. მადლობა უნდა ვუთხრათ რუსებს, რომ გაცოფებულები არ შემოცვივდნენ და დიდი და პატარა ლიახვის ხალხი ერთიანად არ ამოგვჟუჟეს.**

სააკაშვილმა უდიდესი დანაშაული ჩაიდინა თავისი ხალხის წინაშე.

**ტრისტან წითელაშვილი, გენერალი:**

— სააკაშვილს აგვისტოს ომის გამო ბრალი აუცილებლად უნდა წაუყენონ და თანაც — რამდენიმე კუთხით. პირველი — სწორედ სააკაშვილის პროვოცირებულია 2008 წლის აგვისტოს ომი. ჩვენ, რამდენიმე ადამიანი, ამ საკითხზე ვმუშაობდით და ვიცით, როგორ და რანაირად დაიწყო ყველაფერი. **სააკაშვილმა ეტაპობრივად, რამდენიმე თვით ადრე დაიწყო პროვოკაციები — საქართველოდან ორი ჯგუფი ცხინვალის მხარეს, როგორც ქართულ, ასევე ოსურ სოფლებში დივერსიულ აქტებს ატარებდა. ეს იმისთვის სჭირდებოდა, რომ მოწინააღმდეგე მხარე ბრძოლაში გამოეწვია. ამის შემდეგ კი აკეთებდა განცხადებებს და აფრთხილებდა რუსეთს, რომ შეიარაღებულ ძალებს გამოიყენებს, განცხადებების შემდეგ დასკვნითი ქმედება სწორედ 2008 წლის აგვისტოს 7-ში დაწყებული ომი იყო.** ის მოულოდნელად დაესხა თავს სოფლებს. მიხეილ სააკაშვილი, ვანო მერაბიშვილი, გიგი უგულავა, გივი თარგამაძე, გიორგი ბარამიძე, გიგა ბოკერია, დავით კეზერაშვილი დასხდნენ და საბრძოლო გეგმა შეცვალეს.

**სააკაშვილს ხელს არ აძლევდა არსებული გეგმით მოქმედება, რადგან ავანტიურაზე მიდიოდა, ყველაფერი შეცვალა სულელური გეგმით, განგაშის საფუძველზე გაიყვანა საბრძოლო ბრიგადები და პირდაპირ ცხინვალის რაიონში შეიყვანა, რითაც საერთაშორისო დანაშაული ჩაიდინა. მინდა პროკურატურას ვუთხრა, რომ სასაცილოა, სააკაშვილს ბრალი წაუყენო „იმედთან“ დაკავშირებით ან რიყის პარკის საქმეზე, მას ბრალი უნდა წაუყენონ ომის პროვოცირებისთვის და იარაღის კონტრაბანდისთვის. მან და მისმა ბიძამ თემურ ალასანიამ აგვისტოს ომით მილიარდები ჩამოწერეს და გაათეთრეს.**

**— დაიწყება თუ არა ამ საქმის გამოძიება?**

— ჩვენ, აგვისტოს ომის მონაწილე რამდენიმე ადამიანი, პროკურატურასთან ვთანამშრომლობთ, საქმეში სააკაშვილის დანაშაულის მამხილებელი ყველა ფაქტი დევს და ვიცი, რომ მოკვლევა მიმდინარეობს. უცხოელი პროკურორები, რომლებიც სააკაშვილის საქმეების შესასწავლად ჩამოვიდნენ, აგვისტოს ომის დეტალებსაც იკვლევენ, რადგან ეს ფაქტი მხოლოდ საქართველოს პროკურატურისა და მართლმსაჯულების პრეროგატივა არ არის. **წინა ხელისუფლების ქმედებები საერთაშორისო სამართლის საქმეა. წინა ხელისუფლების ბანდიტები უკრაინაშიც წარმატებით ახორციელებენ ბინძურ საქმეებს.**

სააკაშვილი და მისი ბანდა არიან ამერიკული სპეცსამსახურების მიერ გაწვრთნილი ჯგუფი, რომელსაც, რასაც დაუკვეთენ შემქმნელები, ყველაფერს პირნათლად ასრულებენ. მათ სხვადასხვა ქვეყანაში გადაისვრიან ხოლმე სწორედ ისე, როგორც ახლა უკრაინაში გადაისროლეს, სააკაშვილისნაირი იყო თავის დროზე ბენ ლადენი. დიახ, ის და მისი ბანდა ამ ტიპის დამნაშავეები არიან. სააკაშვილი უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ შემოგდებული ვირუსია, რომელიც საზოგადოებას წამლავს.

მოამზადა
ეკა ნასყიდაშვილმა

**«წინა ხელისუფლების ქმედებები საერთაშორისო სამართლის საქმეა. წინა ხელისუფლების ბანდიტები უკრაინაშიც წარმატებით ახორციელებენ ბინძურ საქმეებს»**

„ადამიანები, რომლებსაც გავლენა აქვთ მსოფლიო პოლიტიკაზე, სააკაშვილისთვის არ მოიცლიან. სააკაშვილისთვის ჩვენმა პროკურატურამ უნდა მოიცალოს!“

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ჯამბულ გამცემლიძე:

# სააკაშვილი რომ ამაყობს თავისი შვილებით, მათი განათლებით და ამბობს, ძალიან მენატრებაო, მეც მენატრება ჩემი შვილი

**საპატრულო პოლიციის მიერ მოკლული გიორგი გამცემლიძის მამამ, ბატონმა ჯამბულ გამცემლიძემ სოციალური ქსელში გამოქვეყნებული წერილით (რომელსაც აქვე გთავაზობთ) მიმართა საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს. ბატონი ჯამბული იმედოვნებს, რომ ამჟამინდელ ხელისუფლებას ეყოფა პოლიტიკური ნება და მიხეილ სააკაშვილს საბრალდებო სკამზე დასვამს.**



— დღეს მიხეილ სააკაშვილი, შესაძლოა, ოდნავ შეშფოთებულია მოსალოდნელი დაპატიმრების გამო; ოდნავ იმიტომ, რომ ეს კაცი ყოველთვის ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იმყოფება და სრულად ვერ აცნობიერებს მოსალოდნელ საფრთხეს. ბოლო ხანს, ალბათ, ნერვი შეუტოკდა, რადგან ძველებური რიხით ვეღარ საუბრობს, თუმცა დადარდიანებული მაინც არ ჩანს, რადგან იმხელა საცეცები აქვს გადგმული ევროპისა და ამერიკის წამყვან ფიგურებთან, რომ ჰგონია, მაკკეინი და სხვები დაიცავენ, მაგრამ ცდება. **სააკაშვილი მის მიერ გამწარებული ხალხისგან ვერ დაიცავს თავს.** საქართველოში სააკაშვილის რეჟიმის მიერ გამწარებული უამრავი ადამიანი ცხოვრობს, ანუ ისეთები, რომლებსაც შვილები ბელურებივით დაგვიხოცეს სააკაშვილის მიერ ადამიანებზე სანადიროდ გაშვებულმა პოლიციელებმა. სააკაშვილი უნდა გასამრთლდეს, როგორც დამნაშავე, რომელმაც საქართველოში ჩამოაყალიბა ფაშისტური რეჟიმი. ის თავისი მმართველობის პერიოდში იყო სადამსჯელო რაზმების მეთაური და თავისი ქვეყნის მოქალაქეების გამწარებითა და შეურაცხყოფით ტკბობას განიცდიდა. მგონია, რომ ამჟამინდელი ხელისუფლება, ჩემნაირი ადამიანების ტკივილს გულთან მიიტანს.

**— დასავლეთის სახელმწიფოების, განსაკუთრებით — აშშ-ის, მაღალი თანამდებობის პირები თავგამოდებით იცავენ მიხეილ სააკაშვილს, მათ მართლა ადარდებთ საქართველოს ექსპრეზიდენტის ბედი?**

**— არ მგონია, ვინმეს სააკაშვილის დარდი ჰქონდეს. ეს ადამიანები სააკაშვილმა წლების განმავლობაში იყიდა, ფულით დაიმეგობრა. ადამიანები, რომლებსაც გავლენა აქვთ მსოფლიო პოლიტიკაზე, სააკაშვილისთვის არ მოიცლიან. სააკაშვილისთვის ჩვენმა პროკურატურამ უნდა მოიცალოს.** მან პრეზიდენტობის პერიოდში არაერთი აღიარებითი ჩვენება მისცა. მაგალითისთვის საკმარისია აფრასიძეების ოჯახის ამოჟლეტის ბრძანების გაცემაც, რითაც თავს იწონებდა. მხოლოდ ეს ბრძანება ეყოფა მრავალწლიანი პატიმრობის მისასჯელად. ჩვენ, **სააკაშვილის მიერ გაუბედურებული ხალხი მანამ ვერ მოვისვენებთ, სანამ მას საბრალდებო სკამზე არ ვნახავთ.** მგონია, რომ სამართალი პურს ჭამს, უფლის დიდი იმედი მაქვს და დარწმუნებული ვარ, რომ სააკაშვილს საკადრისი მიეზღვება. დაპატიმრებული სააკაშვილის მონახულება ციხეში ნამდვილად არ მინდა, ისევე, როგორც ჩემი შვილის მკვლელი არ მინახავს. სასამართლოზე ვერ მივედი, ვერ შევძელი... ის კი არა, სააკაშვილის ფოტოსაც ვერ ვუყურებ, მეზიზღება. **სააკაშვილის გარეშე ქვეყანაში არაფერი ხდებოდა და სწორედ ეს გარეწარია თავიდათავი ყველა იმ ცოდვისა და უზნეობის, რომლებიც კი იმხანად საქართველში დამკვიდრდა.**

**სააკაშვილი, აგრეთვე, უნდა გასამართლდეს საქართველოს ტერიტორიების დაკარგვისა და სამშობლოს ღალატისთვის. ციხეში მხოლოდ იმიტომ არის ამოსალპობი, რომ მან და მისმა გუნდმა აჭარაში 37 000 თურქი ჩამოასახლეს და მათგან 28000-ს საქართველოს მოქალაქეობა უბოძა.** გარდა ამისა, **სააკაშვილი და მისი გუნდი უნდა გასამართლდნენ 7 ნოემბრისთვის, 26 მაისისთვის, 2008 წლის აგვისტოს ომისთვის.** ჯერ რამდენი უდანაშაულო ბიჭი დახოცა ქუჩაში და შემდეგ — ამ უაზრო ომში! ეს კაცი არის სატანა, რომელიც საქართველოს მოევლინა და დიდება უფალს, რომ მოვიშორეთ, მაგრამ, ვიდრე საბრალდებო სკამზე არ ვნახავ, ვერ მოვისვენებ. **სააკაშვილთან ერთად ბოკერიები, თარგამაძეები და მისი სხვა დამქაშებიც უნდა გასამართლდნენ.** მათ ერთობლივად ჩადენილი დანაშაულები აერთიანებთ და ამიტომ იცავენ ერთმანეთს თავგამოდებით, ერთმანეთის ეშინიათ, რომელიმემ არ დააბეზღოს... სააკაშვილს და მის გუნდს ქართველმა ხალხმა ნიურნბერგის პროცესი უნდა მოუწყოს. აი, ამ სასამართლოზე კი აუცილებლად მივალ.

## «სააკაშვილსა და მის გუნდს ქართველმა ხალხმა ნიურნბერგის პროცესი უნდა მოუწყოს»

**— ერეკლე კოდუას განცხადებებს როგორ შეაფასებთ?**

— მგონია, რომ ეს კაციც ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა და, რას მიედ-მოედებოდა, თვითონაც არ იცოდა. **ბადრი პატარკაციშვილს ახლოს ვიცნობდი და, რაც მასზე იბოდიალა, აბსურდია. ეს ყველაფერი სააკაშვილის გაცემულ დარიგებას ჰგავდა, რადგან კოდუას ნათქვამიდან ერთი სიტყვაც არ იყო არგუმენტით გამყარებული.** რაც უნდა ინტრიგები ხლართონ და ასე აბსურდულად იმართლონ თავი, სააკაშვილი და მისი გუნდი ქუჩაში თავისუფლად ვერ ივლიან. ამის საშუალებას მათ მიერ წლების განმავლობაში გამწარებული ხალხი არ მისცემს!

დღეს სააკაშვილი რომ ამაყობს თავისი შვილებით, მათი განათლებით და ამბობს, ძალიან მენატრებაო... მეც მენატრება ჩემი შვილი, ჩემი შვილიც სწავლობდა ამერიკაში, ატლანტის უნივერსიტეტში; გარეგნობით იყო ვინმეზე ნაკლები, გვარიშვილობით თუ განათლებით? მეც ორ ვაჟს ვზრდიდი, უკან დავდევდი მთელი ცხოვრება... ცოტა ხნის წინათ გიორგის სკოლასთან გავიარე და დავინახე, მამას ორი პატარა ბიჭი მოჰყავდა, ერთი წინ გაექცა, ისევე, როგორც მე გამექცეოდა ხოლმე ჩემი გიორგი პატარაობისას, მივბრუნდი და ტირილი დავიწყე... მეტი აღარ შემიძლია, დედა მიტირა ამ კაცმა!..

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**



## «სააკაშვილის გარეშე ქვეყანაში არაფერი ხდებოდა და სწორედ ეს გარეწარია თავიდათავი ყველა იმ ცოდვისა და უზნეობისა, რომლებიც კი იმხანად საქართველში დამკვიდრდა»

## ჯამბულ გამცემლიძის ღია წერილი მიხეილ სააკაშვილს

„მიშა სააკაშვილს!

შენს სურათთან ერთად მინდოდა ეს წერილი გამომექვეყნებინა, მაგრამ ვერ ავიტანე სურათი და მოვაშორე აქაურობას. შენ ხარ ჩემი და ყველა იმ მშობლის შვილის მკვლელი, რომლებიც ბელურებივით დაახოცინე ქუჩაში გამოსულ პოლიციელ „მონადირეებს“. ვერ ასცდები სასამართლოსა და ხალხის რისხვას, ვერა! ბოკერია და მისი ცოლი ვერ გიშველიან, მათ თავისი გასჭირვებიათ, ვერც გივი თარგამაძე გამოგადგება ვექილად და ვერც კოტე გაბაშვილი თავისი ოჯახით, ვერც შენი ნაცაქტივი გიშველის, რომელიც შენთან მხოლოდ დანაშაულებრივად არის დაკავშირებული. ასე რომ, გაემზადე... შენი დაჭერით კი არ დაშავდება რამე, არამედ „გათეთრდება“. ძალიანაც არ გინდა, რომ ციხეში ჩაჯდე, მაგრამ, აბა, ჰკითხე ჩვენს შვილებს, — უნდათ მიწაში წოლა? აცხადებ, შეცდომები შეიძლება მოუვიდეს პრეზიდენტსო და ხელშეუხებლობის გარანტიას ითხოვ. მითხარი, ჩვენმა შვილებმა რა დააშავეს, სამუდამოდ რომ გაუშვი მოუსავლეთში — ბუტა რობაქიძე, სანდრო გირგვლიანი, ზურა ვაზაგაშვილი, გია კრიალაშვილი, თეთრაძე, შავაძე, გურამ შარაძე, ზურა ჟვანია, ბადრი პატარკაციშვილი, გიორგი გამცემლიძე და კიდევ რამდენი, უფალმა უწყის. ეს ადამიანები ხომ შენი ხუშტურების მსხვერპლნი არიან. შენ ციხეში უნდა ჩალპე, ქუჩაში ვერასდროს გაივლი — ეს გარანტირებული გაქვს, სამუდამოდ დაიმსახურე ზიზღი ხალხისა, რომელიც ცხოვრობს იმ ქვეყანაში, რომლის პრეზიდენტიც, გეგონა, რომ სულ იქნებოდი. წყეული იყავ შენ და შენი მოდგმა უკუნისი უკუნისამდე, ამინ!“.

## სახელმწიფოსგან საჩუქრად 5000 ლარი — სექტემბრიდან ახალი სახალხო პროგრამა ამოქმედდება



**საქართველოს პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, სახელმწიფო ფარგლებში პროგრამისა „აწარმოე საქართველოში“ სექტემბრიდან ახალი სახალხო პროგრამა ამოქმედდება, რომელიც საქართველოს ყველა რეგიონში მიკროსაწარმოების შექმნას ისახავს მიზნად.** საქართველოს ყველა რეგიონში მცხოვრებ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს საშუალება მიეცემა, პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფოსგან საჩუქრად მიიღოს 5000 ლარამდე ფინანსური დახმარება, ასევე, საგანმანათლებლო და საინფორმაციო მხარდაჭერა, რათა შექმნას მიკროსაწარმო და მოახდინოს მისი თვითდამკვიდრება და განვითარება. ახალი პროგრამის პროექტი ეკონომიკური საბჭოს წევრებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ ქეთევან ბოჭორიშვილმა წარუდგინა.

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქმე აღძრულია სისხლის სამართლის 125-ე მუხლით, რომელშიც ლაპარაკი არ არის იარაღის უკანონო ტარებასა და მის გამოყენებაზე, ამოღებული არ არის მასრები, დადგენილი არ არის, ჰქონდა თუ არა იარაღის ტარების უფლება პიროვნებას, რომელმაც 8-ჯერ გაისროლა? არადა, ამ პროვოკაციის შედეგად ქვეყანა შეიძლებოდა უდიდესი საფრთხის წინაშე აღმოჩენილიყო — ასეთი, ვითომ უმნიშვნელო დაპირისპირება, ხომ ხშირად გადაზრდილა დიდ კონფლიქტში?!**

# სახიფათო ფარსი — ვინ და რატომ ცდილობს სომეხი სასულიერო პირის დანაშაულის მიჩქმალვას?

**19 ივლისს თბილისში, ავლაბარში მდებარე სომხურ ეკლესია სურბ ეჩმიაძინთან მომხდარმა დაპირისპირებამ ამ ეკლესიის მღვდელმსახურსა და მოქალაქეებს შორის დიდი ხმაური გამოიწვია. თვითმხილველთა განმარტებით, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილმა სომეხმა მღვდელმა შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართა გოგონას, რომელმაც ავტოსადგომზე მანქანა გააჩერა. ეს შენიშნეს იქვე მყოფმა ახალგაზრდებმა, რომელთა შორისაც სომხებიც იყვნენ. ისინი გოგონას (თავიანთი მეგობრის მეუღლეს) გამოესარჩლნენ, რასაც დაპირისპირება მოჰყვა.**

სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიამ მომხდარი დაგეგმილ თავდასხმად შეაფასა. „აღნიშნული ინციდენტიდან 2 საათის შემდეგ, მამაკაცი, რომელიც კონფლიქტში იყო ჩაბმული 50 მამაკაცისგან მობილიზებული ჯგუფით, რომელთაგან ზოგიერთი შეიარაღებული იყო ცივი იარაღით, მოუახლოვდა ეკლესიას და დაიწყო ჩხუბი სასულიერო პირებსა და ეპარქიის თანამშრომლებთან, ამავე დროს, აგინებდნენ სომხებს," — ეწერა პრესრელიზში, რომელიც სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიის პრესსამსახურმა გაავრცელა.

გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" ჟურნალისტები ინციდენტიდან რამდენიმე საათის შემდეგ ვესაუბრეთ კონფლიქტის მონაწილეებს, თვითმხილველებს და გავარკვიეთ, რომ დაპირისპირებაში, რომლის დროსაც ცეცხლსასროლი იარაღიდან 8 ტყვია გაისროლეს, სულ ათიოდე ახალგაზრდა მონაწილეობდა. არც ერთ მათგანს იარაღი არ ჰქონია.

სურბ ეჩმიაძინის პრესსპიკერმა სუსანა ხაჩატურიანმა გვითხრა, რომ მისმა „დირექტორმა" გაისროლა, მისი „დირექტორი" კი, ლოგიკურად, სასულიერო პირი უნდა იყოს.

გარდა ამისა, საუბრობენ იმაზეც, რომ სომხური ეკლესიის ადვოკატები ცდილობენ, მიჩქმალონ ტერტერას დანაშაული, რომელმაც ინციდენტის დროს თვითმხილველების განცხადებით, 8-ჯერ გაისროლა, უფრო მეტიც, ისინი ცდილობენ, ეს პროვოკაციული ინციდენტი ეთნიკური დაპირისპირების ჭრილში გადაიყვანონ.

აღსანიშნავია, რომ საქმე აღძრულია სისხლის სამართლის 125-ე მუხლით, რომელშიც ლაპარაკი არ არის იარაღის უკანონო ტარებასა და მის გამოყენებაზე, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ამოღებული არ არის მასრები, დადგენილი არ არის, ჰქონდა თუ არა იარაღის ტარების უფლება პიროვნებას, რომელმაც 8-ჯერ გაისროლა. არადა, ამ პროვოკაციის შედეგად ქვეყანა შეიძლებოდა უდიდესი საფრთხის წინაშე აღმოჩენილიყო — ასეთი, ვითომ უმნიშვნელო დაპირისპირება ხომ ხშირად გადაზრდილა ეთნიკურ კონფლიქტში?! წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, ერევანში, ეჩმიაძინში ქართველ სასულიერო პირს იარაღიდან სროლა რომ აეტეხა? სომხები მას სასტიკად დასჯიდნენ და მართალნიც იქნებოდნენ...

ჩნდება ეჭვი, რომ ეს ფარსი მართლაც ეთნიკური შუღლის გასაღვივებლად დაიდგა და ამიტომ ეს საქმე სამართალდამცველებმა გულმოდგინედ, ყველა ნიუანსის გათვალისწინებით უნდა გამოიძიონ. არადა, ჩანს, გამოძიება სწორი მიმართულებით არ მიმდინარეობს.

გვესაუბრებიან სომხური ეკლესიის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი **ლევონ ისახანიანი,** შინაგან საქმეთა პრესსამსახურის უფროსი **ნინო გიორგობიანი,** ადვოკატი **მაგდა კოტრიკაძე,** ასევე, ინციდენტის ერთ-ერთი მონაწილე, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა.

**ლევონ ისახანიანი,** **სომხური ეკლესიის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი:**

**— ბატონო ლევონ, 19 ივლისს ეკლესიის ეზოში მომხდარი კონფლიქტის დეტალებზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. დაპირისპირების მონაწილეები ამბობენ, რომ ცეცხლსასროლი იარაღიდან სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილმა სასულიერო პირმა გაისროლა...**

— გთხოვთ, შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურს დაუკავშირდეთ, ვერაფერს გეტყვით. ტყუილია, როდესაც ამბობენ, რომ სასულიერო პირმა გაისროლა. თუ ასეთი მოწმე არსებობს, რომელიც ადასტურებს, რომ მღვდელმა ისროლა, გთხოვთ, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიაწოდოთ ინფორმაცია ამის შესახებ. სწორედ მათ უნდა გამოიძიონ ეს საქმე და დამნაშავე დაისაჯოს. წესით, მათ უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია ეპარქიის მხრიდანაც და თვითმხილველებისგან მიწოდებულიც.

**— თქვენმა პრესსპიკერმა სუსანა ხაჩატურიანმა განგვიცხადა, „ჩემმა დირექტორმა ისროლა"-ო. მან ისიც გვითხრა, რომ ამ პიროვნებას იარაღის ტარების უფლება აქვს.**

— გასროლა არ მომხდარა.

**— ბატონო ლევონ, თვითმხილველები ამბობენ, რომ ჰაერში რვაჯერ ისროლეს.**

— შინაგან საქმეთა სამინისტრო ყველაფერს დაადგენს.

**— სუსანა ხაჩატურიანის ნათქვამს თუ დავეყრდნობით, სავარაუდოდ, მისი „დირექტორი", რომელმაც ისროლა, სასულიერო პირი უნდა ყოფილიყო.**

**— ქალბატონმა სუსანამ თქვა, რომ ჩვენმა თანამშრომელმა ისროლა, ეკლესიაში კი ყველა სასულიერო პირი არ არის, პირადად მე სასულიერო პირი არ ვარ.**

— ამ თანამშრომელს იარაღის ტარების უფლება ჰქონდა?

**— დიახ, ჰქონდა, მაგრამ მაინც გეტყვით, რომ გამოძიების პასუხს ველოდებით.**

**ჩვენთვისაც მნიშვნელოვანია დადგენა, ვინ არის იმის მოწმე, რომ იარაღიდან სასულიერო პირმა გაისროლა, ჩვენ ვთვლით, რომ ეს არის ტყუილი. თქვენი ვალიცაა, რომ სამართლადამცავებს მიაწოდოთ ყველა ინფორმაცია, რომელსაც ფლობთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩავთვლით, რომ ეს მიზანმიმართული ცილისწამებაა.** ცილისწამებაზე კი თვალს ვერ დავხუჭავთ.

**— თქვენ მაშინვე განაცხადეთ, რომ ჩხუბი ეთნიკურ ნიადაგზე დაიწყო და ქართული მედიასაშუალებები და ეკლესია ოფიციალური წერილით ეთნიკური შუღლის გაღვივებაში დაადანაშაულეთ. დღეს სისხლის სამართლის საქმე, როგორც ვიცი, ხულიგნობის მუხლით არის აღძრული...**

— ჩვენ ყველა ინფორმაცია, რაც ხელთ გვქონდა, შინაგან საქმეთა სამინისტროს მივაწოდეთ. ახლა ძიების დასრულებას ველოდებით. ჩვენ გვქონდა ასევე კადრები იმისა, რაც მოხდა სინამდვილეში. ვნახოთ, როგორ შეაფასებენ ამ ინციდენტს.



ინციდენტი სომხურ ეკლესიასთან
დაპირისპირებულ მხარეთა პოზიციები

**ჩნდება ეჭვი, რომ ეს ფარსი მართლაც ეთნიკური შუღლის გასაღვივებლად დაიდგა და ამიტომ ეს საქმე სამართალდამცველებმა გულმოდგინედ, ყველა ნიუანსის გათვალისწინებით უნდა გამოიძიონ. არადა, ჩანს, გამოძიება სწორი მიმართულებით არ მიმდინარეობს**

**ინციდენტის ერთ-ერთი მონაწილე:**

— ის, რომ ჩხუბი ნამდვილად მანუკამ დაიწყო, ვიცით. ვიცით ისიც, რომ იარაღი ეკლესიიდან გამოსულმა პიროვნებამ ისროლა. იმ არეულობაში ძნელი გასარკვევი იყო, ვინ ისროდა, მაგრამ ერთმა ადამიანმა, რომელიც იმ ადგილზე ვაჭრობს, გვითხრა, ტერტერამ ისროლა, სამოქალაქო ფორმაში იყო და ძლივს ვიცანიო. ჩვენ, ყველანი, უიარაღოდ ვიყავით, ჯაყვაც კი არ გვედო ჯიბეში. ისე, რომ გვქონოდა, მართლაც საშინელება მოხდებოდა. გადავრჩით.

**— დაკითხვაზე არ დაუბარებიხართ?**

— არა, არავის დაუკითხივართ. ისე, ვის უნდა, რომ დაკითხვაზე ირბინოს?

**ნინო გიორგობიანი,** **შინაგან საქმეთა პრესსამსახურის უფროსი:**

**— ქალბატონო ნინო, 19 ივლისს სომხურ ეკლესიაში მომხდარზე გამოძიება თუ დაიწყო?**

— დიახ, გამოძიება დაიწყო. ოღონდ ჩხუბი ეკლესიაში არ მომხდარა, ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა.

**— ნაპოვნი თუ არის მასრები და თუ გაირკვა, ვინ ისროლა?**

— ჯერ გარკვეული არაფერია. საქმე აღძრულია სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლით. 19 ივლისს ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე შელაპარაკება ყოფით ნიადაგზე მოხდა, მანქანის გაჩერების გამო.

**— ქალბატონო ნინო, 125-ე მუხლში ნახსენები არ არის იარაღი. არადა, თვითონ სომხური ეკლესიის წარმომადგენლებიც კი არ უარყოფენ, რომ გასროლა ნამდვილად მოხდა.**

— მიმდინარეობს გამოძიება და გაირკვევა.

**მაგდა კოტრიკაძე,** **ადვოკატი:**

**— ქალბატონო მაგდა, საქართველოში არსებული კანონმდებლობით, ვის აქვს ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლება?**

— ძალოვანი უწყების თანამშრომლებს და რიგ შემთხვევაში — ყოფილ თანამშრომლებს, ისიც მხოლოდ მაშინ, თუ მაღალჩინოსანი იყო. არის გამონაკლისებიც, მაგრამ მათ არ შეუძლიათ საბრძოლო, ანუ ნამდვილი ტყვიების გამოყენება.

**— გამონაკლისებში თუ შედიან სასულიერო პირები, კონფესიას მნიშვნელობა არ აქვს?**

**— ვიცი, რაზეც აკეთებთ აქცენტს. მანდ მოხდა დარღვევა და უფლებამოსილების გადამეტება.**

**წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, ერევანში, ეჩმიაძინში ქართველ სასულიერო პირს იარაღიდან სროლა რომ აეტეხა. სომხები მას სასტიკად დასჯიდნენ და მართალნიც იქნებოდნენ...**

**ცნობისათვის:**

**სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლი. ცემა**

**1. ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რომელმაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ამ კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე, ანდა გამასწორებელი სამუშაოთი ვადით თხუთმეტ თვემდე.**

**2. იგივე ქმედება, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით თხუთმეტიდან ოცდაოთხ თვემდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.**

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

ესპანეთში (60 ათასი მართლმადიდებელი ქრისტიანი — მოსახლეობის 0,13%) მოსამართლე ფერნანდო კალამატი სამსახურიდან 18 წლით დაითხოვეს იმის გამო, რომ ჰომოსექსუალ წყვილს ბავშვის შვილად აყვანის უფლება არ მისცა. მოსამართლემ თავისი გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ ჰომოსექსუალებისთვის ბავშვის შვილად დაკანონება მის რელიგიურ მრწამს ეწინააღმდეგებოდა.

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მართლმადიდებლობა — ყველაზე დევნილი რელიგია

**მსოფლიოში ქრისტიანების დევნა კატასტროფულ მასშტაბს აღწევს. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, ამჟამად დევნას განიცდის ქრისტეს სწავლების 100 მილიონამდე მიმდევარი, ყოველწლიურად კი იღუპება 100 ათასი ქრისტიანი, მათ დევნიან და კლავენ არა მხოლოდ ახლო აღმოსავლეთში, ჩრდილოეთ და სამხრეთ აფრიკასა და აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთში, არამედ ევროპის სახელმწიფოებშიც, სადაც ქრისტიანობა საუკუნეების განმავლობაში საფუძვლად ედო მათ ცივილიზაციას. დღეს ქრისტიანებს უპირისპირდებიან... თვითონ ქრისტიანები.**

საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაცია Open Doors-ის მიერ გამოქვეყნებული 2013 წლის მონაცემებით, უკვე 12 წელიწადია, ქვეყნების ჩამონათვალს, რომლებშიც ქრისტიანების შევიწროების პრობლემა ძალიან მწვავედაა, სათავეში უდგას **კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა** (ცხოვრობს 500 მართლმადიდებელი ქრისტიანი), სადაც ქრისტეს სწავლების 70 ათასი მიმდევარი ბანაკებსა და ციხეებშია გამომწყვდეული. ამ ქვეყანაში არა მხოლოდ ქრისტიანულ ტაძარში შესვლისთვის შეიძლება დაგაპატიმრონ, არამედ სახლში ბიბლიის ქონისთვისაც.

მეორე ადგილზეა **სომალი** (არც ერთი მართლმადიდებელი ქრისტიანი). ამ ქვეყანაში წლიდან წლამდე ქრისტიანების განადგურება ლამის ღირსების საქმედ ითვლება. ქრისტიანობას აღიარებს მცირერიცხოვანი ბანტუს ტომი (სომალის მოსახლეობის 95 პროცენტი მუსლიმანია), რომელიც საუკუნეებია, დევნას განიცდის, მათ უფლება არ აქვთ, პოლიტიკურ პროცესებში ჩაერთონ და განათლება მიიღონ.

ქრისტიანთა მდევნელ ქვეყნებს შორის მესამეა **სირია (1.4 მილიონი მართლმადიდებელი ქრისტიანი, მოსახლეობის 7,5%).** მხოლოდ 2013 წელს სირიაში 1200 ქრისტიანი მოკლეს, 600 ათასი კი იძულებული შეიქნა, ქვეყანა დაეტოვებინა. ქრისტიანული ტაძრების 30 პროცენტი დანგრეულია.

2013 წელს **ეგვიპტეში (18 ათასი მართლმადიდებელი ქრისტიანი, მოსახლეობის 0,002%)** ქრისტიანების დევნის უპრეცედენტო დევნა დაიწყო. 38 ტაძარი მიწასთან გაასწორეს, 23 — დააზიანეს, ქრისტიანი კოპტების 58 სახლი გაძარცვეს და დაწვეს. 6 ქრისტიანი მოკლეს, 7 გაიტაცეს. ცნობები ქრისტიანების მკვლელობისა და დევნის შესახებ მოდის ერაყიდან, ირანიდან, ავღანეთიდან, საუდის არაბეთიდან, პაკისტანიდან, ლიბიიდან, ერითრეიდან, იემენიდან, სუდანიდან, მალდივის კუნძულებიდან. ცალკე აღნიშვნის ღირსია **ნიგერია (4 ათასი მართლმადიდებელი ქრისტიანი, მოსახლეობის 0.003%),** სადაც მოქმედებს დაჯგუფება „ოკო ჰარამი" („დასავლური განათლება ცოდვაა"). ამ დაჯგუფებამ მხოლოდ ერთი კვირის განმავლობაში 500 ქრისტიანი მოკლა, გაიტაცა 16-18 წლის 276 გოგონა და ისლამი მიაღებინა.

**ქრისტიანოფობიის გაძლიერებაში თავისი წვლილი შეიტანა „არაბულმა გაზაფხულმაც": რევოლუციური გარდაქმნების ტალღაზე რეგიონში გაძლიერდნენ ტერორისტები და ისლამისტები.**

არაბულ ქვეყნებში ქრისტიანების დევნა შეიძლება გაიგო, მაგრამ ძალიან ძნელია იმ აზრთან შეგუება, რომ ქრისტიანებს ჭეშმარიტი ქრისტიანული ცივილიზაციის ქვეყნებშიც დევნიან.

აი, რამდენიმე ფაქტი:

* **ესპანეთში (60 ათასი მართლმადიდებელი ქრისტიანი, მოსახლეობის 0,13%)** მოსამართლე ფერნანდო კალამატი სამსახურიდან 18 წლით დაითხოვეს იმის გამო, რომ ჰომოსექსუალ წყვილს ბავშვის შვილად აყვანის უფლება არ მისცა. მოსამართლემ თავისი გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ ჰომოსექსუალებისთვის ბავშვის შვილად დაკანონება მის რელიგიურ მრწამსს ეწინააღმდეგებოდა.

* **გერმანიაში (1.5 მილიონი მართლმადიდებელი ქრისტიანი, მოსახლეობის 1,8%),** კიოლნის უნივერსიტეტში, ჰომოსექსუალმა სტუდენტებმა ფილოსოფიის პროტესტანტი პროფესორის — ედიტ დიუზინგის, ლექცია ჩაშალეს. ასე იმიტომ მოიქცნენ, რომ 2009 წელს ფრაუ დიუზინგი მათ შორის იყო, ვინც ფსიქოლოგთა კონგრესზე წინააღმდეგი იყვნენ იმ ლექციების გაუქმებაზე, რომელთა ავტორიც ჰომოსექსუალიზმისგან განკურნების შესაძლებლობებს იკვლევდა.

* **საფრანგეთში (240 ათასი მართლმადიდებელი ქრისტიანი, მოსახლეობის 2%)** ფრანგი კათოლიკეების 67 პროცენტი მიიჩნევს, რომ სკოლებში მათი შვილების სარწმუნოებრივი უფლებები ირღვევა.

* **საბერძნეთში (10,5 მილიონი მართლმადიდებელი ქრისტიანი, მოსახლეობის 99%)** მართლმადიდებელ მღვდელს პირობითი სასჯელი მიუსაჯეს იმისათვის, რომ „ძალიან ხშირად და ძალიან ხმამაღლა" რეკდა ზარს.

* **დიდ ბრიტანეთში (450 ათასი მართლმადიდებელი ქრისტიანი, მოსახლეობის 0,8 %)** ერთ-ერთი ავიაკომპანიის სტიუარდესები — შირლი ჩაპლინი და ნადი ევეიდი სამსახურიდან დაითხოვეს იმის გამო, რომ უარი თქვეს სამუშაო დღეებში ყელიდან ჯვრის მოხსნაზე. ფსიქოლოგი ჰარი მაკფერლინი და რეგისტრატორი ლილიან ლადენი დისციპლინარული სასჯელით დასაჯეს ერთსქესიანთა ქორწინების რეგისტრაციაზე უარის თქმის გამო. დიდ ბრიტანეთში ყოველწლიურად ათასობით ასეთი შემთხვევა ხდება.



**2004 წლის 1 ივნისს კუმურდოსა და ახალქალაქის ეპარქიის სოფელ ფოკაში, როცა ღია ცის ქვეშ მდებარე ტრაპეზზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ღვთისმსახურებას ატარებდა, ადგილობრივი სომხები მივიდნენ, რომლებმაც განაცხადეს, რომ ეს ტერიტორია სომხეთს ეკუთვნოდა და მათ იქაურობა უნდა დაეტოვებინათ. ამ პროვოკაციას კონფლიქტი მოჰყვა — სომხებმა მრევლის ავტობუსები ამოაყირავეს და საქართველოს პატრიარქზეც გაიწიეს...**

ევროპაში რელიგიური მრწამსის გამოვლენის აკრძალვა დაკავშირებულია ტოლერანტულობის იდეასთან. ქრისტიანულ სიმბოლოებზე უარის თქმას სკოლებში ხსნიან იმით, რომ „სხვა სარწმუნოების მიმდევრები არ განაწყენდნენ", ზოგჯერ ეს კომიკურ შედეგს იწვევს. მაგალითად, **ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელის (სადაც ევროკავშირის შტაბბინაა) ცენტრში შობის წინ ტრადიციულად იდგმებოდა ნაძვის ხე, მაგრამ 2012 წელს ის აბსტრაქტული კონსტრუქციით (აქ, ალბათ, გაგახსენდებათ თბილისში, პარლამენტის შენობის წინ დადგმული ნაძვის ხის ფორმის აბსტრაქციული კონსტრუქცია) შეცვალეს. შედეგად უკმაყოფილო დარჩა ყველა:** ქრისტიანებმა ჩათვალეს, რომ მათ ტრადიციული სიმბოლო წაართვეს. მუსლიმებმა, რომლებიც ქალაქის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ, განაცხადეს, რომ, ჩვეულებრივის ნაცვლად, მათ ავანგარდული ნაძვი დაუდგეს, ადგილობრივი ესთეტების აზრით კი, ინსტალაცია ჰარმონიულად არ ერწყმის რატუშას.

ზოგიერთი ევროპელი მორწმუნე ხშირად იძულებულია, საკუთარი მრწამსის წინააღმდეგ წავიდეს და ევროპის ხელისუფლების ანტიქრისტიანულ პოლიტიკას დაემორჩილოს. მაგალითად, **ირლანდიაში (3 ათასი მართლმადიდებელი ქრისტიანი, მოსახლეობის 0,07%)** თითქმის ყველა ეკლესია ვალდებულია, ერთსქესიანთა ქორწინების ცერემონია ჩაატაროს.

**ნორვეგიის (2,5 ათასი მართლმადიდებელი ქრისტიანი, მოსახლეობის 0,05%)** ქრისტიან ექიმებს, კანონით, უარის თქმის უფლება არ აქვთ აბორტის გაკეთებაზე. უფრო მეტიც, თუ ისინი პაციენტს უარს ეტყვიან ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების გამოწერაზე, ექიმის ლიცენზიას დაკარგავენ. ანალოგიური რამ ხდება **შვედეთშიც (94 ათასი მართლმადიდებელი ქრისტიანი, მოსახლეობის 1%).**

დღეს ქრისტიანებს ავიწროებენ არა მხოლოდ ათეისტურად და ანტირელიგიურად განწყობილი პოლიტიკოსები, არამედ თვითონ ქრისტიანებიც. მაგალითად, **ჩრდილოეთ ირლანდიაში (არც ერთი მართლმადიდებელი ქრისტიანი)** დღემდე მოქმედებენ პროტესტანტული და კათოლიკური გასამხედროებული ორგანიზაციები, რომლებიც მზად არიან, ხოცვა-ჟლეტა მოაწყონ თავიანთი პოლიტიკური იდეების დასაცავად.

ქრისტიანთა შორის თანხმობა არ არის **უკრაინაშიც (26,7 მილიონი მართლმადიდებელი ქრისტიანი, მოსახლეობის 58,5%).** 2 ათეული წლის განმავლობაში ნაციონალისტური ტენდენციების გაძლიერებამ და ეკლესიის შიგნით წარმოქმნილმა განხეთქილებამ მართლმადიდებლურ ეკლესიას პრობლემები შეუქმნა. ამჟამად მიმდინარე პროცესებმა კი კიდევ უფრო დაამძიმა ვითარება.

რა ხდება ამ მხრივ **საქართველოში (3,2 მართლმადიდებელი ქრისტიანი, მოსახლეობის 78,1%),** სადაც სააკაშვილის რეჟიმი უცხოეთიდან დაფინანსებული ორგანიზაციების („თავისუფლების ინსტიტუტი" და სხვ.) მეშვეობით გააფთრებით უტევდა საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას?

**გთავაზობთ საქართველოში მართლმადიდებელთა უფლებების დარღვევის ფაქტებს, რომლებიც თეოლოგმა, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორმა ლაშა ცაიშვილმა გაავრცელა:**

1) 2004 წლის 23 სექტემბერს ეკონომიკის სამინისტრომ გაყიდა მანგლისის ეპარქიის ტერიტორია, სადაც მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის ტაძარი მდებარეობდა. ახალმა მეპატრონემ ტაძარში ღვთისმსახური მამა გიორგი არ შეუშვა;

2) 2004 წელს, აღდგომის დიდმარხვაში, ბოლნისის რაიონის სოფელ ცურტავში მდებარე ქეთევან წამებულის ტაძრის კარიბჭეზე ადგილობრივმა მუსლიმანმა ფანატიკოსებმა ცხვრის ლეში დაკიდეს, რითაც მართლმადიდებლური სიწმინდე შეურაცხყვეს. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ იმ დღეს 60 ადგილობრივი მუსლიმანი მართლმადიდებლად მოინათლა;

**3) 2004 წლის 1 ივნისს, კუმურდოსა და ახალქალაქის ეპარქიის სოფელ ფოკაში, როცა ღია ცის ქვეშ მდებარე ტრაპეზზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ღვთისმსახურებას ატარებდა, ადგილობრივი სომხები მივიდნენ, რომლებმაც განაცხადეს, რომ ეს ტერიტორია სომხეთს ეკუთვნოდა და მათ იქაურობა უნდა დაეტოვებინათ. ამ პროვოკაციას კონფლიქტი მოჰყვა — სომხებმა მრევლის ავტობუსები ამოაყირავეს და საქართველოს პატრიარქზეც გაიწიეს.**

4) 2004 წელს თბილისში, ვერაზე მდებარე წმინდა პანტელეიმონის ეკლესიაში სტუმრად ბრძანდებოდნენ ანგლიკანური ეკლესიის სასულიერო პირები, რომლებმაც მოლოცვის შემდეგ საკურთხეველში შესვლის სურვილი გამოთქვეს, რაზეც, მართლმადიდებლური კანონიკის თანახმად, უარი მიიღეს. მართლმადიდებლური კანონიკის მიხედვით, საკურთხეველში შესვლა კურთხევის გარეშე მართლმადიდებლებისთვისაც დაუშვებელია. მიუხედავად ამისა, მეორე დღესვე ,,საზოგადოებრივ მაუწყებელზე" სახალხო დამცველისა და ,,თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენლებმა საქართველო რელიგიურ შეუწყნარებლობაში დაადანაშაულეს, თუმცა მართლმადიდებელთა უფლებები არავის გახსენებია;

**5) 2005 წელს რუსთავში, აღდგომის დიდმარხვაში, უცნობმა პირებმა შებღალეს საძმო სასაფლაო, შეურაცხყვეს ქრისტიანული სიწმინდეები და დაამტვრიეს ორმოცამდე საფლავის ჯვარი. ამ ვანდალიზმის გამოძიებით არავის მოუკლავს თავი.**

6) 2005 წელს ჯანდაცვის სამინისტროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტმა, განათლების სამინისტრომ და ადვენტისტთა დახმარებისა და განვითარების სააგენტომ, ერთდროულად ანტინიკოტინური აქცია განახორციელეს, რომლებიც თვალის ასახვევად გამოიყენეს ადვენტისტებმა. 3-4 ლექციის შემდეგ ისინი თავიანთ მოძღვრებას ქადაგებდნენ და ნიკოტინი საერთოდ აღარ ახსოვდათ;

**7) 2005 წლის 31 მარტს ისტორიის მუზეუმ ,,ქარვასლაში" გაიხსნა მხატვართა ერთი ჯგუფის გამოფენა, სახელწოდებით ,,სადილი ყველას". საგამოფენო დარბაზში იდგა უნიტაზი, რომელზეც წმინდა სახარება იდო...**

8) 2008 წლის დეკემბერში საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა სომხეთის პრეზიდენტი — სერჟ სარგსიანი. მან, სხვა სომეხმა სტუმრებმა და პარლამენტარმა გოგა ხაჩიძემ შეამტვრიეს ერთ-ერთი ეკლესიის კარი, რომელსაც სომხები იჩემებენ;

**9) 2008 წლის 10 აგვისტოს მცხეთის რაიონის სოფელ ქანდაში, უცნობმა პირებმა წმინდა გიორგის ტაძარი შეურაცხყვეს. ქანდაში საკმაოდ ბევრი სექტანტი ცხოვრობს და, სავარაუდოდ, ეს საშინელება მათ ჩაიდინეს;**

10) 2009 წლის ოქტომბერში ,,თავისუფლების ინსტიტუტის" აღმასრულებელმა დირექტორმა თეა თუთბერიძემ ინტერნეტში გაავრცელა პატრიარქის შეურაცხმყოფელი ვიდეორგოლები. ხალხი აღშფოთდა. სახალხო დამცველთან ეკლესიასთან დაპირისპირებული პირები და ადამიანის უფლებათა დამცველები შეიკრიბნენ და დაასკვნეს, რომ თუთბერიძის გამოხატვის თავისუფლება დაცული უნდა ყოფილიყო. ეს სადავო არ არის, მაგრამ თუთბერიძემ თავისი გამოხატვის უფლებით მილიონობით ადამიანის რელიგიური გრძნობები რომ შეურაცხყო, ამაზე არაფერი უნდა ითქვას?!

**მოამზადა**
**ნიკა მაისურაძე**

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მთელ მსოფლიოში ამ სანქციების ძალით შექმნილი მდგომარეობიდან გამარჯვებული არავინ გამოვა. ეკონომიკური ომი, როგორც ომი საერთოდ, იწვევს დიდ ნგრევასა და ზარალს ყველა დაპირისპირებული ქვეყნისთვის.“**

# რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების მესამე პაკეტი ამოქმედდა

# ვინ დარჩება წაგებული?

**სააგენტო „როიტერი“ იტყობინებოდა, რომ დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიისა და აშშ-ის ლიდერები სატელეფონო მოლაპარაკების შედეგად შეთანხმდნენ რუსეთისთვის მესამე დონის სანქციების დაწესებაზე.**



სანქციები დაწესდა.

თავდაპირველად პოლიტიკოსებისა და ექსპერტების მხრიდან ამ საერთაშორისო აქტს კატეგორიულად განსხვავებული და ცალმხრივი შეფასება მოჰყვა. ერთნი დარწმუნებით აცხადებდნენ, რომ ამით დააჩოქებდნენ რუსეთს, მეორენი — ევროკავშირი გაცილებით წაგებულ მდგომარეობაში აღმოჩნდებაო.

დიდი დრო არ დასჭირვებია იმას, რომ ორივე მხარეს საღად, უემოციოდ, პოლიტიკური საფანელის გარეშე შეეფასებინა ახლად წარმოქმნილი ვითარება: ანალიტიკოსებმა დაასკვნეს, რომ რუსეთისთვის დაწესებული სანქციები უარყოფითად იმოქმედებს რუსეთისა და ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე.

**მიმდინარე წლის ბოლოსთვის სანქციებით გამოწვეული ზარალი რუსეთისთვის 23 მილიარდი ევროს მიაღწევს, რაც ქვეყნის მშპ-ის 1,5 პროცენტს უდრის. გაისად უფრო მეტი იქნება — 75 მილიარდი ევრო, ანუ მშპ-ის 4,8 პროცენტი.**

ასე აფასებს ბრიუსელი (**Euobserver.com**).

ჟურნალ **The Economist**-ის აზრით კი, მთლიანად **რუსეთის ბიზნესი** 744 **მილიარდით,** ანუ **ერთი ტრილიონი ევროთი დაზარალდება.**

მაგრამ სანქციები, როგორც გვარწმუნებენ, მეორე მხარესაც — ევროკავშირის ქვეყნებსაც, დაარტყამს დაახლოებით იმავე მოცულობით, როგორც რუსეთს. **ზარალმა შეიძლება შეადგინოს 40 მილიარდი ევრო, ანუ მშპ-ის 0,3 პროცენტი. ეს — წლეულს. 2015 წლისთვის კი — 50 მილიარდი ევრო, ანუ მშპ-ის 0,4 პროცენტი იქნება.**

ერთმანეთსაა მიბმული სანქციების დამწესებელი და სანქციებით დასჯილი ქვეყნების ეკონომიკები. ეს (ზარალი) რეალურ განზომილებაში გადავა იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი სანქციების საპასუხოდ შეწყვეტს შეიარაღების, ტექნოლოგიებისა და ორმაგი დანიშნულების საქონლის შესყიდვას, დააწესებს ურთიერთვაჭრობის სფეროში სხვა აკრძალვებს, აგრეთვე, რუსეთის იზოლაციის გამოც ევროპის საფინანსო ბაზრიდან.

ექსპერტები თვლიან, რომ რუსეთთან კონტაქტის მიზეზით ყველაზე მეტად დაზარალდებიან სამხრეთ ევროპის ქვეყნები, უწინარეს ყოვლისა კი, — იტალია. ამ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება ისედაც სუსტია და მოსკოვის წინააღმდეგ დაწესებულმა სანქციებმა შეიძლება კიდევ უფრო მოშალოს.

ასეთ პერსპექტივას რეალისტურად აფასებენ სწორედ ამ რეგიონის ქვეყნები, რომელთა წარმომადგენლებმა ევროკავშირის ელჩების გასულ კვირაში მოწყობილ შეხვედრაზე მიმართეს ევროკომისიას, გაეთვალისწინებინა სანქციების შედეგები.

როგორც ჩანს, ამაოდ, რადგან გერმანიაც კი, რომელიც აქამდე უარს ამბობდა, მხარი დაეჭირა რუსეთის წინააღმდეგ ფართო სანქციებისთვის, ახლა აქტიურად ემზადება მათ (სანქციების) განსახორციელებლად.

აღმოსავლეთ ევროპის ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტი, რომელიც რუსეთში გერმანული ბიზნესის ინტერესებს ლობირებს, მიიჩნევს, რომ სანქციები გერმანიაში 350 ათას იმ სამუშაო ადგილის შემცირებას გამოიწვევს, რომლებიც უშუალოდაა დამოკიდებული რუსულ-გერმანულ სავაჭრო ბრუნვაზე. ეს კი წელიწადში 80 მილიარდი დოლარია.

ანალიტიკოსების კლასიფიკაციის მიხედვით, სანქციების **პირველი ეტაპი** გამაფრთხილებელი იყო და ითვალისწინებდა რუსეთის მონაწილეობით სამიტების შეწყვეტას, სავიზო რეჟიმის შემოღების შეჩერებას და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციაში რუსეთის მიღების შესახებ მოლაპარაკების დღის წესრიგიდან ამოღებას.

**მეორე ეტაპი** კრძალავდა ევროკავშირის ქვეყნებში, აშშ-სა და კანადაში იმ ჩინოვნიკების შესვლას, რომელთაც კავშირი ჰქონდათ უკრაინაში შეიარაღებულ კონფლიქტთან, აგრეთვე, უცხოეთში მათი აქტივების გაყინვას.

**სანქციების მესამე** და საბოლოო პაკეტით აშშ და ევროკავშირი დაემუქრნენ რუსეთს, ჯერ კიდევ აპრილში, როცა ყირიმი რუსეთის იურისდიქციას დაუქვემდებარდა. მაგრამ მათი (სანქციების) განსაზღვრა, რაც 15-14 აპრილს ბრიუსელის სამიტზე იყო დაგეგმილი, რამდენიმეჯერ გადადო ევროპული ბიზნესის მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის გამო.

ამჟამად ეს სანქციები ამოქმედდა და, ექსპერტების აზრით, ისინი თითქმის ერთნაირად დააზარალებს რუსეთსა და ევროკავშირის ქვეყნებს. ლაპარაკია 100 მილიარდ ევროს მოცულობაზე, მაგრამ **„ალფა-კაპიტალის“ საფინანსო ბაზრებისა და მაკროეკონომიკის ანალიზის სამსახურის დირექტორი ვლადიმირ ბრაგინი** დარწმუნებულია, რომ რუსეთის ბიზნესი უფრო მეტად წააგებს.

მისი აზრით, მათ, ვინც ზარალის მოცულობა იანგარიშა, გაითვალისწინეს მხოლოდ პირდაპირი ზარალი, რომელსაც კონტრაქტების შეწყვეტა გამოიწვევს. მაგრამ ამ შემთხვევაშიც გაურკვეველია, ევროკავშირის ექსპერტებმა, კერძოდ, რომელი კონტრაქტები გაითვალისწინეს სანქციებში და როგორია მათი გაანგარიშების მექანიზმი.

გასათვალისწინებელია ირიბი ზარალიც, რომელიც ძირითადზე მეტიც კი შეიძლება აღმოჩნდეს.

„რუსეთის საგარეო ვაჭრობის ბრუნვის თითქმის ნახევარი ევროკავშირზე მოდის. მთავარი უხერხულობა, რომელიც ევროკავშირმა შეიძლება რუსეთს მიაყენოს, რუსეთის გაზის შესყიდვაზე უარის თქმაა, — აცხადებს **SFC Marcets-ს ანალიტიკოსი დიმიტრი ლუკაშოვი**, — ყველა დანარჩენი საქონლის შესყიდვა ან რეალიზება მსოფლიო ბაზარზეა შესაძლებელი — აზიის ან ლათინური ამერიკის ქვეყნებში. მაგრამ, რადგან ევროპას არ შეუძლია, უარი თქვას რუსეთის ენერგომატარებლებზე და გაზზე, სანქციების დაწყებითმა ეტაპებმა მნიშვნელოვანი გავლენა ვერ მოახდინა რუსეთის ეკონომიკაზე. მომავალში უარესი იქნება“.

**თუ სანქციები გავრცელდება რუსეთის ყველა კომპანიასა და ბანკზე, აგრეთვე, ევროპული და ამერიკული ბანკების ფილიალებზე რუსეთში, ეს არა მარტო უარყოფითად იმოქმედებს რუსეთის ეკონომიკაზე, არამედ გაართულებს პოლიტიკურ სიტუაციასაც.**

**რაც საბჭოთა კავშირის დაშლის წინ ქვეყანაში შექმნილი ანალოგიური ვითარების გამეორება იქნება.**

ლუკაშოვის აზრით, ამ სცენარით შეიძლება მოხდეს რუსული რუბლის კურსის დაცემა და მოთხოვნილების გაზრდა დოლარზე. შეიქმნება ისეთი ვითარება, როცა ახალ სავალუტო კრედიტებს არ იძლევიან, ძველების გადახდა კი საჭიროა. **„რუბლზე შეტევამ კი შეიძლება გამოიწვიოს სოციალური უკმაყოფილების ზრდა და პოლიტიკური მღელვარება“,** — ასკვნის ექსპერტი.

**რუსეთის პრეზიდენტის მრჩეველი სერგეი გლაზევი** უწინ აცხადებდა, რომ სანქციები უფრო უარყოფითად ევროკავშირზე იმოქმედებდა. ზარალი ერთ ტრილიონს მიაღწევს იმ შემთხვევაში, თუ აშშ განახორციელებს ირანის მოდელს — რუსეთს მსოფლიო საფინანსო სისტემას მოჰკვეთს. უმეტესად დაზარალდება გერმანია: წაგება 200 მილიარდ ევროს მიაღწევს; ასევე, — უკრაინა და ბალტიის ქვეყნები, რომელთა ეკონომიკა დიდად არის დამოკიდებული რუსეთზე.

არიან ექსპერტები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ სანქციების დაწესება გამოიწვევს რუსეთის დაფარული შესაძლებლობების გააქტიურებას. ისინი იმოწმებენ საბჭოთა კავშირის მაგალითს, რომელიც სრული იზოლირების პირობებში ზესახელმწიფოდ ჩამოყალიბდა, მაგრამ რატომღაც ივიწყებენ, რომ ის ისტორიული წარმატება განსხვავებულ (როგორც საშინაო, ისე საგარეო) პირობებში იქნა მიღწეული და დღეს მისი გამეორება პრაქტიკულად შეუძლებელია.

მოკლედ, სიტუაცია მარტივი არ არის.

## ქართველი ექსპერტის კომენტარი



**„საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველებს თავის აზრს უზიარებს ცნობილი ეკონომისტი, პროფესორი დავით იაკობიძე.**

**— ბატონო დავით, უცხოური პრესის პუბლიკაციების დედააზრი, რომლებიც სანქციების მესამე პაკეტის ამოქმედებას ეხება, ისაა, რომ აკრძალვები იმოქმედებს რუსეთზეც და ევროკავშირის ქვეყნებზეც. ღირდა ამ სანქციების ამოქმედება, ყველასთვის უარყოფითი შედეგის მომტანი თუ იქნებოდა?**

— საკითხი სხვაგვარად უნდა დავსვათ, რადგან აქ ამოქმედებულია დიდი პოლიტიკის გარკვეული ტენდენციები.

დიდი ხანია, ამერიკელები და ევროპელები ამტკიცებენ, რომ მსოფლიოში არსებული რესურსები ყველასთვის უნდა იყოს მისაწვდომი და გამოიყენებოდეს საერთო პლანეტარული ინტერესების შესაბამისად.

ამ მიდგომასა და ტენდენციას უპირისპირდება რუსეთი, როგორც საერთაშორისო მასშტაბის, ასევე რეგიონული ინტერესების თვალსაზრისით. საერთაშორისო მასშტაბით დაპირისპირება ამ შემთხვევაში ნიშნავს, რომ იგი ეძებს თავის მოკავშირეებს (ჩინეთი, ინდოეთი, ბრაზილია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) ახალ ალიანსში.

**— „ბრიკსი“ გაქვთ მხედველობაში?**

— დიახ. და ამით უპირისპირდება დოლარის სამყაროს. ორმხრივი დაპირისპირება კი კარგად ორგანიზებული აფეთქებით დაგვირგვინდა უკრაინაში. ამერიკისთვის და ევროპისთვის გასაგები გახდა, რომ ეს არ არის ევოლუციური პროცესი, რომელიც მინიმალური დანაკარგებით თანდათან მიგვიყვანდა ლოგიკურ შედეგამდე. დადგა აქტიური მოქმედების დრო, რომელიც ყოველთვის დიდ დანაკარგებთან არის დაკავშირებული.

დასავლეთი თავის გადასარჩენად მიდის ამ დანაკარგებზე. გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა, მაგალითად, განაცხადა, რომ, მართალია, სანქციების შემოღება მილიონობით ადამიანს გაუუარესებს ცხოვრების პირობებს, მათი ამოქმედება აუცილებელია, რადგან დაკავშირებულია ადამიანის განვითარებისა და მისი თავისუფლების გლობალური საკითხების დაცვასთან.

არიან ექსპერტები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ამით (სანქციებით) ევროპა დასუსტდება და ამერიკა მიიბამს „ბებერი კონტინენტის“ ქვეყნებს. გაღრმავდება ამერიკისა და ევროპის ეკონომიკების ინტეგრაცია.

არის მოსაზრება, რომ ეს წინააღმდეგობა გერმანიის როლს ევროკავშირში თანდათან გააძლიერებს. დასუსტდება საფრანგეთი, ესპანეთი. ინგლისელების რეაქცია თავისებურია, ისინი ცდილობენ, რამდენადაც შეძლებენ, გაემიჯნონ საერთო ევროპულ მიზანდასახულებებს.

მაგრამ ფაქტია, მთელ მსოფლიოში ამ სანქციების ძალით შექმნილი მდგომარეობიდან გამარჯვებული არავინ გამოვა. ეკონომიკური ომი, როგორც ომი საერთოდ, იწვევს დიდ ნგრევასა და ზარალს ყველა დაპირისპირებული ქვეყნისთვის.

მაგალითად ავიღოთ საქართველო. რუსეთის ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშები თუ დაიკეტება, შეწყდება ჩვენთან მომუშავე რუსული ვი-თი-ბი ბანკის საქმიანობა, სამუშაოს დაკარგავენ ის ადამიანები, რომლებიც არიან დასაქმებულნი. ამ ბანკს სერიოზული აქტიური და პასიური ოპერაციები აქვს, მათ შორის, ევროპაში არსებულ საკორესპონდენტო ანგარიშებთან. ცხადია, დაზარალდებიან ისინი, ვისაც ეს ანგარიშებზე აქვს, დროზე ვერ მიიღებენ თავიანთ ფულს, გაძვირდება კრედიტები და ა. შ.

**დედამიწაზე არ არსებობს კუთხე-კუნჭული, სადაც რუსეთის წინააღმდეგ მიღებულმა სანქციებმა უარყოფითი შედეგი არ გამოიღოს, ნეგატიურად არ იმოქმედოს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებაზე.**

**არმაზ სანებლიძე**



**„რევოლუცია ნიშნავს კონსტიტუციური მონაცვლეობის დასასრულს. ამ თვალთახედვით, ჩვენ უკვე აღარ შეგვიძლია ვთქვათ, არის თუ არა რეფერენდუმი კანონიერი თუ არაკანონიერი. ამიტომ უნდა ვაღიაროთ, რომ ამგვარ სიტუაციაში მისაღებია მხოლოდ ხალხთა უფლება თვითგამორკვევაზე“.**

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ფერადი რევოლუციები

# უკრაინა 2014: სახელმწიფო გადატრიალების ტექნიკა შარპის მიხედვით



## ანალიზი ემოციების გარეშე



**2014 წლის 22 თებერვლის სახელმწიფო გადატრიალებამ უკრაინაში პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი ძალაუფლებას ჩამოაცილა და კიდევ ერთხელ გაცხადდა, რომ აშშ და მისი ევროპელი მოკავშირეები დაინტერესებულები არიან, თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარონ კიევი. ეს ერთი. მეორე დასკვნა კი ისაა, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში გავლენის სფეროების გადანაწილება გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. რუსეთის შემადგენლობაში ყირიმისა და სევასტოპოლის გადასვლა (სახალხო რეფერენდუმის შედეგად), რომელიც 16 მარტს განხორციელდა, მხოლოდ დასაწყისია ხანგრძლივი და რთული გზის, რომლის გავლაც მოუწევს რუსეთს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ.**

ამერიკელი პოლიტოლოგის, მშვიდობისა და კეთილდღეობის ინსტიტუტის პროფესორის — **ს. უაისმანის** აზრით, **„ევრომაიდანი“ დადგმული იყო აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მისდამი დაქვემდებარებული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კერძო ფონდების, მათ შორის, სოროსის ფონდის ძალებით.“**

**კიევის სახელმწიფო გადატრიალების ძირითად კოორდინატორებად ასახელებენ ევროპისა და ევრაზიის საკითხებში სახელმწიფო მდივნის მოადგილეს — ვიქტორია ნულანდს და აშშ-ის ელჩს უკრაინაში — ჯონ ჰაიეტს.**

**გადატრიალებას ხელს უწყობდნენ უკრაინელი მილიარდერები: პოროშენკო, ტარუტა, ფირტაში, პინჩუკი და კოლომოისკი, რომლებიც აფინანსებდნენ უშუალოდ „მაიდანს“.** ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ისინი „ქვეყანაზე კი არ ფიქრობდნენ, არამედ მხოლოდ საკუთარი ფინანსების გადარჩენით იყვნენ დაკავებულნი“. **უზარმაზარი ქონების გარდა, ეს მილიარდერები უკრაინის ყველაზე უფრო გავლენიანი მედიასაშუალებების ფაქტობრივი მფლობელები არიან.**

გადატრიალებისთვის ბიძგის მიმცემი იყო პრეზიდენტ იანუკოვიჩის მიერ „ევროკავშირთან ასოციაციის შეთანხმებაზე“ ხელმოწერის გადავადება.

ფსონი წარმოუდგენლად მაღალი იყო, თანაც არა მარტო უკრაინის ეკონომიკისთვის, არამედ საბაჟო კავშირში გაერთიანებული ქვეყნებისთვის, უმთავრესად კი — რუსეთისთვის, რომლის წილად უკრაინის საგარეო ბრუნვის 26,6 პროცენტი მოდის. უკრაინა და რუსეთი აღმოჩნდნენ იმპორტის მასობრივი ჩანაცვლების ზღურბლზე, რომელსაც მრეწველობის ნარჩენების განადგურება შეეძლო. ამ სიტუაციას ასე აფასებს ევროკომისიის წევრი **შ. ფულე: „საბაჟო კავშირის წევრობა შეუთავსებელია თავისუფალი ვაჭრობის გაღრმავებული და ყოვლისმომცველი ზონის შექმნასთან, რომლის შესახებ მოლაპარაკებასაც ვაწარმოებთ უკრაინასთან, მოლდოვასთან, საქართველოსა და სომხეთთან... შეუძლებელია საბაჟო ტარიფების შემცირება ამ შეთანხმების მიხედვით და თან მათი გაძვირება საბაჟო კავშირის წევრობის გამო“.**

საკმაოდ ჩახლართული განმარტებაა, რომლის არსი შემდეგია: შეუთავსებლის შეთავსება არ გამოვა!

### ტრაგედიის ქრონოლოგია

**იანუკოვიჩის დამხობა ორ ეტაპად განხორციელდა: პირობითად, „არაძალადობრივი“ და „ძალადობრივი“ გზებით. სახელმწიფო გადატრიალების ასეთმა შერეულმა მოდელმა გაამართლა ე. წ. არაბული გაზაფხულის დროს.**

ტაქტიკური თვალსაზრისით, მეორე ეტაპზე ძალადობრივი სცენარის გამოყენება გამართლებულად არის მიჩნეული, როცა იგი მიმართულია ისეთი ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელმაც გამოამჟღავნა სისუსტე წესრიგის ძალით დამყარების საქმეში. სწორედ ეს ფაქტორი აღმოჩნდა გადამწყვეტი კიევში რეჟიმის შეცვლის სტრატეგიის შემუშავების დროს.

**არაძალადობრივ ეტაპზე** გამპროტესტებელთა მობილიზაციისთვის გამოიყენეს ტექნოლოგიები, რომელთა ეფექტიანობა წინამორბედ მოვლენებში სრულად იყო დამტკიცებული. ამ დროს ტრადიციულ მასმედიასთან ერთად განსაკუთრებული როლი ენიჭება სოციალურ ქსელებს და ინტერნეტტელევიზიას.

**2013 წლის 21 ნოემბერს** კიევში იწყება მრავალთვიანი საპროტესტო აქცია, რომელიც **ჯონ შარპის ნაშრომში „არაძალადობრივი მოქმედების 198 მეთოდი“ 48-ე ნომრითაა ჩაწერილი — „საპროტესტო მიტინგები“.** ხალხის ორგანიზებას სათავეში ედგა ჟურნალისტი მ. ნეიმანი „ფეისბუქის“ თავისი აკაუნტის მეშვეობით. მისი ერთ-ერთი მოწოდებიდან ერთ საათში კიევის ცენტრში 2000 ადამიანი შეიკრიბა.

**30 ნოემბერს** ხელისუფლება მომიტინგეთა დაშლას გაუბედავად შეეცადა.

იანუკოვიჩისადმი ოპოზიციურად განწყობილი ძალები ზომიერ და ექსტრემისტულ დაჯგუფებებად იყოფა: პირველნი უკვე ითხოვენ არა მარტო ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებას, არამედ პრეზიდენტის და მთავრობის გადადგომას; მეორენი — „მარჯვენა სექტორი“ — „ეროვნული რევოლუციისკენ“ მოუწოდებენ ხალხს: „უკრაინა უკრაინელებისთვის“.

**2013 წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში** იწყება უკრაინის მთავრობისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობების ბლოკირება, ოპოზიცია ხელთ იგდებს კიევის ქალაქის ადმინისტრაციის შენობას, რაც სრულად ეთანხმება **შარპის 172-ე, 173-ე, 176-ე და 183-ე მეთოდებს „არაძალადობრივი ბლოკირების“, „არაძალადობრივი ოკუპაციის“, „გზების ბლოკირების“, „მიწის არაძალადობრივად ხელში ჩაგდების“ შესახებ.**

**გადატრიალების გარდამტეხ მომენტად ითვლება 2014 წლის 12 იანვარი,** როცა კიევში, დამოუკიდებლობის მოედანზე გაიმართა ე. წ. სახალხო ვეჩე, რომელსაც სხვადასხვა გათვლით 100 ათასამდე მომიტინგე დაესწრო. ორგანიზატორები თავს „პარალელურ მთავრობად“ აცხადებენ. ეს **მეთოდი შარპის „სახელმძღვანელოში“ 198-ე ნომრად ზის.**

სახელმწიფოს მეთაურის — მეჟიგორიეს რეზიდენციასთან ყოველდღიურად იმართება „ავტომაიდანის“ მონაწილეთა მიტინგები — **მეთოდი №48 — „ავტოკოლონები“.**

### ძალადობრივი ეტაპი

ოპოზიციის მისწრაფებას ქუჩის შეიარაღებული ბრძოლებისკენ უკრაინის არმიის სავალალო მდგომარეობაც აძლიერებს. პრეზიდენტი იანუკოვიჩი ვერ ბედავს შეიარაღებული ძალების გამოყენებას — დასავლეთის მხრიდან გაკიცხვის ეშინია, უფრო მეტად კი იმიტომ, რომ ეჭვი ეპარება არმიის ლოიალობაში... სახელმწიფოს მეთაურის მიმართ ნდობის ფაქტორი ნულამდე ეცემა. იანუკოვიჩი მოწინააღმდეგეებს ძალაუფლებას თანდათან უთმობს.

**19-დან 22 იანვრამდე** სისხლისღვრა ბარიკადებზე ნორმად იქცევა. ათობით ადამიანი იღუპება ექსტრემისტებთან დაპირისპირებისას.

იანუკოვიჩს ზურგს აქცევს სამღვდელოებაც: სრულიად უკრაინისა და კიევის პატრიარქი ფილარეტი უარს ამბობს „დამსახურებისთვის“ პირველი ხარისხის ორდენის მიღებაზე... **შარპის მიხედვით, სამღვდელოების მოქმედება შეიძლება დახასიათდეს, როგორც „პატივის მიგებაზე უარის თქმა“ (არაძალადობრივი მოქმედების 53-ე მეთოდი).**

**28 იანვარს** ნ. აზაროვის დემორალიზებული მთავრობა გადადგა. იანუკოვიჩმა მიიღო ეს გადადგომა და ოპოზიციას შესთავაზა ადგილები მთავრობაში. ამით მან თავის პოლიტიკურ კარიერას, ფაქტობრივად, წერტილი დაუსვა.

შემდეგ ყველაფერი სცენარის მიხედვით წარიმართა: მსხვერპლი, ძალადობა და ცეცხლწაკიდებული შენობებისა და ავტომანქანების სიმრავლე. უკრაინის რეგიონებში ოპოზიციურად განწყობილი ძალები ადგილობრივი მმართველობის სახელმწიფო ორგანოებს ხელთ იგდებენ. დედაქალაქში **ერთი ღამის განმავლობაში 25 კაცს კლავენ.**

ოპოზიციის ლიდერებთან კლიჩკოსთან (პარტია „უდარი“), იაცენიუკთან („ბატკივშჩინა“) და ტიაგნიბოკთან („სვობოდა“) შეთანხმებით იანუკოვიჩი ხელს აწერს დოკუმენტს „უკაინაში პოლიტიკური კრიზისის მოგვარების შესახებ“.

**ეს ხდება 21 თებერვალს.**

იანუკოვიჩის მხრიდან ეს განწირული კაცის ნაბიჯი იყო — ოპოზიციასთან ძალაუფლების გაყოფის გზით ძალაუფლების შენარჩუნების მცდელობა.

ფინალი ცნობილია.

საქმეში ერთვება უკრაინული გადატრიალების დამრტყმელი ძალა — „მარჯვენა სექტორი“ იაროშის მეთაურობით. **იანუკოვიჩი კიევიდან გარბის.**

**22 თებერვალს** უმაღლესი რადა იღებს გადაწყვეტილებას, რომელშიც ლაპარაკია პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციური უფლებამოსილების საკუთარი ნებით დათმობისა და 2014 წლის მაისში ახალი არჩევნების დანიშვნის შესახებ.

ხელისუფლების სათავეში „მარჯვენა სექტორის“ ექსტრემისტების მოსვლის კვალად აქტიურდება რუსოფობიური და ანტისემიტური განწყობილებები. უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთს გადაუვლის ამბოხების ტალღა...

### რას ამბობს საერთაშორისო სამართალი

ამ სიტუაციაში ყირიმისა და სევასტოპოლის რუსეთის შემადგენლობაში შესვლა ლოგიკური და კანონიერი ჩანს... **ცნობილი ფრანგი ეკონომისტი ჟ. საპირი „ფრანს-2“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში აცხადებს: „უნდა ვიცოდეთ, რომ საერთაშორისო სამართალში არსებობს ორი, ურთიერთსაწინააღმდეგო პრინციპი: საზღვრების ხელუხლებლობის პრინციპი და ერთა თვითგამორკვევის უფლება. პრობლემა ისაა, რომ ერთადერთ გადაწყვეტილებად მიჩნეულია კანონიერება ქვეყნის შიგნით, მაგრამ 22 თებერვლიდან უკრაინაში არ არის კონსტიტუციური მონაცვლეობა. ეს, სხვათა შორის, აღიარეს ევროპულმა ქვეყნებმა და აშშ-მა, რომლებმაც უკრაინის მოვლენებს თვითონ უწოდეს რევოლუცია. რევოლუცია კი ნიშნავს კონსტიტუციური მონაცვლეობის დასასრულს. ამ თვალთახედვით, ჩვენ უკვე აღარ შეგვიძლია ვთქვათ, არის თუ არა რეფერენდუმი კანონიერი თუ არაკანონიერი. ამიტომ უნდა ვაღიაროთ, რომ ამგვარ სიტუაციაში მისაღებია მხოლოდ ხალხთა უფლება თვითგამორკვევაზე“.**

... ვაშინგტონიდან და ევროპის დედაქალაქებიდან მოსკოვს თავზე დააყარეს სანქციები, მათ შორის, — სიები ზოგიერთი ჩინოვნიკის ნონ გრატად გამოცხადების, „დიდი რვიანიდან“ რუსეთის გარიცხვის, რუსეთის ბანკებისთვის აქტივებისა და საკრედიტო ხაზების გაყინვის შესახებ. ყველაფერი ხორციელდება ჯ. შარპის **მეთოდური სახელმძღვანელოს ნორმებთან შესაბამისად. კერძოდ, 93-ე ნორმის — „შავი სიები“, 157-ე — საერთაშორისო ორგანიზაციებიდან გარიცხვა, 89-ე — ფონდებისა და კრედიტების შეზღუდვა.**

უკრაინის მოვლენები ადასტურებს: ამერიკელი პოლიტტექნოლოგები საბოლოოდ გადადიან სახელმწიფო გადატრიალებების შერეულ სქემაზე, რომლის მიხედვით, ბრძოლის არაძალადობრივი მეთოდები ხშირად სისხლიან შეტაკებებად და სამოქალაქო ომებადაც კი ტრანსფორმირდება.

მაგალითები თვალწინაა: კონფლიქტები ლიბიაში, სირიაში და პერმანენტული ქაოსი ეგვიპტეში.

ახლა — უკრაინა!

მოამზადა
**არმაზ სანებლიძემ**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**08.08.08**

**სამაჩაბლოში მიმდინარე კონფლიქტში რუსეთი ჩაერთო მხოლოდ მას შემდეგ, რაც იქ საომარი მოქმედებები (7 აგვისტოდან) დაიწყო, და მხოლოდ მაშინ, როდესაც უშიშროების საბჭოს მუდმივმა წევრებმა (აშშ, ინგლისი, საფრანგეთი) და საქართველომ მხარი არ დაუჭირეს რუსეთის წინადადებას ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე.**

# ვინ წამოიწყო 2008 წლის აგვისტოს ომი და რატომ არავინ აგო პასუხი მის შედეგებზე?



ალექსანდრე ტოლსტოი

**ამა წლის 7 აგვისტოს სრულდება ექვსი წელი ცხინვალის რეგიონში მოჩვენებითი მშვიდობის დასრულებისა და ომის დაწყებიდან. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხზე არსებობს ეუთოს საგამოძიებო კომისიის დასკვნა, რომელშიც კონკრეტულად არის მითითებული, ვინ გახსნა ცეცხლი და ვინ დაიწყო საომარი მოქმედებები, აგრეთვე, საქართველოს საპარლამენტო დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე პაატა დავითაიას მიერ კულუარებში ნათქვამი, რომ „ამათ დაიწყეს ომი“ (არაერთხელ მომისმენია ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში), დღეს მრავალი პოლიტიკოსი და, რა თქმა უნდა, „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები უარყოფენ, რომ ე. წ. სამხრეთ ოსეთში სროლა პირველმა დაიწყო ქართულმა მხარემ.**



2008 წლის 7 აგვისტოს, 21:00 საათზე, ქობულეთიდან სტუმრად ჩამოვიდნენ მეუღლის ნათესავები და მომიყვნენ, რომ 05:00 საათზე გამოსულებმა თბილისში ძლივს ჩამოაღწიეს და რომ გორის შესასვლელთან მათი და სხვა მოქალაქეების ავტომობილები საპატრულო პოლიციამ გააჩერა, რადგან ქალაქში შესასვლელი ქუჩები გადატვირთული იყო ცხინვალისკენ მიმავალი სამხედრო ტექნიკითა და ჯარისკაცებით.

მე, როგორც ყოფილ სამხედროს (საბჭოთა ჯარში ვიმსახურე 31 წელი, ხოლო ქართულში — 5), ჯარის ასეთი დემონსტრაციული გადაადგილება ცხინვალისკენ (შენიღბვის გარეშე) ცუდად მეჩვენა, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც ქვეყანაში არ იყო გამოცხადებული არც საგანგებო და არც საომარი მდგომარეობა.

მაშინვე გამახსენდა: ხელისუფლების წარმომადგენლების თავდაჯერებული და მუქარის შემცველი ტონით გაკეთებული განცხადებები კოკოითის მისამართით; ცნობები იმის თაობაზე, რომ ცხინვალიდან ოსებს გაჰყავთ ქალები და ბავშვები; აგრეთვე, „ნაცმოძრაობის“ ლიდერების გამონათქვამები, რომ სამაჩაბლოს ბედი უკვე გადაწყვეტილია და „ამაში ხელს ვერავინ შეგვიშლის“... გავიფიქრე, ნუთუ ისევ ჩაიდენდნენ სისულელეს, როგორც ეს მოხდა 1992-1993, 1998, 2004 წლებში, ნუთუ ისევ ომს წამოიწყებენ-მეთქი?

ასეა თუ ისე, ქართულმა ჯარმა თავი მოიყარა ცხინვალის რეგიონში, რაზეც **საქართველოს მთავრობამ** ასეთი განმარტება გააკეთა 2008 წლის 7 აგვისტოს ღამით:

„სამხრეთ ოსეთის რეგიონში მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და შეიარაღებული თავდასხმების აღსაკვეთად საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა, მიეღო ადეკვატური ზომები“;

ჯარის შეყვანის მიზანი განმარტა **თემურ იაკობაშვილმა**:

„საქართველოს მიზანია, არა დაიპყროს აუღიარებელი რესპუბლიკა, არამედ ბოლო მოუღოს „კრიმინალურ რეჟიმს“;

ამოცანა ახსნა გენერალმა **მამუკა ყურაშვილმა:**

„დაიწყო კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა“.

ანუ, 2008 წლის 7 აგვისტოს, გვიან ღამით, ცეცხლი უკვე გაიხსნა და ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ქართული და ოსური მხარეები და არა რუსეთის მხარე, ამას ადასტურებს სამივე ეს განცხადება.

გამოდის, რომ **რუსულ მხარეს, ე. წ. სამხრეთ ოსეთში საომარი მოქმედებები არ დაუწყია, და რომ ქართულმა მხარემ პირველმა წამოიწყო ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და არა რუსეთმა — სამაჩაბლოს ოკუპაცია**.

2008 წლის 7 აგვისტოს, გვიან ღამით, ცხინვალის რეგიონში ცეცხლი გაიხსნა და ომიც დაიწყო. რუსეთის წარმომადგენელმა გაეროს უშიშროების საბჭოში ვიტალი ჩურკინმა (და არა ქართულმა ან სხვა წარმომადგენელმა) მყისვე მოითხოვა უშიშროების საბჭოს მოწვევა ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტის თაობაზე, რაზეც დასავლეთის კოლეგებისგან დაუსაბუთებელი უარი მიიღო.

**ამ ქმედებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მნიშვნელოვანი ორგანოს წარმომადგენლებმა, რომლებზეც წესდებით დაკისრებულია პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებზე, და რომლებსაც მიაწოდეს ინფორმაცია, რომ ე. წ. სამხრეთ ოსეთში საომარი მოქმედებები დაიწყო, უარი თქვეს შექმნილი სიტუაციის განხილვაზე, ე. ი. ცეცხლის შეწყვეტაზე.**

რა, მათ არ დაიჯერეს, რომ ომი დაწყებულია? — გამორიცხულია!

**8 აგვისტოს 12 საათამდე სამაჩაბლოში შექმნილი ვითარება საქართველოსა და დასავლეთის ქვეყნების მთავრობებს ხელს აძლევდათ და ამიტომაც დაადეს ვეტო რუსეთის წინადადებას ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე, რომლითაც ხელი შეუწყვეს რუსის ჯარის შემოყვანას და შემდგომში ქვეყნის დაშლას, ისევე, როგორც უკრაინის დაშლას 2014 წელს**




ამ რაოდენობის სამხედრო ტექნიკისა და პირადი შემადგენლობის გადაადგილება ცხინვალის მიმართულებით (დღისით, მზისით) უცხო ქვეყნების სადაზვერო სამსახურებს არავითარ შემთხვევაში არ გამოეპარებოდათ, ელექტრონულ ან კოსმოსურ დაზვერვებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

25 წელზე მეტი ვიმსახურე რუსეთის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს (გე-რე-უ) სისტემაში და ვიცი, რომ, პრაქტიკულად, თითქმის ყველა ქვეყანაში, საელჩოების ჭერქვეშ მუშაობენ მზვერავები და რომ ისინი სადაზვერვო ინფორმაციას მოიპოვებენ არა მხოლოდ მათდამი მტრულად განწყობილ ან არაკეთილმოსურნე ქვეყნებზე, არამედ მეგობრულ და სტრატეგიულ პარტნიორებზეც, ამიტომ არც საქართველო იქნებოდა მათთვის გამონაკლისი. **ჰეიდი ტალიავინის მოხსენებაშიც ხომ არის აღნიშნული, რომ იმხანად ქართულ ჯარში ასობით უცხოელი ინსტრუქტორი იმყოფებოდა.** მათ ხომ არაფერი არ გამოეპარებოდათ?

ბოლოს და ბოლოს, უშიშროების საბჭოს სხვა წევრებს იმის დადგენა, რა ხდებოდა სინამდვილეში სამაჩაბლოში, ჩვენი წარმომადგენლის, ირაკლი ალასანიასგან ან აშშ-ში საქართველოს ელჩისგან ხომ მაინც შეეძლოთ?

მოგვიანებით (ჩვენი დროით — 8 აგვისტოს დილით), ისევ ვიტალი ჩურკინის დაჟინებული მოთხოვნით, მაინც გაიმართა უშიშროების საბჭოს სხდომა, სადაც მან კვლავ დასვა საკითხი ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტის თაობაზე.

და **რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, წინადადებას ცეცხლის შეწყვტის შესახებ, დასავლეთის ქვეყნების უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებთან ერთად, მხარი არ დაუჭირა საქართველოს წარმომადგენელმა ირაკლი ალასანიამაც.**

**ვსვამ შეკითხვებს:**

**1. თუ რუსეთმა წამოიწყო საქართველოს წინააღმდეგ საომარი მოქმედებები, საქართველომ და დასავლეთის ქვეყნებმა რატომ არ მოითხოვეს გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომის მოწვევა და მასზე რუსეთის მხრიდან ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტის მოთხოვნის საკითხის დაყენება?**

**2. თუ რუსეთი თავს დაესხა ჩვენს ქვეყანას 7 აგვისტოს (ან უფრო ადრე), მაშინ რატომ არ გამოაცხადა პრეზიდენტმა ქვეყანაში საომარი მდგომარეობა 7 ან 8 აგვისტოს (ან უფრო ადრე)? ამას ხომ კონსტიტუციის 73-ე მუხლი მოითხოვს.**

ე. ი. რა გამოდის? სამაჩაბლოში ომია და მის გაგრძელებას მხარს უჭერს საქართველოს მთავრობა?

ცეცხლის შეწყვეტის წინადადებას ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელმა და სხვებმა იმიტომ ხომ არ დაუჭირეს მხარი, რომ იმ დროისთვის:

* „ცხინველის სამხრეთით სოფლების უმრავლესობას საქართველოს მხარე აკონტროლებს“?

* „ჯავის რაიონისთვის ალყის შემორტყმის ოპერაცია დასრულებულია“?

* „როკის გვირაბიდან შემოსვლა ვერ მოახერხეს“?

* „კოკოითიმ ცხინვალი დატოვა და ჩრდილოეთ ოსეთში ჩავიდა“?

**ე. ი. 8 აგვისტოს 12 საათამდე სამაჩაბლოში შექმნილი ვითარება საქართველოსა და დასავლეთის ქვეყნების მთავრობებს ხელს აძლევდათ და ამიტომაც დაადეს ვეტო რუსეთის წინადადებას ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე, რომლითაც ხელი შეუწყვეს რუსის ჯარის შემოყვა-**

08.08.08

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჩვენმა ხელისუფლებამ კატასტროფული შეცდომები დაუშვა, რომელთა შედეგადაც ქვეყნის ტერიტორია შეამცირა, მოსახლეობა ლტოლვილად აქცია, ერი კი შეარცხვინა და ამაზე პასუხი არავის უგია.

◀ **ნას და შემდგომში ქვეყნის დაშლას, ისევე, როგორც უკრაინის დაშლას 2014 წელს** (რა ეჩქარებოდათ? თუ დარწმუნებულები იყვნენ იმაში, რომ უკრაინის მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერდა მის ევროინტეგრაციას და შემდგომში ნატოში გაწევრებას, დაეცადათ 2015 წლამდე და საპრეზიდენტო არჩევნებზე გადაწყდებოდა ეს საკითხი მშვიდობიანად, სისხლისღვრისა და ტერიტორიული დანაკარგების გარეშე, მაგრამ დარწმუნებული არ იყვნენ).

**და რადგანაც ცხინვალის რეგიონში ცეცხლი არ შეწყდა, 1992 წლის სოჭის შეთანხმებისა და 1996 წლის მემორანდუმის თანახმად, რუსეთმა წამოიწყო ოპერაცია „იძულება მშვიდობისათვის“:**

„გუშინ, თორმეტი საათისთვის, ცხინვალის გარშემო მდებარე სოფლებს, რომელთაც უკვე ქართული მხარე აკონტროლებდა, რუსეთის ავიაცია ინტენსიურად ბომბავდა“;

„გუშინ, დაახლოებით 12 საათზე, რფ-ის 58 არმიის მსხვილმა დანაყოფმა როკის გვირაბის გავლით ჯავის რაიონის მიმართულებით გადაადგილება სცადა“;

„საქართველოს წინააღმდეგ ხორციელდება ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესია“.

მ. სააკაშვილი.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 9 აგვისტო.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ **სამაჩაბლოში მიმდინარე კონფლიქტში რუსეთი ჩაერთო მხოლოდ მას შემდეგ, რაც იქ უკვე დაწყებული იყო საომარი მოქმედებები (7 აგვისტოდან) და მხოლოდ მაშინ, როდესაც უშიშროების საბჭოს მუდმივმა წევრებმა (აშშ, ინგლის, საფრანგეთი) და საქართველომ მხარი არ დაუჭირეს რუსეთის წინადადებას ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე.**

და თუ კიდევ ვინმეს ეპარება ეჭვი იმაში, ვინ წამოიწყო ომი, შევახსენებ პრეზიდენტ **ჯორჯ ბუში** უმცროსის ნათქვამს:

„მე გამოვთქვი სერიოზული შეშფოთება არაპროპორციული პასუხის გამო და ვთქვი, რომ ჩვენ ვგმობთ სამხრეთ ოსეთის ფარგლებს გარეთ დაბომბვას...“

ხომ სავსებით გასაგებია ამ წინადადების შინაარსი, მაგრამ ზოგიერთს მაინც უნდა ავუხსნა:

აშშ-ის პრეზიდენტი თვლის, რომ დასასჯელები (პასუხგასაცემი) კი ვიყავით, მაგრამ პროპორციულად (ალბათ, გულისხმობდა სამხრეთ ოსეთის ფარგლებს გარეთ), ე.ი. მათრახის მაგივრად ჩვენზე ჯოხი არ უნდა გადაემტვრიათ, და რომ ე. წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ჩვენი სამხედრო ნაწილების დაბომბვას არ აპროტესტებს.

**მეორე საკითხი ეხება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების შესაძლებლობის პრობლემას.**

დავიწყოთ იქიდან, რომ ცხინვალის რეგიონში ცეცხლი გახსნილია და კონფლიქტი დაწყებულია:

*** პირველი შესაძლებლობა, როდესაც შეგვეძლო რუსის ჯარის შემოსვლა თავიდან აგვეცილებინა, იყო გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღება ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტის თაობაზე;**

*** მეორე შესაძლებლობა კი მოითხოვდა ქვეყნის ხელმძღვანელობის მთელი შემადგენლობით გადადგომას და რიტორიკის შეცვლას ნეიტრალიტეტის სასარგებლოდ.**

ქვეყნის ხელმძღვანელობამ ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად არც ერთი შესაძლებლობა არ გამოიყენა, პირიქით დამარცხება იზეიმა კიდეც, სინანულის გარეშე.

მე კარგად მესმის ბევრი ქართველი პატრიოტის აღშფოთება იმის თაობაზე, რატომ ერევა რუსეთი ჩვენს საქმეებში და რატომ არ გვაძლევს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საშუალებას. თვითონ ხომ ორჯერ წამოიწყო ომი ჩეჩნეთში და ნებართვა არავისგან აუღია?

მაგრამ რა ვქნათ? რუსეთი დიდი და ბირთვული ქვეყანაა, ანგარიშგასაწევი სახელმწიფო. დადებული ხელშეკრულებითა და მემორანდუმით ჩვენ თვითონ მივეცით რუსეთს უფლება, რეგიონებში მოაგვაროს კონფლიქტი.

მხოლოდ ჩვენ კი არა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ვერ მოახერხა **ჩინეთმა.** როდესაც მან ამის გაკეთება სცადა გასული საუკუნის 90-იან წლებში, აშშ-მა ტაივანის სრუტეში თავისი სამხედრო-საზღვაო ფლოტი ჩააყენა და არ მისცა ჩინეთს უფლება, კუნძულზე დესანტი გადაეხსნა.

ჩინეთის ხელმძღვანელობამ გონიერება გამოიჩინა და ტაივანის შემოერთებისგან თავი შეიკავა.

ჩვენ?

მესამე საკითხი, რომელიც მინდა, თქვენთან ერთად განვიხილო, შეეხება იმ ქვეყნების ისტორიას, რომელთა თანამდებობის პირების გულგრილობისა თუ დაუდევრობის ან დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად შეილახა ქვეყნის ავტორიტეტი; როგორ იქცეოდნენ ასეთ შემთხვევებში თავმოყვარე ქვეყნების თავმოყვარე თანამდებობის პირები და როგორ დასაჯეს ავანტიურისტები?

დავიწყოთ **1973 წლის** ომით არაბეთის ქვეყნებსა (ეგვიპტე, სირია და სხვები) და ისრაელს შორის.

იმის გამო, რომ ეგვიპტის ჯარმა ისრაელისთვის მოულოდნელად გადალახა სუეცის არხი და მოკლე დროით კონტროლი დაამყარა სინაის ნახევარკუნძულის ნაწილზე (თუმცა შემდგომში ისრაელმა სწრაფად გამოასწორა მდგომარეობა), თავმოყვარე ისრაელის მთავრობა გადადგა, ხოლო ქვეყნის უსაფრთხოებაზე უშუალოდ პასუხისმგებელი თანამდებობების პირები გაასამართლეს ან ჯარიდან დაითხოვეს.

ცეცხლი შეწყდა გაეროს უშიშროების საბჭოს მოთხოვნით და მხარეები დაუბრუნდნენ ადრინდელ პოზიციებს.

**1974 წელს** საბერძნეთის მმართველმა სამხედრო ხუნტამ, ე. წ. შავმა პოლკოვნიკებმა, კვიპროსზე მოახდინეს სახელმწიფო გადატრიალება, რომლის საპასუხოდაც თურქეთმა კუნძულზე შეიყვანა თავისი მე-11 საარმიო კორპუსი და კუნძულის ტერიტორიის 40% დაიცვა, არადა, თურქები კუნძულის მოსახლეობის 18%-ს შეადგენდნენ. თურქეთმა იქ შექმნა კვიპროსის თურქული რესპუბლიკა, რომელიც დღემდე ასე იწოდება. მას მხოლოდ თურქეთი და აზერბაიჯანი ცნობენ.

**„შავი პოლკოვნიკები“ დააპატიმრეს და გაასამართლეს. ქვეყანაში აღდგა დემოკრატიული მმართველობა.**

**1982 წელს** არგენტინის სამხედრო ხუნტამ დესანტი გადასხა ინგლისთან სადავო ტერიტორიაზე — ფოლკლენდის კუნძულებზე და ის თავის ტერიტორიად გამოაცხადა (ეს კუნძულები დიდმა ბრიტანეთმა არგენტინას 1833 წელს წაართვა).

საპასუხოდ ინგლისმა გაგზავნა შესაბამისი ძალები კუნძულებისაკენ, დაამარცხა არგენტინის ჯარი და ტერიტორია დაიბრუნა.

**არგენტინის სამხედრო ხუნტა, პრეზიდენტ გალტიერის ჩათვლით, დააპატიმრეს და გაასამართლეს.**

ქვეყანაში აღდგა დემოკრატიული მმართველობა.

**1987 წელს** გერმანელმა მოყვარულმა პილოტმა **მათიას რუსტმა** თავისი სპორტული თვითმფრინავი მოსკოვში, წითელ მოედანზე დასვა.

**იმის გამო, რომ თავდაცვის სამინისტრომ დროულად არ მიიღო შესაბამისი ზომები საზღვრის დამრღვევის მიმართ, საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრი ს. სოკოლოვი და გენერალური შტაბის უფროსი ნ. ოგორკოვი გადადგნენ, ხოლო უშუალო პასუხისმგებელი თანამდებობების პირები კი დააქვეითეს ან ჯარიდან დაითხოვეს.**

ასე იქცევიან ის ადამიანები, რომლებსაც სინდისი აქვთ, სამშობლოსა და ხალხს პატივს სცემენ, და ის ქვეყნები, რომლებშიც კანონი კანონობს.

**საქართველოში კი?**

**ჩვენმა ხელისუფლებამ კატასტროფული შეცდომები დაუშვა, რომელთა შედეგადაც ქვეყნის ტერიტორია შეამცირა, მოსახლეობა ლტოლვილად აქცია, ერი კი შეარცხვინა და ამაზე პასუხი არავის უგია.**

ერთი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ ყველა დანაშაული შერჩა. მისი დანაშაულებრივი ქმედებები „მემკვიდრემაც“ გაიმეორა, და, როგორც ჩანს, მასაც შეიძლება შერჩეს.

**ერთს „მსოფლიო დონის პოლიტიკოსი“ უწოდეს, მეორეს — „დემოკრატიის შუქურა“, მესამეს?**

**და რისთვის?**

„მსოფლიო დონის პოლიტიკოსმა“ ჩაბარებულ ქვეყანას უღალატა და დაშალა. შემდეგ კანონიერად არჩეული პრეზიდენტი დაამხობინა, ხალხი ქუჩაში ჩახოცა, საპრეზიდენტო არჩევნები გააყალბა და საქართველოს დაშლაც წამოიწყო, რომელიც „დემოკრატიის შუქურამ“ დააგვირგვინა; სამაგიეროდ, ერთმა ნატოს კარზე მიაკაკუნა, მეორემ — მიაბრახუნა, მაგრამ კარი მაინც არ გაუღეს, და ვერცა ხვდებიან, რატომ.

ეს არის და ეს მათი „დამსახურება“.

და თუ ასეთი ქმედებები ვიღაცებს დამსახურებად მიაჩნიათ, **მაშინ რა უნდა დავარქვათ ქვეყნის პირველი პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას მოქმედებას ე. წ. გეკა-ჩე-პეს პერიოდში?! იმხანად ხომ პირველმა პრეზიდენტმა უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე იმუშავა გე-კა-ჩე-პეს მთავარ წარმომადგენელთან საქართველოში და ღირსეულად დაიცვა ქვეყნის ინტერესები — თავმოყვარეობის შელახვის გარეშე და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებით.**

იმიტომ ხომ არ ეწინააღმდეგებიან მთავრობები მისთვის ღირსეული ადგილის მიჩენას და მისი ღვაწლის შესაბამის დაფასებას ერისა და ქვეყნის წინაშე, რომ ის იყო აქტიური ნეიტრალიტეტის მომხრე?

**ალექსანდრე ტოლსტოი,**

თადარიგის პოლკოვნიკი



**1. თუ რუსეთმა წამოიწყო საქართველოს წინააღმდეგ საომარი მოქმედებები, საქართველომ და დასავლეთის ქვეყნებმა რატომ არ მოითხოვეს გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომის მოწვევა და მასზე რუსეთის მხრიდან ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტის მოთხოვნის საკითხის დაყენება?**
**2. თუ რუსეთი თავს დაესხა ჩვენს ქვეყანას 7 აგვისტოს (ან უფრო ადრე), მაშინ რატომ არ გამოაცხადა პრეზიდენტმა ქვეყანაში საომარი მდგომარეობა 7 ან 8 აგვისტოს (ან უფრო ადრე), ამას ხომ კონსტიტუციის 73-ე მუხლი მოითხოვს?**










## ევროკავშირის კომისია: კოსოვოელი ალბანელები ადამიანის ორგანოებით ვაჭრობდნენ

**კოსოვოში 1998-1999 წლებში ჩადენილი დანაშაულების საგამოძიებო კომისიამ, რომელიც ევროკავშირის ეგიდით მოქმედებს, სამწლიანი მუშაობის შედეგები გამოაქვეყნა. კომისიის ხელმძღვანელი, პროკურორი კლინტ უილიამსონი ამტკიცებს, რომ გამოძიების მიმდინარეობისას აღმოჩენილია მტკიცებულებები ეთნიკური უმცირესობების დევნაში კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის უმაღლესი რანგის ოფიცრების მონაწილეობის შესახებ.**

კომისიის ხელმძღვანელის, პროკურორ უილიამსონის განცხადებით, გამომძიებლებს ხელთ აქვთ მტკიცებულებები 1998-1999 წლებში კოსოვოელი სერბების, ბოშებისა და სხვა ეთნიკური უმცირესობების დევნის თაობაზე და ამაში კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის უმაღლესი ხელმძღვანელები მონაწილეობდნენ. დანაშაულში ეჭვმიტანილებისთვის სპეციალური საერთაშორისო სასამართლო შეიქმნება, რადგან ამ მომენტში ისინი ჰააგის ტრიბუნალის იურისდიქციას არ ექვემდებარებიან.

შეგახსენებთ, რომ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის კომისიის ხელმძღვანელმა დიკ მარტინმა კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის უმაღლესი რანგის ოფიცრები ეთნიკური სერბების მოტაცებაში, აგრეთვე, მათი ორგანოებით იატაკქვეშა ვაჭრობაში დაადანაშაულა.

კოსოვოში ალბანელ სეპარატისტებსა და იუგოსლავიის ხელისუფლებას შორის კონფლიქტმა 1996 წლის აპრილში იფეთქა. კოსოვოელი ალბანელების მიზანი, რომლებმაც საომარი მოქმედებები დაიწყეს, კოსოვოსა და მეტოქიის დამოუკიდებლობის მოპოვება იყო. 1999 წლის მარტში კონფლიქტში ჩაება ნატო და დაიწყო იუგოსლავიის დაბომბვა. კონფლქტის შედეგად კოსოვო დატოვა არაალბანელმა მოსახლეობამ (სერბებმა, ჩერნოგორიელებმა და ბოშებმა). 2008 წლის თებერვალში კოსოვოელმა ალბანელებმა კოსოვოსა და მეტოქიის დამოუკიდებლობა გამოაცხადეს.

**ევროკავშირის კომისიის მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგები აქარწყლებენ მითს იმის თაობაზე, რომ კოსოვოს განმათავისუფლებელი არმია „სამართლიან განმათავისუფლებელ ომს“ ეწოდა.**

ჩვეულებრივი ფაშიზმი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„კიევის რეჟიმი რეგულარულად ბომბავს ქალაქებს თვითმფრინავებითა და არტილერიით და ამით ჰუმანიტარულ კატასტროფას იწვევს, თუმცა ამერიკის პოლიტიკური ისტებლიშმენტი და მათი მხარდამჭერი მედიასაშუალებები ამას, ფაქტობრივად, უყურადღებოდ ტოვებენ“.

„THE NATION“ (აშშ)

# ფაშიზმი უკრაინული აქცენტით



**დასავლეთისგან წაქეზებულმა უკრაინელმა ნაციონალისტებმა სისასტიკით წინამორბედებსაც გადააჭარბეს. ასეთი მხეცობა ფაშისტ ბანდერასაც კი არ ჩაუდენია.**

თვითმფრინავებით, ბალისტიკური რაკეტებით, ფოსფორიანი ბომბებით, მძიმე არტილერიითა და ტექნიკით მიწასთან გასწორებული ლუგანსკისა და დონეცკის ოლქების ტერიტორიები; ათასობით დახოცილი მშვიდობიანი მოსახლეობა და ჯარისკაცები; ოდესის პროფკავშირების სახლში გამომწვარი 116 ადამიანი; 117 ათასი ადგილნაცვალი და უკრაინიდან რუსეთში დევნილი 168,7 ათასი პირი (გაეროს მონაცემებით) — აი, ასეთია უკრაინელი ნაციონალისტების „ნამოღვაწარი“, სულ რაღაც, 5 თვეში.

აშშ-ისა და ევროკავშირის მიერ წაქეზებულმა უკრაინელმა ნაციონალისტებმა, რომლებმაც ამა წლის თებერვალში უკრაინის კანონიერად არჩეული პრეზიდენტი დაამხეს, შემდეგ კი იმავე აშშ-ისა და ევროკავშირის წაქეზებით ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთში საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ უცხოელი დაქირავებულების დახმარებით სადამსჯელო ოპერაცია (ოფიციალურად — „ანტიტერორისტული ოპერაცია“) წამოიწყეს, სისასტიკით გადააჭარბეს თავიანთ წინამორბედ ფაშისტ წინაპრებს — სტეპან ბანდერასა და მის თანამებრძოლებს, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის წლებში გაუგონარ მხეცობებს სჩადიოდნენ ადგილობრივი პოლონელი, ებრაელი, რუსი და თვით უკრაინელი მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. ამას ლუგანსკისა და დონეცკის ოლქებში გადაღებული ფოტოებიც მოწმობს.











„სლავიანსკსა და ლუგანსკში მშვიდობიანი მოსახლეობის გენოციდი მიმდინარეობს... უკრაინელი ჯარისკაცები შევიდნენ ქალაქში, დაიჭირეს ქალი, მისი ქმარი ფეხებით ჯავშანტრანსპორტიორს გამოაბეს და  მოედანზე ათრიეს... ისინი სახლებში ძალლებით შედიან, ჩხრეკენ და, ვისაც საიმედოდ არ მიიჩნევენ, ხვრეტენ ახლობლების თვალწინ. გვამები ქუჩებსა და ბინებში უპატრონოდ ყრია...“

## ჩვეულებრივი ფაშიზმი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


















გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



„სტალინმა თავდაპირველად შთაბეჭდილება თავისი ნიჭიერებით მოახდინა და მასზე აზრი არ შემცვლია. მას ჰქონდა ბუნებრივი, კარგი, ეტყობა, ქართული წარმომავლობის მანერები. ვიცი, რომ ის იყო შეუბრალებელი, მაგრამ პატივს ვცემ მის გონებას და სიმპათიითაც კი ვარ მის მიმართ განწყობილი, რაც ბოლომდე ვერც ამიხსნია. ალბათ, ეს სტალინის პრაგმატიზმის შედეგი იყო... სტალინი ღრმად იყო ჩახედული ყველა საკითხში, ის წინდახედულობითა და ოპერატიულობით გამოირჩეოდა...“.

# გენერალისიმუსის პორტრეტისთვის

# სტალინი და ბრეჟნევი

**ხრუშჩოვმა ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე ანგარიშსწორება დაიწყო მკვდარ სტალინთან. ნიკიტას კარგად ახსოვდა მოსკოვის ქალაქკომის პირველი მდივნობის პერიოდში, ერთი ხის მოჭრის ნაცვლად, ქუჩის ნარგავების გაჩეხვის გამო, როგორ სასტიკად დატუქსა სტალინმა: „ამაზეა ნათქვამი, ღორი ეკლესიაში შეუშვი და საკურთხეველს გადააბრუნებსო“. ისიც ახსოვდა, „აგროქალაქების“ მშენებლობის პროექტისთვის დატუქსულ პატარა ბავშვივით მოზლუქუნე ნიკიტას „ჩემი პატარა მარქსი“ რომ უწოდა და ისიც — როგორ დააბერტყა თავზე 1941 წლის ოქტომბერში ფაშისტების „მომლოდინე“ და შიშს ატანილ ხრუშჩოვს ჩიბუხი.**





როდესაც ხრუშჩოვმა დიდ სამამულო ომში კიევის დაკარგვის შესახებ აცნობა, სტალინმა ჰკითხა: „თქვენ ადგილზე ნიჩბები თუ გაქვთ?“. ნიკიტა იქვე მდგომ ფრონტის სარდალს დაეკითხა და სტალინს უპასუხა, რომ ნიჩბები აქვთ. **„გამოართვით ნიჩბები ჯარისკაცებს და თქვენივე ხელით გაითხარეთ სამარე,** უკრაინის გარდა, თქვენ სხვა ადგილი არ გაქვთ!“ — მკაცრად უპასუხა სტალინმა და ყურმილი დაუკიდა.

სტალინისგან ერთხელ უკვე შეწყალებული ხრუშჩოვის შვილი ლიონია ხრუშჩოვი, რომელმაც საბჭოთა თვითმფრინავი მტრის ზურგში დასვა და გერმანელების მხარეზე გადავიდა, წითელი არმიის საწინააღმდეგო პროპაგანდას ეწეოდა. სტალინის ბრძანებით, სპეცრაზმმა მოღალატე მფრინავი მტრის ზურგიდან მოიტაცა და სამშობლოში დააბრუნა. ხრუშჩოვი დაჩოქილი ეხვეწებოდა სტალინს, ეჩუქებინა მისთვის შვილის სიცოცხლე. სტალინმა ჰკითხა:

— მეხვეწები, როგორც პოლიტბიუროს წევრი თუ როგორც მამა?

— როგორც მამა, — იყო პასუხი.

— რა ვუთხრა იმ მამებს, რომლებმაც სამი და ოთხი შვილი ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლაში დაკარგეს, ნუთუ ისინი მამები არ არიან?

პოლიტბიურომ განიხილა ხრუშჩოვის შვილის შეწყალების საკითხი, მაგრამ ლიონია ხრუშჩოვი ერთხმად იქნა მიჩნეული ქვეყნის მოღალატედ და სასამართლოს მიერ გამოტანილი სასჯელი ძალაში დარჩა. Eეს მცირე ჩამონათვალია იმ ფაქტებისა, რომლებიც გახდა ხრუშჩოვის შურისძიების მიზეზი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ. თუკი ხრუშჩოვს ოდნავი საბაბი მაინც ჰქონდა სტალინზე შურისძიებისა, ასეთი საბაბი არ ჰქონდა ხრუშჩოვის საქმის გამგრძელებელ ლეონიდ ბრეჟნევს, რომელიც პირადად სტალინმა შეარჩია, შემდეგ კი საკავშირო Kკომუნისტური პარტიის IX ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის მდივნად იქნა არჩეული. ხრუშჩოვთან ათი წლის განმავლობაში ნამუშევარი ბრეჟნევი უმოქმედო ლიდერი გახდა. თუ ხრუშჩოვმა ათი წლის განმავლობაში ანგრია სტალინის ნაშენებ-ნალოლიავები ქვეყანა, ბრეჟნევმა ცხრამეტი წლის განმავლობაში უძრაობაში ამყოფა.

ნიკიტა ხრუშჩოვისა და ლეონიდ ბრეჟნევის პირადი თარჯიმანი **ვიქტორ სუხოდრევი** იგონებს:

**„ბრეჟნევი გაუნათლებელი, უვიცი იყო. იმის წაკითხვაც კი ეზარებოდა, რასაც მზამზარეულად მიართმევდნენ. მას არ სურდა, ღრმად ჩასწვდომოდა არც ერთ საკითხს და თავიდან იცილებდა ხოლმე შემდეგი ფრაზებით: „ეს საკითხი მოსათათბირებელია, ამის თაობაზე გვმართებს დაფიქრება“...**

განსაკუთრებით შემრცხვა, როდესაც ბრეჟნევსა და აშშ-ის პრეზიდენტ კარტერს ჰქონდათ შეხვედრა ერთი-ერთზე. იმხანად ბრეჟნევი დაწერილი ტექსტის გარეშე სიტყვას აღარ წარმოთქვამდა.

ბრეჟნევი მიყოლებით კითხულობდა გამზადებულ ტექსტს და ვერ ვარაუდობდა, როგორ უპასუხებდა კარტერი. რეაგირება რომ მოგვეხდინა შესაძლო შეკითხვებზე, რამდენიმე წინასწარი პასუხით მეც მომამარაგეს. აუცილებლობის შემთხვევაში ეს პასუხები ბრეჟნევისათვის უნდა გადამეცა. ქაღალდებს შორის ერთი განსაკუთრებული დოკუმენტიც იყო. ეს დოკუმენტი, იმის მიხედვით, როგორ დასვამდა კითხვას კარტერი, უნდა წაკითხულიყო ან მთლიანად, ან მხოლოდ მისი ნაწილი. როდესაც კარტერმა დასვა კითხვა, მე ტექსტში გადავხაზე ის, რისი წაკითხვაც აღარ იყო საჭირო და ფურცელი გადავეცი ბრეჟნევს. მან დაიწყო კითხვა და, როდესაც მივიდა გადახაზულ ადგილამდე, მომიტრიალდა, — „რაც ამის შემდეგ წერია, აღარ წავიკითხო?“ „არ წაიკითხოთ,“ — ვუპასუხე და გულისკანკალით გადავხედე კარტერსა და მის თარჯიმანს, რომლებიც ყურადღებით უცქერდნენ ამ სცენას, და, რა თქმა უნდა, მშვენივრად ხვდებოდნენ, რაც ხდებოდა“.

სტალინის ფენომენალური ნიჭის უამრავ შეფასებას შორის განსაკუთრებით გამოვყოფ დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრის — **უინსტონ ჩერჩილის** (და არა თეა თუთბერიძისა და გია ნოდიას) შეფასებას, რომელიც მან შეიტანა მემუარებში „მეორე მსოფლიო ომი“ (ამ ნაწარმოებმა ჩერჩილს ნობელის პრემია მოუტანა):

**„მე ზუსტად განვმარტავდი, ვხსნიდი ოპერაცია „ტორჩს“ (1942 წელს ჩრდილოეთ აფრიკაში მოკავშირეთა გადასმის ოპერაცია — გრ. ო.). როცა ლაპარაკს მოვრჩი, სტალინმა დიდი ინტერესი გამოიჩინა... მან, ეტყობა, მაშინვე შეაფასა „ტორჩის“ სტრატეგიული უპირატესობები და ჩამოთვალა 4 ძირითადი მათგანი: პირველი — ფელდმარშალ ერვინ რომელს ზურგიდან მიაყენებს დარტყმას; მეორე — დააფრთხობს ესპანეთს; მესამე — გამოიწვევს ბრძოლას გერმანელებსა და ფრანგებს შორის საფრანგეთში; მეოთხე — იტალიას უშუალო დარტყმის ქვეშ დააყენებს.**

**სტალინის ნათქვამმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მან წარმოაჩინა, რომ რუსმა დიქტატორმა სწრაფად და სიღრმისეულად გააანალიზა პრობლემა, რომელსაც ეს-ესაა გაეცნო. ცოცხალ ადამიანთაგან ძალიან ცოტა ვინმეს შეეძლო რამდენიმე წუთში გაეგო მოსაზრებები, რომლებზეც ჩვენ ასე დაჟინებით ვიმტვრევდით თავს თვეების განმავლობაში. სტალინმა კი ყველაფერი ელვისებურად შეაფასა“.**

**«ცოცხალ ადამიანთაგან ძალიან ცოტა ვინმეს შეეძლო რამდენიმე წუთში გაეგო მოსაზრებები, რომლებზეც ჩვენ ასე დაჟინებით ვიმტვრევდით თავს თვეების განმავლობაში. სტალინმა კი ყველაფერი ელვისებურად შეაფასა»**

უკრაინის რესპუბლიკის ცკ-ის პირველი მდივანი, პოლიტბიუროს წევრი **პეტრე შელესტი** მოგვითხრობს: **„ბრეჟნევი საკუთარ თავს თვლიდა ბელადად, მარქსიზმ-ლენინიზმის ერთგულ, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწედ. ქვეყანა კი უპატრონოდ მიაგდო. უკვე უსწორდებოდნენ იმ კადრებს, რომლებმაც იგი ხელისუფლებაში მოიყვანა. სიგიჟემდე უყვარდა ორდენები. მისი ამ სისუსტის შესახებ იცოდნენ სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწეებმა. მაგონდება, პოდგორნიმ უთხრა: „ლეონიდ ილიჩ, ასე აღარ შეიძლება. ხალხში უკვე ანეკდოტი დადის, გენერალურ მდივანს მკერდის გაგანიერების ოპერაცია სჭირდება, ორდენები აღარ ეტევაო...“ და პასუხად რა მიიღო? —„თუ ჩემზე ყვებიან, ესე იგი, ვუყვარვარ კიდეც... “**

ჩემი აზრით, ბრეჟნევი, როგორც პარტიისა და ქვეყნის ხელმძღვანელი, შემთხვევითი ფიგურა იყო... განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია მისი დაბალი კულტურა და არაკომპეტენტურობა მრავალ საკითხში.

ბრეჟნევის დასახასიათებლად გამოდგება ერთი ასეთი ეპიზოდი: 1964 წლის ივლისში იგი მეწვია ყირიმში, სადაც ვისვენებდი. საუბარი შეეხო ხრუშჩოვს. ბრეჟნევი არამხოლოდ სიტყვებით ცდილობდა ჩემს დაყოლიებას, ცრემლებსაც ღვრიდა. მის ქცევაში ჭარბი იყო არტისტიზმი.

ბრეჟნევი იყო მშიშარა, ეჭვიანი და გონებაშეზღუდული კაცი. უყვარდა ძალაუფლება და პატივი. იცით, როგორ მიიღო გმირის მეორე ვარსკვლავი? 60 წლისთავზე მას უკვე ჰქონდა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, რომელიც სარაკეტო საქმეებისთვის მიაკუთვნეს. საიუბილეოდ გადაეწყვიტათ მეორე ვარსკვლავის მინიჭება. იმხანად კიევში ვიყავი. მოსკოვიდან გამომიგზავნეს წარდგინება — ვხედავ, ყველას მოუწერია ხელი. ორი-სამი დღის შემდეგ მირეკავს პოდგორნი: „პეტრო, იცი რა, ლიონია მოითხოვს, რომ საბჭოთა კავშირის გმირის ვარსკვლავი მისცენ“. მე ვეკითხები: „რის საფუძველზე?“, პასუხად მესმის: „რას მეკამათები! უკვე ყველა დაითანხმა, შენღა დარჩი“. და წამოვიდა ვარსკვლავთცვენა“.

1939 წლის 21 დეკემბერს 60 წლისთავთან დაკავშირებით სტალინი დაჯილდოვდა სოციალისტური შრომის გმირის წოდებით, ხოლო 1945 წლის 26 ივნისს მას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. გაეცნო რა პრესით თავისი გმირობის ამბავს, სტალინმა სასწრაფოდ იხმო პრეზიდიუმის **თავმჯდომარე მიხეილ კალინინი და, როგორც არასდროს, ისე მკაცრად მიმართა მას: „ამხანაგო კალინინ, თქვენ თუ იცნობთ დებულებას საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების თაობაზე?“. კალინინი მიხვდა, რისთვის იღებდა მწარე შენიშვნას ბელადისგან და მორიდებით უთხრა, რომ ეს პრეზიდიუმისა და საბჭოთა ხალხის სურვილის გამოხატულება იყო. „სურვილი კანონს არ ცვლის და, ჩვენი დიდი ხნის მეგობრობა რომ არა, პარტიული სასჯელი არ აგცდებოდათ“. სტალინს გმირის ოქროს ვარსკვლავი დაჯილდოების განყოფილებიდან არ გამოუტანია. ის მხოლოდ სტალინის დაკრძალვის დღეს ხავერდის ბალიშზე იხილეს მსოფლიოს ხალხებმა.**

1933 წელს ი. ნ. ბაჟანოვმა უსაზღვრო სიყვარულისა და უდიდესი დამსახურების აღსანიშნავად თავისი კუთვნილი ორდენი გაუგზავნა კრემლში სტალინს. სტალინმაც სამადლობელი წერილით მიმართა:

**„პატივცემულო ამხ. ი. ნ. ბაჟანოვ!**

**თქვენი წერილი იმის შესახებ, რომ ჩემი მუშაობისთვის თქვენს მეორე ორდენს მითმობთ, მივიღე.**

**გმადლობთ გულთბილი სიტყვისა და ამხანაგური საჩუქრისთვის. ვიცი, რას იკლებთ ჩემს სასარგებლოდ და ვაფასებ თქვენს გრძნობებს.**

**მიუხედავად ამისა, მე არ შემიძლია მივიღო თქვენი მეორე ორდენი. არ შემიძლია და არც უნდა მივიღო, არა იმიტომ, რომ ეს ორდენი მხოლოდ თქვენ გეკუთვნით, რადგან მხოლოდ თქვენ დაიმსახურეთ იგი, არამედ იმიტომ, რომ მე ისედაც საკმაოდ დაჯილდოებული ვარ ამხანაგების ყურადღებითა და პატივისცემით და, მაშასადამე, უფლება არ მაქვს, გაგძარცვოთ.**

**ორდენი შექმნილია არა იმათთვის, ვინც ისედაც ცნობილია, არამედ, უმთავრესად, ისეთი გმირი ადამიანებისთვის, რომლებიც ნაკლებად არიან ცნობილნი და რომლებიც ყველასათვის ცნობილნი უნდა გავხადოთ.**

**გარდა ამისა, უნდა გითხრათ, რომ მე უკვე მაქვს ორი ორდენი. გარწმუნებთ, ეს საკმაოზე მეტიცაა.**

**ბოდიშს ვიხდი დაგვიანებული პასუხისთვის.**

**კომუნისტური სალმით, ი. სტალინი**

**ორდენს ვაბრუნებ კუთვნილებისამებრ.**

**ი. სტალინი**
**1933 წ. 16 თებერვალი“.**

ბრეჟნევის თანაშემწე **გიორგი არბატოვი** თავის მოგონებებში „ახლო წარსულიდან“ წერს:

„ათასი ხმა დადის მის მიერ სახელმწიფოს მატერიალური სახსრების ბოროტად გამოყენების თაობაზე. უდავოა, ბრეჟნევის და განსაკუთრებით მისი ოჯახის წევრების, ზოგიერთი ქმედებანი მსგავსი პრეტენზიების საფუძველს იწვევდეს. ზნეობრივი მოთხოვნილება როგორც საკუთარი პიროვნების, ისე გარშემო მყოფთა მიმართ, სულ უფრო იკლებდა. შეუძლებელ- ▶

## „სხდომის მსვლელობისას სტალინი, როგორც წესი, მოკლე განცხადებებით გამოდიოდა, — ყველა იქ მყოფი მის ყოველ სიტყვას იჭერდა, ისე ლაპარაკობდა, რომ მისი სიტყვები ყურს სჭრიდა დასავლეთის ქვეყნების ორივე ლიდერს, თუმცა თვითონ გამონათქვამები ფორმით სულაც არ იყო მკვეთრი, მით უფრო, უხეში — ტაქტი დაცული იყო. იმას, რასაც სტალინი ამბობდა, მკაფიოდ აცნობიერებდნენ ისინი, ვისაც მიმართავდა...

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ია, არ ითქვას მის უმაგალითოდ გაზრდილ პატივმოყვარეობაზე, რომელმაც შემზარავი ფორმები მიიღო. მაგალითად, ბრეჟნევის სიყვარული მანქანის მართვისადმი არ იქნებოდა აგრერიგად დასაგმობი „ჰობი“, მაინცდამაინც უცხოური მარკის, საუცხოო „როლს-როისებისა“ და „მერსედესებისკენ“ რომ არ ჰქონოდა მიდრეკილება. ამ მანქანებით ცოტა ხანში საავტომობილო პარკი შექმნა... საზღვარგარეთულ პრესაში განსაკუთრებული მსჯელობის საგანი იყო საბჭოთა ლიდერის სიყვარული მდიდრული ავტომობილების მიმართ, ბევრი იწერებოდა იმაზეც, რომ უმაღლეს დონეზე შეხვედრების დროს იგი ერთმანეთის მიყოლებით იღებდა ავტომობილებს საჩუქრად.

სტალინს რამდენიმეჯერ სთხოვეს, მაზარა გამოეცვალა, მაგრამ მან მაზარას მხოლოდ საყელო გადაუბრუნა და განაცხადა, რომ კიდევ ათი წელი ეყოფოდა. ერთხელ სტალინის დაცვის წევრებმა თავიანთი დანაზოგებით შეუძინეს ახალი ჩექმა და საწოლთან დაუწყვეს. დილით, როდესაც სტალინი წამოდგა ლოგინიდან და თავისი ჩექმა ვერსად იპოვა, მკაცრი ტონით მოითხოვა თავისი ძველი ჩექმის დაბრუნება. დაცვის თანამშრომლები არწმუნებდნენ, რომ არ შეიძლებოდა ამ ჩექმით სამსახურში სიარული და უცხოელებთან შეხვედრა, მაგრამ სტალინი მაინც დაჟინებით მოითხოვდა: „თქვენთვის უმჯობესია, დამიბრუნოთ ჩემი ჩექმა!“. უფროსის ნება ასრულდა.

სტალინის დაცვის უფროსმა, გენერალმა ვლასიკმა ერთხელ სტალინს უთხრა, ამერიკის პრეზიდენტი შვიდიათასდოლარიანი პაკარდით დადის, საბჭოეთის მეთაური კი — სამიათას დოლარიანით, რით არის ამერიკა ან რუზველტი საბჭოთა კავშირზე ან სტალინზე მეტიო.

„სტალინი რუზველტზე არაფრით არის ნაკლები, მაგრამ ამერიკა გაცილებით მდიდარია საბჭოთა კავშირზე და მათი პრეზიდენტის მანქანა უფრო ძვირი უნდა ღირდეს, ვიდრე ჩვენი. მაგრამ გაივლის ცოტა დრო და ჩვენც ისეთივე მდიდრები ვიქნებით და ჩვენც ისეთივე მანქანა გვეყოლება“, — დაამშვიდა ვლასიკი სტალინმა.

ჩემს წინა წერილში მოყვანილი იყო ნადეჟდა ალილუევას წერილი სტალინისადმი, რომელშიც სტალინს მეუღლე 50 მანეთის გაგზავნას სთხოვდა, თორემ უკაპიკოდ ვარ მოსკოვშიო. იმაზე არაფერს ვამბობ, რომ საბჭოთა კავშირის პირველი პირის მეუღლე სამსახურში ტრამვაით მგზავრობდა.

**როდესაც სვეტლანა მამას ურეკავდა, რათა საყიდლებისთვის ფული მიეცა, სტალინმა მდივანს უბრძანა, ტელეფონი არ გადაერთო მასთან, რადგან მდივნისგან უკვე იცოდა, რისთვისაც ურეკავდა ქალიშვილი.**

**ფიოდორ ბურლაცკი** თავის წერილში „ბრეჟნევი და „დათბობის“ მსხვრევა“ წერს:

**„როგორ მოხდა, რომ ჩვენი სამშობლოსა და მსოფლიო ისტორიის ასეთ რთულ პერიოდში ქვეყნის მმართველობის საჭესთან დარჩა ყველაზე სუსტი იმ ხელმძღვანელთა შორის, რომელიც კი ამ პოსტზე ყოფილა როგორც საბჭოთა, ისე, შესაძლოა, რევოლუციამდელ პერიოდშიც?! აქ არ უნდა აჰყვე ცდუნებას და უნებურად არ უნდა დაამცირო კაცი, რომელიც ბავშვური გულუბრყვილობით ამკვიდრებდა საკუთარი კულტის აქსესუარებს: ოთხგზის საბჭოთა კავშირის გმირი, სოციალისტური შრომის გმირი, საბჭოთა კავშირის მარშალი, საერთაშორისო ლენინური პრემია, ბრინჯაოს ბიუსტი მის მშობლიურ კუთხეში, ლენინური პრემია ლიტერატურის დარგში, მარქსის სახელობის ოქროს მედალი, მხოლოდ გენერალისიმუსის წოდებაღა აკლდა — სიკვდილმა არ აცალა...**

მან ხელისუფლება ისე არხეინად ჩაიბარა, თითქოს ვილაც დიდი ხნის წინ აზომებდა სხვადასხვა თავებს მონომახის ქუდს და სწორედ მის თავთან შეჩერდა.



**«რუსეთისთვის დიდი ბედნიერებაა, რომ თავს დატეხილი უბედურებების ჟამს სათავეში დიდი მხედართმთავარი უდგას. სტალინი დიდი და ძლიერი პიროვნებაა, რომელიც მიესადაგება იმ ბობოქარ დრო-ჟამს, რომელშიც ცხოვრობს. ის დაუშრეტელი სიმამაცისა და ძალის კაცია, უბრალო კაცი, უშუალო და საუბარში მკვეთრიც კი, რაც მე, როგორც თემთა პალატაში აღზრდილ კაცს, არ შემიძლია, არ დავაფასო... სტალინი, უწინარესად, ის ადამიანია, რომელიც ფლობს იმ გადამრჩენ იუმორს, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ყველა ადამიანისა და ერისთვის, განსაკუთრებით — დიდი ადამიანებისა და დიდი ბელადებისთვის. სტალინმა ჩემზე დატოვა შთაბეჭდილება ისეთი ადამიანისა, რომელიც ფლობს ღრმა, მშვიდ სიბრძნეს და რომლისთვისაც უცხოა ილუზიები»**

ეს ქუდი მშვენივრად მოირგო და 19 წლის განმავლობაში კონფლიქტებისა და კატაკლიზმების გარეშე ატარა. თანაც უშუალოდ მის გარშემო მყოფი ხალხი ისე კარგად გრძნობდა თავს, რომ მხოლოდ ერთი რამის მოსურნე იყო — მუდმივად ეცოცხლა ამ ადამიანს.

გიორგი არბატოვის აზრით, ბრეჟნევს ჰქონდა გაუნათლებელი, გონებაშეზღუდული და პოლიტიკურ პრობლემებში თუ ცხოვრებისეულ საკითხებში ჩაუხედავი ადამიანის რეპუტაცია. ამასთანავე, ბრეჟნევი დარწმუნებული იყო, რომ იგი ბრწყინვალედ იცნობს სოფლის მეურნეობასა და ეკონომიკის საკითხებს, აგრეთვე, სამხედრო საქმეს, შესანიშნავად ერკვევა ადამიანებში და კარგად უწყობს ფეხს პარტიულ ცხოვრებას. ამ საკითხებზე მასთან კამათს აზრი არ ჰქონდა — ვერ გადაარწმუნებდით.

პოლიტბიუროს წევრი ა. შელეპინი იგონებს: „ბრეჟნევი არ გამოირჩეოდა დიდი შრომისმოყვარეობით... იგი დგებოდა დილის 10 საათზე, საუზმობდა 11-ზე, 12-დან 14-მდე ხმამაღლა უკითხავდნენ ინფორმაციას. 14-დან 15-მდე — სადილი, 17-მდე — ძილი, რომლის შემდეგაც იგი სვამდა ჩაის და მიდიოდა სანადიროდ. Bბრუნდებოდა 21 სთ-ზე, ვახშმობდა და პირველ ან ორ საათამდე უყურებდა კინოს“.

სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი **ანდრეი გრომიკო** წერდა:

„ბრეჟნევის ძლიერი მხარე იყო მისი განსაკუთრებული ინტერესი კადრების მიმართ... ფართო გაგებით თუ ვიმსჯელებთ, მას გაუნათლებელს ვერ უწოდებდი. მართალი არ არის საპირისპიროს მტკიცება, მაგრამ მისი განსწავლულობა სიღრმით არ გამოირჩეოდა. შემთხვევითი როდია, რომ არ უყვარდა საუბრები იმ თემაზე, რომლებიც იდეოლოგიისა და პოლიტიკის თეორიულ ასპექტებს შეეხებოდა. სიცოცხლის ბოლო წლებში იგი თითქმის არაფერს კითხულობდა.

მახსოვს, ერთხელ, სანატორიუმში დასასვენებლად ყოფნის დროს, ვურჩიე, წაეკითხა ნაწარმოები ლეონარდო და ვინჩის ცხოვრებაზე. თვითონ გამოვუტანე წიგნი. დამპირდა, წავიკითხავო, მაგრამ ორი კვირის შემდეგ დამიბრუნა და მითხრა:

— არ წამიკითხავს ეს წიგნი. საერთოდ გადავეჩვიე კითხვას...

... ერთხელ საბაბი მომეცა და ვეუბნები:

— რაღაც უნდა ვიღონოთ, რომ ქვეყანაში შემცირდეს ალკოჰოლური სასმელების მოხმარება. ძალიან ბევრს სვამენ ჩვენში; ეს კი იწვევს დანაშაულობათა გახშირებას, საგზაო შემთხვევებს, ტრავმებს საწარმოებსა და ყოფით ცხოვრებაში, ოჯახების დანგრევას.

— იცით, რა გითხრათ, — გამოცოცხლდა იგი, — რუსი კაცი როგორც სვამდა, ისევე დალევს! არყის გარეშე მას სიცოცხლე არ შეუძლია!“

სტალინის საგარეო პოლიტიკის ძირითადი არსის შესახებ ჩერჩილმა 1942 წლის 8 სექტემბერს თემთა პალატაში გამოსვლისას თქვა: **„ჩემთვის სტალინთან შეხვედრას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა... ვიზიტის მთავარი მიზანი იყო ის, რომ დამემყარებინა ისეთივე მტკიცე და გამჭვირვალე ურთიერთობა, როგორიც დავამყარე პრეზიდენტ რუზველტთან. ვფიქრობ, რომ ეს, ენობრივი ბარიერის მიუხედავად, რომელიც ბევრ დაბრკოლებას ქმნის, მნიშვნელოვანწილად შევძელი“**. და შემდეგ: **„რუსეთისთვის დიდი ბედნიერებაა, რომ თავს დატეხილი უბედურებების ჟამს სათავეში დიდი მხედართმთავარი უდგას. სტალინი დიდი და ძლიერი პიროვნებაა, რომელიც ესატყვისება იმ ბობოქარ დრო-ჟამს, რომელშიც ცხოვრობს. ის დაუშრეტელი სიმამაცისა და ძალის კაცია, უბრალო კაცი, უშუალო და საუბარში მკვეთრიც კი, რაც მე, როგორც თემთა პალატაში აღზრდილ კაცს, არ შემიძლია, არ დავაფასო, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს გარკვეულწილად ჩემზეც შემიძლია ვთქვა... სტალინი, უწინარესად, ის ადამიანია, რომელიც ფლობს იმ გადმრჩენ იუმორს, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ყველა ადამიანისა და ერისთვის, და განსაკუთრებით — დიდი ადამიანებისა და დიდი ბელადებისთვის. სტალინმა ჩემზე დატოვა შთაბეჭდილება ისეთი ადამიანისა, რომელიც ფლობს ღრმა, მშვიდ სიბრძნეს და რომლისთვისაც უცხოა ილუზიები. მჯერა, შევძელი, მისთვის მეგრძნობინებინა, რომ ჩვენ ამ ომში კარგი და ერთგული ამხანაგები ვართ, მაგრამ ამას საქმეები წარმოაჩენს და არა — სიტყვები.**

ერთი რამ ნათელია — ესაა რუსეთის ურყევი სიმტკიცე, ჰიტლერიზმს ბოლომდე, მის საბოლოო განადგურებამდე ებრძოლოს. სტალინმა მითხრა, რომ რუსი ხალხი ჩვეულებრივ პირობებში მშვიდობისმოყვარე ხალხია, მაგრამ მის წინააღმდეგ ჩადენილმა საზარელმა მხეცობებმა ის ისე ალაშფოთა და გაამძვინვარა, რომ ხასიათი შეეცვალა“.

1962 წელს გამოცემულ მოგონებებში დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი **ენტონი იდენი**, რომელიც დასავლელ პოლიტიკოსთაგან ყველაზე ხშირად შეხვედრია სტალინს, წერდა: **„სტალინმა თავდაპირველად შთაბეჭდილება თავისი ნიჭიერებით მოახდინა და მასზე აზრი არ შემცვლია. ამაზე ღაღადებდა თვითონ მისი პიროვნება, რომლის შეფასებაც გაზვიადებას არ საჭიროებდა. მას ჰქონდა ბუნებრივი, კარგი, ეტყობა, ქართული წარმომავლობის მანერები. მე ვიცი, რომ ის იყო შეუბრალებელი, მაგრამ პატივს ვცემ მის გონებას და სიმპათიითაც კი ვარ მის მიმართ განწყობილი, რაც ბოლომდე ვერც ამიხსნია. ალბათ, ეს სტალინის პრაგმატიზმის შედეგი იყო. მისი სახით ყოველთვის საინტერესო, დაღვრემილ და მკაცრ თანამოსაუბრეს ვხედავდი, ხშირად ასეთ განწყობაზე ყოფნას მას განსახილველი საკითხები ავალდებულებდა. სტალინი ღრმად იყო ჩახედული ყველა საკითხში, რომლებთანაც შეხება ჰქონდა, ის წინდახედულობითა და ოპერატიულობით გამოირჩეოდა... ყოველივე ამის უკან, უეჭველად, ძალა იდგა“.**

**ჟორჟ ქენანი,** რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს მოსკოვში, აშშ-ის საელჩოში მუშაობდა, სტალინის შესახებ წერდა: „გაბედული, მაგრამ ფრთხილი, მრისხანე და ეჭვიანი, მაგრამ მომთმენი და თავისი მიზნების მიღწევაში დაუოკებელი... შეეძლო ემოქმედა ძალზე შეუპოვრად ან დალოდებით და ფარულად — გარემოებათა შესაბამისად. გარეგნობით სადა, მაგრამ სახელმწიფოს პრესტიჟისა და ღირსების უმკაცრესი, უბადლო დამცველი... პრინციპული, რეალისტური და უყოყმანო, როცა საქმე ეხებოდა პატიოსნებისა და მორჩილებისადმი მის მიერ წაყენებულ მოთხოვნებს. ადამიანების არასენტიმენტალურად შემსწავლელ სტალინს შეეძლო, როგორც ჭეშმარიტ ქართველ გმირს, დიდი და კარგი მეგობარიც ყოფილიყო და შეურიგებელი, საშიში მტერიც, მისთვის ძნელი იყო მეგობარსა და მტერს შორის რაღაც შუალედური ყოფილიყო“.

ყოველივე ზემოთქმულის გასაანალიზებლად და საბოლოო დასკვნის გასაკეთებლად მკითხველს მივაწოდებ დიპლომატიის კლასიკოსის — **ანდრეი გრომიკოს** გამონათქვამს სტალინზე, რომელიც შეტანილია მის წიგნში „ღირსსახსოვარი“:

„უნდა აღინიშნოს, რომ სტალინი საზღვარგარეთელ მოღვაწეებს მაინცდამაინც არ ანებივრებდა ყურადღებით, ის ჩვენი ქვეყნის ღირსებას უფრთხილდებოდა და დიდი მკრეხელობა იქნებოდა იმის გაფიქრება, თითქოს ის უცხოელ მოღვაწეებს ელაციცებოდა, რაც უნდა დიდი რანგისა ყოფილიყვნენ ისინი“.

თეირანის, იალტისა და პოტსდამის კონფერენციების გახსენებისას **გრომიკო** წერდა: **„სხდომის მსვლელობისას სტალინი, როგორც წესი, მოკლე განცხადებებით გამოდიოდა, — ყველა იქ მყოფი მის ყოველ სიტყვას იჭერდა, ისე ლაპარაკობდა, რომ მისი სიტყვები ყურს სჭრიდა დასავლეთის ქვეყნების ორივე ლიდერს, თუმცა თვითონ გამონათქვამები ფორმით სულაც არ იყო მკვეთრი, მით უფრო, უხეში — ტაქტი დაცული იყო. იმას, რასაც სტალინი ამბობდა, მკაფიოდ აცნობიერებდნენ ისინი, ვისაც მიმართავდა...**

როგორღაც ისე გამოდიოდა, რომ ყველა იქ მყოფი — მთავარნი და არამთავარნიც — სტალინს უმზერდა. კონფერენციის სხვა მონაწილე როცა ლაპარაკობდა, მაშინაც იქ მყოფთა უმრავლესობა სტალინს, მისი სახის გამომეტყველებას უყურებდა იმის ამოსაცნობად, როგორ აფასებდა ის თავისი კოლეგების სიტყვებსა და აზრებს.

**სტალინი ხმადაბლა, თითქოს სხვათა შორის, იწყებდა ლაპარაკს. მისთვის უცხო იყო შებორკილობა, ეფექტის მოხდენის რამენაირი სურვილი, ყოველგვარი გაუმართაობა და დაუხვეწაობა აზრის გადმოცემაში. მისი ყოველი სიტყვა ისე ისმოდა, თითქოს სპეციალურად ჰქონდა დამუშავებული სწორედ ამ აუდიტორიაში და ამ მომენტში წარმოსათქმელად.**

როცა სტალინი მოსაზრებებს გამოთქვამდა, რუზველტი ხშირად ცდილობდა, საბჭოთა ლიდერთან დამოკიდებულება ან თავის დაქნევით, ან გულღია შეხედვით გამოეხატა“.

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ბარაკ ობამამ აღიარა, რომ ცსს ადამიანებს აწამებდა



აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ 1 აგვისტოს სენატში გამოსვლისას აღიარა, რომ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ ამერიკული სპეცსამსახურები ეჭვმიტანილებს აწამებდნენ. **„ჩვენ ვაწამებდით რამდენიმე ბიჭს. ვაკეთებდით ისეთ რაღაცებს, რაც ჩვენს ფასეულობებს ეწინააღმდეგება“**, — განაცხადა ობამამ. მისი თქმით, სპეცსამსახურების თანამშრომლები სასტიკ მეთოდებს იმიტომ იყენებდნენ, რომ საზოგადოების მხრიდან ზემოქმედებას განიცდიდნენ. ობამამ „სრული ნდობა“ გამოუცხადა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორს — ჯონ ბრენანს, რომელმაც ცოტა ხნის წინათ აღიარა, რომ მისმა უწყებამ არასანქცირებულად შეაღწია კონგრესის იმ კომისიის კომპიუტერებში, რომელიც დაზვერვის საქმიანობას იძიებდა. საგამოძიებო კომისიის მიერ ჩატარებული გამოძიების მონაცემებით, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლები ცემდნენ ეჭვმიტანილებს, ამცირებდნენ და აწამებდნენ.



## ამერიკული მზვერავი თვითმფრინავი, რომელიც რუსული გამანადგურებლისგან მიმალვას ცდილობდა, შვედეთის საჰაერო სივრცეში შეიჭრა

**18 ივლისს ამერიკული მზვერავი თვითმფრინავი რუსული გამანადგურებლისგან თავის დაღწევის მცდელობისას შვედეთის ტერიტორიაზე 200 კმ-ის სიღრმეზე შეიჭრა.**

შვედეთის თავდაცვის სამინისტრო ცდილობდა, დაემალა ინციდენტის შესახებ ინფორმაცია, მაგრამ პრესაში მაინც გაჟონა და საავიაციო შემთხვევა შეიძლება დიპლომატიურ სკანდალში გადაიზარდოს.

ინციდენტის შესახებ პირველად 30 ივლისს გახდა ცნობილი — მომხდარიდან თითქმის ორი კვირის შემდეგ. პოპულარულ შვედურ გაზეთ Svenska Dagbladet-ს წყარომ სამხედრო უწყებიდან საიდუმლო დოკუმენტი გადასცა.

18 ივლისს, 17 საათზე, ამერიკულმა სადაზვერვო თვითმფრინავმა „ბოინგ RC-135“-მა შვედეთის საჰაერო სივრცე ორჯერ დაარღვია. მანამდე ის საათ-ნახევრის განმავლობაში ბალტიის ზღვის თავზე დაფრინავდა. როდესაც „ბოინგთან“ შესახვედრად რუსული გამანადგურებელი აფრინდა, ამერიკული თვითმფრინავი შვედეთის საჰაერო სივრცეში შეიჭრა, რომლის უფლებაც არ ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ შვედეთის სამხედრო-საჰაერო ძალების მობილიზაცია არ გამოცხადებულა, ინციდენტს დიპლომატიური გართულებები მოჰყვა. აშშ-ის საელჩოს წარმომადგენელი შვედეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში 30 ივლისს, ზემოაღნიშნული შემთხვევიდან 12 დღის შემდეგ, მივიდა.

**„ჩვენ აშშ-ის წარმომადგენელი გამოვიძახეთ და ვესაუბრეთ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია შვედეთის კანონების დაცვა ჩვენი სახელმწიფოს ტერიტორიის თავზე ფრენისას,“** — განუცხადა გაზეთ Svenska Dagbladet-ს შვედეთის საგარეო უწყების წარმომადგენელმა ლენა ტრანგბერგმა.




## ებოლის ციებამ ექიმი იმსხვერპლა

**ექიმი შეიკ უმარ ხანი, რომელიც სიერა-ლეონეში ებოლის ციებ-ცხელებას ებრძოდა, ამ დაავადებით გარდაიცვალა. მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი ვირუსოლოგი, რომელმაც 100-ზე მეტ ადამიანს უმკურნალა, 10 დღის წინათ გარდაიცვალა სასიკვდილო ვირუსით.** ებოლის ციებ-ცხელება სახიფათო დაავადებაა, რომლის საწინააღმდეგო ვაქცინა მედიკოსებს ჯერ არ შეუმუშავებიათ, ამიტომ დაავადებულთა 90% იღუპება.

მედიკოსები შეშფოთებულნი არიან ეპიდემიოლოგიური ვითარების გაუარესებით სიერა-ლეონეს მეზობელ ქვეყნებში — გვინეასა და ლიბერიაში, სადაც ებოლის ციებ-ცხელებამ რამდენიმე ექიმი იმსხვერპლა. ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, 2014 წელს სიერა-ლეონეში, ლიბერიასა და გვინეაში ებოლის ციებ-ცხელების 1000-ზე მეტი შემთხვევაა აღრიცხული.

## პოლ კრეიგ რობერტსი: ომი მოახლოვდა. დასავლეთის ელიტები და მთავრობები არა მხოლოდ კორუფცირებულები, არამედ გიჟებიც არიან!

**„აშშ და დიდი ბრიტანეთი გააფთრებულ პროპაგანდისტულ ომს აწარმოებენ პუტინის წინააღმდეგ. მათი მიზანია რუსეთის გადაქცევა ვასალურ სახელმწიფოდ“, — წერს თავის ვებგვერდზე ამერიკელი ეკონომიკური და პოლიტიკური მიმომხილველი პოლ კრეგ რობერტსი. პუბლიცისტი შეშფოთებულია: მისი აზრით, დასავლეთის ელიტა გაგიჟდა და მსოფლიო მიჰყავს კონფლიქტისკენ, რომელშიც ვერავინ გაიმარჯვებს.**

მიზანი არნახული ანტირუსული პროპაგანდისა, რომელსაც ეწევიან აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობები და მათი პროპაგანდის სამინისტროები, ანუ ე. წ. დასავლური მასმედია, არის ის, რომ მსოფლიო მიიყვანონ ომამდე, რომელშიც გამარჯვებული არავინ იქნება. ევროპული სახელმწიფოების ხელისუფლებებმა უნდა გაიღვიძონ, რადგან **ევროპა იქნება პირველი, რომლისგანაც მხოლოდ ორთქლი დარჩება იმ ამერიკული სარაკეტო ბაზების გამო, რომელთა განლაგების ნება „უსაფრთხოების გარანტიების“ მისაღებად დართო ევროპამ თავის ტერიტორიაზე.**

როდესაც ნიდერლანდებში კორუფცირებულმა სასამართლომ გამოიტანა განაჩენი საქმისა, რომელიც მის იურისდიქციაში არ შედიოდა, და რუსეთის ხელისუფლებას „იუკოსის“ (კორუფცირებული ორგანიზაცია, რომელიც გადასახადებს თავს არიდებდა და რუსეთს ძარცვავდა) სასარგებლოდ 50 მილიონი დოლარის გადახდა დააკისრა, რუსეთის რეაქცია სამაგალითო იყო. კითხვას „რა ვუყოთ ამ დადგენილებას?“ პრეზიდენტ პუტინის მრჩეველმა ასეთი პასუხი გასცა:

„ევროპაში ომი დაიწყება. ნუთუ თქვენ მართლა ფიქრობთ, რომ ეს საჭიროა?“

**დასავლეთი კორუფციის ჭაობში ჩაეფლო და ამიტომ ილაშქრებს რუსეთის წინააღმდეგ. ელიტების სიმდიდრეს საფუძვლად უდევს არა მხოლოდ იმ სუსტი ქვეყნების ძარცვა, რომელთა ლიდერების მოსყიდვა თავისუფლად შეიძლება (თუ გსურთ, ამ ძარცვის მექანიზმი გაიგოთ, წაიკითხეთ ჯოან პერკინსის წიგნი „ეკონომიკური მკვლელის აღსარება“), არამედ საკუთარი ხალხის ძარცვაც.**

XXI საუკუნეში აშშ-ის ელიტამ სრულყო თანამოქალაქეების ძარცვის ხელოვნება და აშშ საშუალო კლასის გარეშე დატოვა. რუსეთმა, პირიქით, ტირანიასა და სიცრუეზე დაფუძნებულ მთავრობაზე უარი თქვა, აშშ და დიდი ბრიტანეთი კი ჩაიძირნენ ტირანიაში, რომლის დასაცავად ტყუილებს იყენებდნენ. დასავლეთის ელიტებს რუსეთის გაძარცვა სურთ. მათთვის ეს ქვეყანა გემრიელი ლუკმაა, ოღონდ მათ წინ პუტინი ეღობებათ. გადაწყვეტილი აქვთ პუტინის ჩამოშორება, ისევე, როგორც მოიშორეს პრეზიდენტი იანუკოვიჩი. მძარცველ ელიტასა და ნეოკონსერვატორ-ჰეგემონისტებს აქვთ ერთი მიზანი: რუსეთის გადაქცევა ვასალურ სახელმწიფოდ. ეს მიზანი აერთიანებს დასავლეთის ფინანსურ და პოლიტიკურ იმპერიალისტებს. **თვალყურს ვადევნებდი პუტინისა და რუსეთის დემონიზაციისკენ მიმართულ პროპაგანდას და გამაოგნა ბრი-**




**ტანული გამოცემა The Economist-ში 26 ივლისს დაბეჭდილმა განსაცვიფრებლად ბოროტმა ტყუილმა.** გარეკანზე გამოსახულია პუტინის სახე აბლაბუდაში, ხოლო მთავარი სტატიის სათაური, როგორც მიხვდით, ასეთია: „სიცრუის აბლაბუდა“. თქვენ უნდა წაიკითხოთ ეს წერილი იმისათვის, რომ ჩასწვდეთ მდარეხარისხიან დასავლურ პროპაგანდას და მკაფიო მისწრაფებას რუსეთთან ომისკენ. The Economist-ის სტატიაში მოყვანილი არ არის ბრალდებების გამამყარებელი არც ერთი მტკიცებულება.

The Economist-ის **ასეთი ტყუილები და აშკარა პროპაგანდა ემსახურება ერთადერთ მიზანს: მსოფლიო ჩაითრიონ ომში. დასავლეთის ელიტები და მთავრობები არა მხოლოდ კორუფცირებულები, არამედ გიჟებიც არიან, როგორც ადრე ვწერდი, იმედი არ გქონდეთ, რომ დიდხანს იცოცხლებთ!**

## ისრაელი აშშ-სა და ნატოს: თქვენ არ გაქვთ უფლება, მორალი გვიკითხოთ. ეს ზღაპრები დაბეჩავებულ ევროპას მოუყევით!

**29 ივლისს დანიის, შვედეთის, ჰოლანდიის ელჩები და დიდი ბრიტანეთის, იტალიის, უნგრეთის, ავსტრიისა და გერმანიის ოფიციალური წარმომადგენლები ისრაელის დედაქალაქ თელ-ავივში ამ ქვეყნის პარლამენტის (ქნესეთის) დეპუტატებს შეხვდნენ და ღაზის სექტორში ისრაელის მიერ დაწყებული სამხედრო ოპერაციის ფონზე ევროპაში ანტისემიტური განწყობის ზრდაზე იმსჯელეს.**

სხდომის მიმდინარეობისას ისრაელის ერთ-ერთმა დეპუტატმა განაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც ნატომ კოსოვო დაბომბა, ხოლო აშშ ერაყში შეიჭრა, მათ უფლება არ აქვთ, ისრაელს მორალი უკითხონ.

შეხვედრაზე ევროპული სახელმწიფოების ელჩებმა ისრაელის ქნესეთის დეპუტატებს მოუწოდეს ყურადღება მიექციათ ევროპაში უკმაყოფილების ზრდისთვის, რაც ღაზას სექტორში ისრაელის არმიის მოქმედებით არის გამოწვეული, რაზეც ქნესეთის დეპუტატმა იოელ ჰასონმა განაცხადა შემდეგი:

**„ნატომ კოსოვოში 5 ათასი მშვიდობიანი მოსახლე დაბომბა; ამ ქვეყანაში შეჭრისას ამერიკელთა ხელით 27 ათასი ერაყელი დაიღუპა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ვითომ საფრთხეს უქმნიდნენ აშშ-ს, ახლა კი თქვენ შეიჭერით უკრაინაში და იქ ფაშისტებს აქეზებთ, ომს აწარმოებთ სამხრეთ-აღმოსავლეთში. ვფიქრობთ, რომ თქვენ ბრიყვები ხართ! ეს ზღაპრები დაბეჩავებულ ევროპას მოუყევით!“**

ღაზას სექტორში ისრაელის მიერ განხორციელებულმა ძალისმიერმა ოპერაციამ მხოლოდ ორი კვირის განმავლობაში 1300-ზე მეტი მშვიდობიანი პალესტინელის სიცოცხლე შეიწირა. ისრაელის ხელისუფლების განცხადებით, პალესტინური ანკლავის დაბომბვას იქამდე განაგრძობენ, ვიდრე სრულიად არ გაანადგურებენ ჰამასის ყველა ობიექტს.



გასულ კვირას ისრაელის მედიამ გაავრცელა აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამასა და ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს სატელეფონო საუბრის ჩანაწერი, რომელსაც ამერიკაშიც დიდი გამოხმაურება მოჰყვა. **ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ ისრაელმა, უბრალოდ, ფეხზე დაიკიდა ამერიკელებიც და ევროპელებიც, რადგან მიხვდა, რომ აშშ უკრაინაში მხარს ფაშისტებს უჭერს.**

**სააკაშვილი ცდილობს, თავი აარიდოს საქართველოში ჩამოსვლას და პროკურატურაში გამოცხადებას. იმედი აქვს, რომ დასავლეთი არ გაწირავს, და ეს იმედი არც თუ უსაფუძვლოა — დასავლეთმა კარგად იცის, მიშა დაკითხვაზე რომ მივიდეს, ბევრ რამეს იტყვის — იმას, რაც იცის, და იმასაც, რაც არ იცის... სააკაშვილის წარდგომა სასამართლოს წინაშე დიდწილად არის დამოკიდებული მსოფლიოში პოლიტიკური კლიმატის შეცვლაზე და, რა თქმა უნდა, საქართველოს ხელისუფლებისა და ქართველი საზოგადოების აქტიურობაზე.**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 7 ექსპრეზიდენტი, რომლებიც ციხეში გამოამწყვდიეს

**საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ ნაპრეზიდენტალი მიხეილ სააკაშვილისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრებას, რაც 5-დან 8 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს, დიდი ხმაური მოჰყვა დასავლეთში. „ნაციონალური მოძრაობა“ და ის დასავლური ძალები, რომლებიც მოქმედებენ პრინციპით „ძაღლიშვილია, მაგრამ ჩვენი ძაღლიშვილი“, სააკაშვილის პოლიტიკურ დევნაზე ალაპარაკდნენ, მაგრამ ეს გასაკვირი არ არის — სააკაშვილი ხომ ამ დასავლური ძალების, კერძოდ, აშშ-ის მიერ, „დემოკრატიის შუქურად“ იყო გამოცხადებული და სწორედ მათი მხარდაჭერით გათამამებული სჩადიოდა უამრავ დანაშაულს ქართველი ხალხის წინააღმდეგ: ებრძოდა მართლმადიდებლობას; გაანადგურა ქართული კულტურა და მეცნიერება; უამრავ ადამიანს წაართვა ბიზნესი; ქუჩაში დახვრიტა ათეულობით ახალგაზრდა, სისხლში აბანავა მშვიდობიანი მომიტინგეები, ციხეებში გამოამწყვდია და აწამა ათასობით უდანაშაულო; დაკარგა ტერიტორიები; როგორც მოესურვებოდა, ისე ხარჯავდა სახელმწიფო ბიუჯეტის ფულს... ახლა სააკაშვილი ცდილობს, თავი აარიდოს საქართველოში ჩამოსვლას და პროკურატურაში გამოცხადებას, მას იმედი აქვს, რომ დასავლეთი არ გაწირავს, და ეს იმედი არც თუ უსაფუძვლოა — დასავლეთმა კარგად იცის, მიშა დაკითხვაზე რომ მივიდეს, ბევრ რამეს იტყვის — იმას, რაც იცის, და იმასაც, რაც არ იცის. სააკაშვილის წარდგომა სასამართლოს წინაშე დიდწილად არის დამოკიდებული მსოფლიოში პოლიტიკური კლიმატის შეცვლაზე და, რა თქმა უნდა, საქართველოს ხელისუფლებისა და ქართველი საზოგადოების აქტიურობაზე. მანამდე კი მკითხველს ვთავაზობთ მასალას იმ ექსპრეზიდენტებზე, რომლებიც ჩადენილი დანაშაულის გამო დააპატიმრეს და საპყრობილეში გამოამწყვდიეს. მსოფლიო პოლიტიკისთვის სახელმწიფოს ყოფილი მეთაურების დაპატიმრება იშვიათი შემთხვევაა, თუმცა დასაფასებელი გაკვეთილიც: აბსოლუტური ძალაუფლებიდან ციხემდე არც ისე შორია.**



### 1. ალბერტო ფუხიმორი – EL CHINIO

**ალბერტო ფუხიმორი პირველი იაპონელია, რომელმაც სხვა სახელმწიფოში უმაღლესი თანამდებობა დაიკავა. მამამისი სიღარიბეს გაექცა და ჰავაიზე დარჩენას აპირებდა, მაგრამ პერუში აღმოჩნდა.** ალბერტო მძიმე პირობებში ცხოვრობდა, მაგრამ ნიჭიერების წყალობით დაამთავრა ლა მოლინას აგრარული უნივერსიტეტი და ვისკონსინის უნივერსიტეტში (აშშ) მათემატიკის მაგისტრის ხარისხი მოიპოვა.

პერუელებმა ფუხიმორის El chinio („ჩინელი“) შეარქვა. ის ხელისუფლების სათავეში 1990 წელს მოვიდა.

მმართველობის პერიოდში ფუხიმორი მკაცრ ეკონომიკურ პოლიტიკას ახორციელებდა („შოკური თერაპია“), ებრძოდა ნაციონალიზაციას, შექმნა საკონცენტრაციო ბანაკები და „სიკვდილის ესკადრონები“, რომელთა დახმარებითაც მოწინააღმდეგეებს უსწორდებოდა. 2000 წლის წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას გამომზეურდა ფუხიმორის მიერ კანდიდატების მოსყიდვისა და კოლუმბიის ნარკომაფიასთან კავშირის ფაქტები. აგორდა სკანდალი, რომლის შემდეგაც სხვა საშინელი ფაქტებიც შეიქნა ცნობილი. მაგალითად ის, რომ 1996-2000 წლებში ფუხიმორის რეჟიმმა 200 ათასი პერუელის სტერილიზაცია განახორციელა.

2000 წლის 13 ნოემბერს ფუხიმორიმ პერუ დატოვა — ჩავიდა იაპონიაში და იქ განაცხადა პრეზიდენტის პოსტიდან გადადგომის თაობაზე, თუმცა პერუს კონგრესმა მისი ნებაყოფლობით გადადგომა არ მიიღო და თვითონ გამოიტანა გადაწყვეტლება პრეზიდენტის პოსტიდან ფუხიმორის ჩამოშორებაზე.

**2006 წელს ფუხიმორი ჩილეს სამართალდამცველებმა დააპატიმრეს და პერუს გადასცეს. მას 25 წლით პატიმრობა მიუსაჯეს.**



### 2. ფერვეზ მუშარაფი – გენერალი პრეზიდენტად

**გენერალი ფერვეზ მუშარაფი (დამთავრებული აქვს პაკისტანის სამხედრო აკადემია) პაკისტანს 2001-2008 წლებში მართავდა. 2008 წელს ის ნებაყოფლობით გადადგა პრეზიდენტის პოსტიდან.**

მუშარაფის პოლიტიკური რეიტინგი განსაკუთრებით დაეცა 2001 წელს, როდესაც აშშ-ს „ტერორის წინააღმდეგ ომში“ დაეხმარა. იმ პერიოდში პაკისტანში გაძლიერდნენ რადიკალურად განწყობილი ისლამური დაჯგუფებები და 2007 წელს მუშარაფი იძულებული შეიქნა, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოეცხადებინა. როდესაც იმპიჩმენტი დაემუქრა, მხარი არ დაუჭირა არც არმიამ, არც აშშ-მა და მან ნებაყოფლობით დატოვა პრეზიდენტის პოსტი.

2013 წლამდე მუშარაფი ლონდონში ცხოვრობდა და ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ლექციებს კითხულობდა. 2009 წელს პაკისტანში მუშარაფის წინააღმდეგ სისხლის სამართლის რამდენიმე საქმე აღძრეს. ის დაადანაშაულეს სამშობლოს ღალატში, სასამართლოზე ზემოქმედებაში, ოპოზიციონერი ლიდერის, პაკისტანის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბენაზირ ბჰუტოს, მკვლელობაში. 2013 წელს მუშარაფი სამშობლოში დაბრუნდა, მას საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა სურდა, მაგრამ იმავე წლის 9 ოქტომბერს დააპატიმრეს.



### 3. ნამბარინ ენხბაიარი – ინტელიგენტი

**ნამბარინ ენხბაიარი იყო მონღოლეთის პირველი პრეზიდენტი, რომელიც საერთაშორისო შეხვედრებზე თარჯიმნის დაუხმარებლად ლაპარაკობდა.** ის თვითონ იყო თარჯიმანი — ამ სპეციალობით დაამთავრა მოსკოვის გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი. პოლიტიკის გარდა, ენხბაიარი მთარგმნელობით საქმიანობასაც ეწეოდა. მონღოლურ ენაზე თარგმნა უამრავი ნაწარმოები მსოფლიო კლასიკოსებისა — დიკენსიდან დაწყებული, პუშკინითა და გოგოლით დამთავრებული. მისმა ცოლმა მოსკოვის პლეხანოვის სახელობის ეკონომიკური აკადემია დაამთავრა, დაინტერესებულია მხატვრობითა და პოეზიით, შესანიშნავად უკრავს ფორტეპიანოზე. მოკლედ, ენხბაიარს ინტელიგენტური ოჯახი ჰყავს...

2012 წელს ნამბარინ ენხბაიარი, უკვე ექსპრეზიდენტი, კორუფციაში ბრალდებით დააპატიმრეს. მას ბრალი ედებოდა 2000 წელს 113 ათასი დოლარის ღირებულების სატელევიზიო მოწყობილობების მითვისებაში, აგრეთვე, წიგნების გამოშვებისთვის სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობაში.

„ცივილიზებული მსოფლიოს“ კორუფციის მასშტაბების გათვალისწინებით, ენხბაიარის კორუფციული გარიგების თანხა უმნიშვნელოა, მაგრამ 2012 წელს სასამართლომ ის დამნაშავედ ცნო. მონგოლეთის ექსპრეზიდენტს 4 წლით პატიმრობა მიუსაჯეს ქონების (დაახლოებით 19 ათასი დოლარი!) კონფისკაციით.

მოგვიანებით პატიმრობის ვადა 2,5 წლამდე შეუმცირეს.



### 4. მოშე კაცავი – ქალებისადმი ინტერესის მსხვერპლი

**ირანში დაბადებულმა ისრაელის მე-8 პრეზიდენტმა ძალაუფლება ქალებისადმი მეტისმეტი ინტერესის გამო დაკარგა.** 2006 წელს გამართული სკანდალური სასამართლო პროცესი 2010 წლის 31 დეკემბერს დასრულდა. თელ-ავივის სასამართლომ მოშე კაცავი დამნაშავედ ცნო 2 თანამშრომელი ქალის გაუპატიურებაში, გარყვნილ ქმედებებში და მას 7 წლით აღუკვეთა თავისუფლება.



### 5. სლობოდან მილოშევიჩი – იუგოსლავიის ტკივილი

**დამოკიდებულება სლობოდან მილოშევიჩისადმი დღესაც არაერთგვაროვანია. ზოგი მას სამხედრო დამნაშავედ მიიჩნევს, უმრავლესობა კი — საკუთარი ხალხისა და სამშობლოს ერთგულ პატრიოტად.**

1993 წელს მილოშევიჩმა ერთ-ერთი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: **„მედიამ გერმანული პედანტურობით გაყო მსოფლიო კარგებად და ცუდებად. „კარგები“ არიან ისინი, ვინც მეორე მსოფლიო ომში ფაშისტებთან იყვნენ და ომი წააგეს; ხოლო „ცუდები“ — ისინი, ვინც ფაშისტებთან არ იყვნენ და ომი მოიგეს... იუგოსლავია რევანშიზმის პოლიტიკის პირველი მსხვერპლია“...**

1999 წელს, კოსოვოს კონფლიქტის მიმდინარეობისას, გაერომ და ნატომ მილოშევიჩის ჟენევის კონვენციის დარღვევასა და გენოციდში დაადანაშაულეს. იუგოსლავია ნატოს ავიაციამ დაბომბა. ნახევარი წლის შემდეგ, „ბულდოზერების რევოლუციის“ შედეგად, მილოშევიჩი დაამხეს და დააპატიმრეს.

მილოშევიჩი ჰააგის ციხეში გარდაიცვალა (ტრიბუნალს განაჩენი გამოტანილი არ ჰქონდა) 2006 წელს. ზოგი ვარაუდობს, რომ მილოშევიჩი მეტისმეტი „მკურნალობისგან“ გარდაიცვალა.



### 6. ბოკასა – შავი ნაპოლეონი

**ჟან ბენდელ ბოკასა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის სათავეში „საახალწლო გადატრიალების“ შედეგად მოვიდა. 10 წლის შემდეგ კი, 1976 წელს, თავი იმპერატორად გამოაცხადა.**

ბოკასას XX საუკუნის ყველაზე ექსცენტრიკულ და არანორმალურ მმართველად მიიჩნევენ. მას სამაგალითოდ მიაჩნდა ნაპოლეონი და არა მხოლოდ ბაძავდა, სურდა, მასზე მეტი ყოფილიყო. ბოკასამ თავისი კორონაცია ზღაპრული ფუფუნებით ჩაატარა. 2 ათასი ბრილიანტით ინკრუსტრირებული გვირგვინი, სუფთა ოქროსგან დამზადებული არწივის ფორმის კვერთხი და უძვირფასესი ფეხსაცმელი ქვეყანას რამდენიმე მილიონი დაუჯდა.

ბოკასას ცხოვრება მკვეთრად განსხვავდებოდა ქვეყნის დანარჩენი მოსახლეობის ცხოვრებისგან. დიქტატორს სრულიად არ აინტერესებდა ქვეშევრდომები. სხვაგვარად მოაზროვნეებს კი არ ინდობდა — წამება და დაპატიმრება ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ბოკასას კანიბალიზმშიც ადანაშაულებდნენ.

1979 წელს მოსწავლეების დახვრეტის, აგრეთვე, ლიბიასთან დაახლოების გამო ბოკასამ დასავლეთის მხარდაჭერა დაკარგა და იმავე წლის 20 სექტემბერს უსისხლო გადატრიალების შედეგად ტახტსაც გამოეთხოვა. ბოკასა საფრანგეთში გაიქცა, მაგრამ 1986 წელს დაბრუნდა სამშობლოში — გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ ძალაუფლებას დაიბრუნებდა, მაგრამ დააპატიმრეს და სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს, თუმცა მოგვიანებით სასჯელი შეუცვალეს და 20 წლით აღუკვეთეს თავისუფლება.



### 7. ჩარლზ ტეილორი – კანიბალი

**ჩარლზ ტეილორს ლიბერიის პრეზიდენტის პოსტის დაკავებაში აშშ დაეხმარა. ეს 2011 წელს აშშ-ის დაზვერვამ აღიარა.**

ტეილორი ლიბერიის ხელისუფლების სათავეში 1997 წლის 19 ივლისს მოექცა — სისხლისმღვრელი ომების შემდეგ, თუმცა არჩევნების შედეგად.

**ლიბერიაში წინასაარჩევნო კამპანია მიმდინარეობდა ლოზუნგით: „ჩარლზ ტეილორმა მომიკლა მამა, მომიკლა დედა, მაგრამ მე ხმას მაინც მას მივცემ!“.**

2003 წელს ინტერპოლმა გამოუშვა „წითელი ბიულეტენი“ მოწოდებით დაეპატიმრებინათ ტეილორი, რომლის ხელქვეითებიც თავიანთ „ბოევიკებს“ კანიბალიზმს აიძულებდნენ იმისათვის, რომ „ადამიანები შეეშინებინათ“. ტეილორი გარეული იყო ალმასებით მაქინაციებში, სექსუალურ ძალადობაში, მრავალრიცხოვან წამებასა და მკვლელობაში.

2012 წლის 30 მაისს სპეციალურმა სასამართლომ ჩარლზ ტეილორს, რომელმაც ნაომი კემპბელი ალმასებით დაასაჩუქრა, 50 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

**P.S. 2014 წლის 1 ივლისს ფრანგმა სამართალდამცველებმა დააკავეს და 2 დღის განმავლობაში დასაკითხად ჰყავდათ წაყვანილი საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი. ის ეჭვმიტანილია უფლებამოსილების გადამეტებასა და კორუფციაში.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**წარმოუდგენელი სირცხვილი და დამცირებაა, როცა ობამას უკვე მიანიშნებენ, რომ იგი ვერ აკონტროლებს საკუთარ ადმინისტრაციას და რომ ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო თამამად თამაშობს მის წინააღმდეგ, თანაც სახალხოდ.**



# ისრაელი ობამას სახალხოდ ამცირებს

**ობამასა და ნეთანიაჰუს პირადი საუბრის გამოქვეყნება კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ამერიკულ ელიტაში სერიოზული განხეთქილებაა, რომლის ერთ მხარეს ნებისმიერ ფასად ომის მომხრენი დგანან, მეორე მხარეს კი — მეტ-ნაკლებად შერაცხადი ადამიანები, რომლებიც გეოპოლიტიკურ კონკურენტებთან მოლაპარაკებების მცდელობის მომხრენი არიან ბირთვული ომის რისკის გარეშე. ობამა-ნეთანიაჰუს დიალოგი აჩვენებს, რომ აგრესიის მომხრენი წარმოუდგენლად გავლენიანნი არიან და მათ ფრთებქვეშ მოღვაწე პოლიტიკოსებს აშშ-ის პრეზიდენტის მოთხოვნების იგნორირებაც კი შეუძლიათ.**

რამდენიმე დღის წინათ შემდგარი სატელეფონო საუბრის სტენოგრამა Times of Israel-ში გამოქვეყნდა ისრაელის სახელმწიფო ტელევიზიის მინიშნებით.

**სტენოგრამის შემოკლებული ვერსია** ასეთია:

**ბარაკ ობამა**: — მოვითხოვ, ისრაელი დათანხმდეს დაუყოვნებლივ ცეცხლის შემცირებას და შეწყვიტოს შეტევითი ოპერაცია, განსაკუთრებით ავიადარტყმები.

**ნეთანიაჰუ**: — და რას მივიღებთ ამის სანაცვლოდ?

**ბარაკ ობამა**: — მჯერა, რომ ჰამასი შეწყვეტს სარაკეტო სროლებს: სიჩუმე სიჩუმის სანაცვლოდ.

**ნეთანიაჰუ:** — ჰამასმა დაარღვია ხუთივე შეთანხმება, რომლებიც მანამდე იყო. ეს არის ისრაელის განადგურებისთვის განკუთვნილი ტერორისტული ორგანიზაცია.

**ბარაკ ობამა**: — ვიმეორებ, მე ველი, რომ ისრაელი შეაჩერებს მთელ საომარ აქტივობას ცალმხრივ რეჟიმში. ღაზის განადგურების ფოტოები მსოფლიოს აშორებს ისრაელის პოზიციისგან.

**ნეთანიაჰუ**: — კერის წინადადება აბსოლუტურად არარეალურია და ჰამასს საომარ და დიპლომატიურ უპირატესობას აძლევს.

**ბარაკ ობამა**: — ისრაელის სამხედრო ოპერაციის შეწყვეტიდან ერთ კვირაში ყატარი და თურქეთი ჰამასთან მოლაპარაკებებს დაიწყებენ 2012 წლის შეთანხმებების საფუძველზე, მათ შორისაა ისრაელის ვალდებულება ღაზის დებლოკირების თაობაზე.

**ნეთანიაჰუ**: — ყატარი და თურქეთი ჰამასის დიდი მომხრეები არიან. შუამავლობისთვის მათი ნდობა არ შეიძლება.

**ბარაკ ობამა:** — მჯერა თურქეთისა და ყატარის. ისრაელი კი ახლა იმ მდგომარეობაში არ არის, როცა შუამავლებს ირჩევენ.

**ნეთანიაჰუ:** — პროტესტს ვაცხადებ...

**ბარაკ ობამა**: — ბურთი ისრაელის მხარესაა და ისრაელმა უნდა დაასრულოს მთელი საომარი მოქმედებები.

უკვე რამდენიმე დღე გავიდა ამ საუბრიდან და ისრაელი განაგრძობს ობამას მოთხოვნების იგნორირებას, უფრო მეტიც, გამოაქვეყნა მათი საუბრის ტექსტი, რათა ობამას მაქსიმალურად დამცირებულად ეგრძნო თავი.

სტენოგრამის სიზუსტეს ირიბად ადასტურეს ის რეაქცია, რომელიც მას მოჰყვა აშშ-ის მხრიდან. ეს საუბარი უმალ უარყოფილი იქნა, თანაც არა თეთრი სახლის ან სახელმწიფო დეპარტამენტის, არამედ აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების საბჭოს მხრიდან. ამ უწყებამ პუბლიკაციაზე თავისი რეაქცია დაახასიათა, როგორც შოკი და იმედგაცრუება.



ყოველი შემთხვევისთვის ნეთანიაჰუმაც გამოაცხადა, რომ უარყოფს სტენოგრამის სისწორეს, მაგრამ ისრაელის სახელმწიფო ტელევიზიამ არა მხოლოდ არ გააქრო ის, არამედ განაცხადა, რომ ჩანაწერი „მაღალი რანგის ამერიკელი ჩინოვნიკისაგან“ მიიღო. **წარმოუდგენელი სირცხვილი და დამცირებაა, როცა ობამას უკვე მიანიშნებენ, რომ იგი ვერ აკონტროლებს საკუთარ ადმინისტრაციას და რომ ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო თამამად თამაშობს მის წინააღმდეგ, თანაც სახალხოდ.**

ობამას გუნდისთვის ახლა ძალზე რთული პერიოდია. ისინი იძულებულნი არიან, იბრძოლონ აშშ-ის ძალოვანი და დიპლომატიური სტრუქტურების კონტროლისთვის და, როგორც ჩანს, მათ ეს არც ისე წარმატებით გამოსდით.

**crimsonalter**

# XXI საუკუნის ფარული ომები

**საომარი მოქმედებების შესახებ ამბები მოდის ღაზადან, ერაყიდან, უკრაინიდან და ეს კონფლიქტები მნიშვნელოვნად განსხვავდება მასშტაბური ომებისგან, რომლებიც ქვეყნებს შორის ამა თუ იმ სისხლიან საუკუნეში მიმდინარეობდა.**

XXI საუკუნის დასაწყისში გაჩნდა ომის წარმოების რამდენიმე ახალი და უჩვეულო ფორმა. ამჟამად მიმდინარე ყველა კონფლიქტში რაღაც არარეგულარული სამხედრო ფორმირებები ცდილობენ, მოძებნონ და გამოიყენონ ასიმეტრიული საშუალებები უპირატესობის მოსაპოვებლად.

მათი მოწინააღმდეგეები — ისრაელის შეიარაღებული ძალები, ერაყის უსაფრთხოების ძალები და უკრაინის არმია, ცდილობენ, შეეგუონ ამ ახალ ტაქტიკებს.

არსებობს ჩრდილოვანი კონფლიქტების უამრავი ვარიანტი, რომლებშიც ამა თუ იმ სახელმწიფოსთვის ომობენ გაურკვეველი ადამიანები. ყოველი მათგანი რაღაც საკუთარ სიმართლეს იცავს, რომელიც საერთაშორისო ნორმებსა და წესებს ეხება.

ამჟამად გაჩაღებულ ყოველ კონფლიქტს შეუძლია ომის წარმოების მეთოდებთან დაკავშირებული ჯეროვანი ცვლილებების დემონსტრირება. ეს არის როგორც მაღალტექნოლოგიური იარაღი, ისე გამანადგურებელი მოქმედებები, გაუხმაურებელი მხარდაჭერა, რომელსაც მდიდარი რესურსების მქონე ქვეყნები უწევენ ამა თუ იმ მხარეს.

ყველა საომარ კონფლიქტს, რომლებიც ახლა მიმდინარეობს მსოფლიოში, რამდენიმე საერთო შტრიხი აქვს. არარეგულარული სამხედრო ფორმირებები — ჰამასი, ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო და უკრაინელი ამბოხებულები — ყველა იგონებს და იყენებს ეშმაკურ ხელოვნურ ტაქტიკებს, რათა უპირატესობა მოიპოვონ მოწინააღმდეგის გაცილებით მრავალრიცხოვან რეგულარულ არმიაზე.

მეამბოხეების ყველა ჯგუფს, მიუხედავად მოჩვენებითი განსხვავებისა, მფარველობს რომელიმე სახელმწიფო. ეს სახელმწიფოები უზრუნველყოფენ მათ იარაღით, კონსულტაციებით და ხშირად ფინანსურ დახმარებასაც უწევენ. გარდა ამისა, ყველა ამგვარი კონფლიქტი აქტიურად შუქდება საერთაშორისო მასმედიის მიერ და კონფლიქტის ყოველი მხარე დღეს მეოთხე ხელისუფლების გავლენას მანამდე არნახული მასშტაბებით იყენებს.

ღაზაში მიმდინარეობს ფართომასშტაბიანი საომარი ოპერაცია, რომელსაც ისრაელი აწარმოებს ჰამასის წინააღმდეგ შეიარაღების ჩვეულებრივი სახეობებით. ამბოხებულებს და მშვიდობიან მოსახლეობას შორის მსხვერპლი კატასტროფულად იზრდება, სულ უფრო მეტი დანაკარგი აქვთ ისრაელელ სამხედროებსაც.

სამხედრო მოქმედებები არარეგულარული ქვედანაყოფების წინააღმდეგ ქალაქის პირობებში XXI საუკუნეში ომის წარმოების მეთოდების „საფირმო ნიშნად“ იქცევა.

არარეგულარული დაჯგუფებები სულ უფრო აქტიურად გამოიყენებენ მჭიდროდ დასახლებულ ქალაქებს რეგულარული არმიის თავდასხმებისგან დასამალად; ასევე, მასმედიას, რომელიც მუდამ განსაკუთრებული გულისყურით ადევნებს თვალს ბრძოლებს, რომლებიც ქალაქებში იმართება. ქალაქებში კი მნიშვნელოვნად იზრდება მშვიდობიან მოსახლეობასა და ბრძოლებში მონაწილეთა შორის მსხვერპლი.



**ერაყში ელისის წარმოუდგენელი სამხედრო წარმატებები, რომელთაც მან უკანასკნელი რამდენიმე კვირის განმავლობაში მიაღწია, XXI საუკუნის ომების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტის დემონსტრირებაა. ელისი არის მუსლიმანი მეამბოხეების დაჯგუფება, რომელიც ერაყსა და სირიაშია ბაზირებული.** დაჯგუფება საკუთარ თავს სახელმწიფოს უწოდებს, მიუხედავად იმისა, რომ მისი სახელმწიფოებრიობა არავის ულიარებია.

მიუხედავად მოწინააღმდეგის რიცხობრივი უპირატესობისა ბრძოლის ველზე, ელისის ბოევიკებმა მოახერხეს, საკუთარი კონტროლისთვის დაექვემდებარებინათ ერაყის მნიშვნელოვანი ნაწილი ხელში ჩაგდებული ტანკების, საარტილერიო იარაღისა და ჯავშანტექნიკის წყალობით. ამ არაპროფესიონალმა მეამბოხეებმა ზედიზედ გაანადგურეს მათზე ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი, კარგად ეკიპირებული და ამერიკელების მიერ გაწვრთნილი ერაყული არმია.

**ბედის ირონიით, სირიაში ელისი იბრძვის აშშ-ის მოწინააღმდეგე ბაშარ ასადის ხელისუფლების წინააღმდეგ, ერაყში კი მიისწრაფვის ამერიკული ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილი ხელისუფალის — ნური ალ-მალიკის წინააღმდეგ.** XXI საუკუნის თავსატეხებიდან ეს ერთ-ერთია — მეამბოხეთა დაჯგუფებებს ერთდროულად შეუძლიათ, იბრძოლონ აშშ-ის მტრების წინააღმდეგაც და მისი მოკავშირეების წინააღმდეგაც, რითაც კიდევ უფრო ხლართავენ მსოფლიოში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას.

საქმე ისაა, რომ მსგავსი ჩრდილოვანი ომები უკვე აღარ არის ცალკეული რეგიონების პრობლემა. ისინი შეიძლება გაცილებით უფრო სახიფათო გახდეს მთელი მსოფლიოსთვის, ვიდრე ახლა შეიძლება ამის წარმოდგენა...

**mixednews.ru**

**„მოცემულ ისტორიულ მომენტში კლინტონი საუკეთესო ვარიანტია რუსეთისთვის. მართალია, იგი იდეალური არ იქნება, მაგრამ სიტუაცია იმგვარია, რომ ყველა ბოროტებიდან ყველაზე ნაკლები ბოროტებაა ასარჩევი და სწორედ ნაკლები ბოროტებაა კლინტონი.“**

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ამერიკელებს ქალი პრეზიდენტი სურთ

**ამერიკელებს მომდევნო პრეზიდენტად ქალი სურთ. ამერიკის ისტორიაში პირველ შავკანიან პრეზიდენტს — ბარაკ ობამას, როგორც ჩანს, ამ თანამდებობაზე ჰილარი კლინტონი ჩაანაცვლებს და, თუ ეს მოხდა, იგი ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში პირველი პრეზიდენტი ქალი იქნება. ORC International Poll-ის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ამერიკელთა უმრავლესობას სახელმწიფოს მომავალი მეთაურის რანგში სწორედ ქალბატონ კლინტონის ხილვა სურს.**



ალმოჩნდა, რომ, 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღების შემთხვევაში, ჰილარი კლინტონი დიდი უპირატესობით მოუგებს რესპუბლიკელების კანდიდატს — მიტ რომნის. ამასთან, კენჭისყრა რომ დღეს ტარდებოდეს, ქალბატონი ექსსახელმწიფო მდივანი თავის კონკურენტს 13%-ით აჯობებდა (55% — რომნის 42%-ის წინააღმდეგ).

რა თქმა უნდა, აშშ-ის მომდევნო საპრეზიდენტო არჩევნებამდე ჯერ კიდევ ორი წელია და ქვეყნის პოლიტიკური ძალების განლაგებაში ამ პერიოდში მრავალი ცვლილება შეიძლება მოხდეს, მაგრამ ჯერჯერობით ექსპერტები ერთსულოვნად იხრებიან იმისკენ, რომ რესპუბლიკელებს არ ჰყავთ კანდიდატი, რომელიც შეიძლება აშშ-ის რკინის ლედის დაუპირისპირონ.

**თუ ეს ვარაუდები გამართლდება, თეთრი სახლის ახალი დიასახლისის მმართველობისას როგორ განვითარდება რუსულ-ამერიკული ურთიერთობები, მით უფრო, რომ ობამას პრეზიდენტობის გარიჟრაჟზე თავად კლინტონის წამოწყებული და არშემდგარი „გადატვირთვის“ მომენტიდან მსოფლიოში საგარეოპოლიტიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვალა?**

ამ კითხვაზე პასუხისას აშშ-ისა და კანადის ინსტიტუტის აშშ-ის საგარეოპოლიტიკური მექანიზმის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელმა, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა სერგეი სამუილოვმა განაცხადა, რომ **ობამას შემდეგ ჰილარი კლინტონი აშშ-ის პრეზიდენტობის საუკეთესო ვარიანტია რუსეთისთვის.** „ჯერ ერთი, ის ქალია და, შესაბამისად, ნაკლებად მეომარი, ვიდრე ხელისუფლებაში მყოფი მამაკაცები არიან. უკრაინასთან დაკავშირებით იგი იზიარებს ობამას შეხედულებებს. საერთოდ, რაც შეეხება უკრაინას, ამ საკითხში დემოკრატებისა და რესპუბლიკელების პოზიცია ემთხვევა — ორივე თვლის, რომ ეს რუსეთის აგრესიაა და ასე შემდეგ. განსხვავება მხოლოდ ისაა, თუ რამდენად შორს მიდიან ისინი ანტირუსული სანქციების თვალსაზრისით.

დემოკრატები მიიჩნევენ, რომ საჭიროა რაღაც ზღვრამდე მისვლა და შემდეგ დაკვირვება; რესპუბლიკელები კი მიიჩნევენ, რომ არანაირ ზღვარზე შეჩერება საჭირო არ არის და საყურებელიც არაფერია.

**ახლა კლინტონი დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური ვარსკვლავია. პოპულარობის, საგარეოპოლიტიკური კომპეტენტურობის მხრივ მას დემოკრატებს შორის რეალური კონკურენტი არ ჰყავს. კლინტონს აქვს სენატორობისა და სახელმწიფო დეპარტამენტში მუშაობის გამოცდილება, რაც მის შანსს კიდევ უფრო ზრდის.**

სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე იგი, ბუნებრივია, პრეზიდენტის ნებას ასრულებდა, მაგრამ გაცილებით უფრო მოქნილად და ჭკვიანურად მოქმედებდა, ვიდრე ამჟამინდელი სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი. კლინტონის ორგანიზებული იყო სახელმწიფო დეპარტამენტის გრანდიოზული რეფორმა, იგი იქ ათასგვარ გარდაქმნებს ახორციელებდა.

ფსაკის გამოსვლების მიხედვით, რეფორმამ მაინცდამაინც ვერ გაამართლა, მაგრამ თავად ფსაკი ჯონ კერის დაყენებულია თანამდებობაზე და, ჩემი შეხედულებით, ეს გოგონა სახელმწიფო დეპარტამენტს სრულ დისკრედიტირებას უკეთებს. კერის კი რატომღაც მოსწონს იგი. საერთოდ, ამერიკული პოლიტიკა დიდი გონიერებით არ გამოირჩევა. ცივი ომის დროს ვთვლიდით, რომ მათ ძალზე გონივრული პოლიტიკა ჰქონდათ, მაგრამ ახლა საბჭოთა კავშირი აღარ არის და გონიერებაც შემცირდა.

კლინტონი გაპრეზიდენტების შემთხვევაში პუტინთან დიალოგს გაცილებით უფრო ფრთხილად წარმართავს. ჯერ ერთი, რაღაც სამხედრო მოქმედებებზე საერთოდ არ შეიძლება საუბარი. **ამერიკელი საზოგადოება დაიღალა ომისგან, ისინი მხარს არ უჭერენ არანაირ ომს, იმიტომ, რომ აშშ-მა წააგო ომი ერაყში, ახლა აგებს ნატოელებთან ერთად ავღანეთშიც, სადაც ცამეტი წელი იომეს და რა მიიღეს შედეგად? მიიღეს ის, რომ, თუ ამერიკელები წავლენ, პროამერიკული მთავრობა, შესაძლოა, დაამხონ და ხელისუფლებაში თალიბები მოვიდნენ. და ავღანეთში მკაცრი ანტიამერიკული ისლამური რეჟიმი დამყარდება.**

ცხადია, ასეთ სიტუაციაში კლინტონი რაღაც დამატებით სამხედრო ავანტიურებზე არც კი იფიქრებს. სავარაუდოდ, იგი გაცილებით უფრო ფრთხილი იქნება რუსეთის წინააღმდეგ სანქციების დაწესების საქმეშიც, თუ უკრაინის კრიზისი კიდევ გაგრძელდება.

კლინტონის ამჟამინდელი ანტირუსული რიტორიკა პიარია. ახლა იგი ცდილობს, პოლიტიკური განწყობის საერთო ფერხულში ჩაებას, რათა არჩევისთვის კარგი შანსი ჰქონდეს. როდესაც აირჩევენ, შემდეგ უკვე შეძლებს საკუთარი მრწამსის გამოვლინებას, მით უფრო, რომ ეს ტრადიციული რამაა ამერიკული პოლიტიკისთვის; რუსეთთან დაპირისპირება დაყვანილი იქნება რაღაც გონივრულ, მაგრამ, ამერიკული თვალსაზრისით, მინიმალურ დონემდე.

**ცხადია, რესპუბლიკელები კლინტონისგან მოითხოვენ რუსეთზე ზეწოლას და რაღაც დოზით მან უნდა გაიზიაროს ამერიკული საგარეოპოლიტიკური ცხოვრების დამახასიათებელი თამაშის წესები.**

მიუხედავად ამისა, **მოცემულ ისტორიულ მომენტში კლინტონი საუკეთესო ვარიანტია რუსეთისთვის. მართალია, იგი იდეალური არ იქნება, მაგრამ სიტუაცია იმგვარია, რომ ყველა ბოროტებიდან ყველაზე ნაკლები ბოროტებაა ასარჩევი და სწორედ ნაკლები ბოროტებაა კლინტონი.**

სამწუხაროდ, ამერიკის პოლიტიკაში ბევრი შეშლილია, თუნდაც მაკკეინი გაიხსენეთ. მათ რუსეთის შესახებ არაფერი იციან და, რაც მთავარია, არც სურთ, იცოდნენ. მათ ურჩევნიათ, იაზროვნონ რაღაც პრიმიტიული, რუსოფობული, რეალობისგან მოწყვეტილი სტერეოტიპებით. ხანდახან კონგრესის სხდომებზე სრულ ბოდვებს მოისმენთ.

კლინტონის გაპრეზიდენტების შემთხვევაში, დამოკიდებულება, ცხადია, შეიცვლება, მაგრამ **ახლა პროგნოზირება ძნელია, რადგან ახლა ამერიკის ადმინისტრაცია წამყვან როლს არ ასრულებს რუსულ-უკრაინულ კონფლიქტში. ახლა ინიციატივა რუსეთის ხელშია. ერთადერთი, რაც ამერიკას შეუძლია და რასაც აკეთებს კიდეც მოხერხებულად, რუსეთის ქმედებების გამოყენებაა მისივე გავლენისა და ავტორიტეტის შესამცირებლად. ამერიკა ახლა მსოფლიო მასშტაბით ავითარებს კამპანიას არა მხოლოდ რუსეთის ლიდერის, არამედ მისი ყველა მოქალაქის დისკრედიტაციისთვის.**

როდესაც ამბობენ, რომ კლინტონი „გადატვირთვის“ არქიტექტორი იყო, ეს მთლად ასე არ არის. იგი, უბრალოდ, სახელმწიფო მდივანი იყო მაშინ, როდესაც ობამამ მოისურვა „გადატვირთვა“.

ობამა ნამდვილად არ იყო განწყობილი კონფრონტაციის გაგრძელებისთვის. იგი მადლობელია პუტინისა იმის გამო, რომ სირიის კონფლიქტი საკმაოდ მშვიდობიანი გზით მოაგვარა. **პუტინის მიმართ ობამას ყველაზე დიდი პრეტენზია ისაა, რომ მან არ დააცადა, მშვიდად დაკავებულიყო საშინაო საქმეებით — ჯანდაცვის რეფორმით, ეკონომიკური ზრდითა და ასე შემდეგ და ამერიკა უკრაინის კონფლიქტში ჩაითრია.**

კლინტონის მოსვლით ყველაფერი არ შეიცვლება, რადგან მოვლენები, რომლებიც ამჟამად ფორმირდება რუსულ-ამერიკულ ურთიერთობებში, რუსეთის გარეთ მიმდინარეობს. ნაადრევია იმაზე საუბარიც, თუ რა იქნება რამდენიმე წლის შემდეგ, მაგრამ, დიდი ალბათობით, იგივე პოლიტიკა გაგრძელდება“...

tehnowar.ru

## კონგრესმა მხარი დაუჭირა ობამას გამოძახებას სასამართლოში

**აშშ-ის კონგრესმა კენჭი უყარა რეზოლუციას, რომელიც წარმომადგენელთა პალატის სპიკერ ჯონ ბეინერს უფლებას მისცემს, აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას სასამართლოში უჩივლოს. კონგრესმენი თვლის, რომ პრეზიდენტმა 2012 წელს ჯანმრთელობის სფეროში რეფორმების მიმდინარეობისას საკადრო გადაწყვეტილებებში უფლებამოსილებას გადააჭარბა.**

აშშ-ის კონგრესმა ხმათა უმრავლესობით მხარი დაუჭირა რეზოლუციას, რომელიც წარმომადგენელთა პალატის სპიკერ ჯონ ბეინერს უფლებას აძლევს, სასამართლოში პასუხი მოსთხოვოს პრეზიდენტ ბარაკ ობამას ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში მაღალ თანამდებობებზე ადამიანების უკანონოდ, კონგრესთან შეუთანხმებლად დანიშვნის გამო.

ამ გადაწყვეტილებას მხარი აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის 225 წევრმა დაუჭირა, 221 წინააღმდეგი იყო.

„აშშ-ის კონსტიტუციაში მკაფიოდ არის ნათქვამი, რომ პრეზიდენტმა მკაცრად უნდა დაიცვას კანონი. ჩემი აზრით კი, პრეზიდენტი კანონს მკაცრად არ იცავს“, — განაცხადა ბეინერმა.

2013 წლის 1 ოქტომბერს აშშ-ის მთავრობამ რამდენიმე სახელმწიფო დაწესებულების მუშაობა შეაჩერა იმ მიზეზით, რომ კონგრესმა მომავალი საფინანსო წლის ბიუჯეტი ვერ დაამტკიცა, ამიტომ კონგრესმენებმა მოითხოვეს, აღარ დაეფინანსებინათ ჯანდაცვის რეფორმა, რომელიც პრეზიდენტ ობამას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა იყო წინასაარჩევნო კამპანიაში.





## პარიზის პოლიციას 51 კგ კოკაინი მოჰპარეს

**პარიზის კრიმინალური პოლიციის შენობიდან დაიკარგა 51 კგ კოკაინი, რომელიც სამართალდამცველებმა 4 ივლისს ნარკომოვაჭრეების წინააღმდეგ წარმატებით ჩატარებული ოპერაციის შედეგად ამოიღეს.**

ექსპერტებმა ფრანგი სამართალდამცველების მიერ ნარკომოვაჭრეებისთვის ჩამორთმეული ნარკოტიკი 2,5 მილიონ ევროდ შეაფასეს. ის სპეციალურ საცავში ინახებოდა მისამართზე: ორფევსის სანაპირო №36. ამ საცავში შესვლა მხოლოდ პოლიციის უფროს ოფიცრებს შეეძლოთ. ნარკოტიკების დაკარგვა სამხილების მორიგი შემოწმებისას შეიტყვეს და პოლიციის შტაბბინაში მთელი ღამე ჩხრეკა მიმდინარეობდა ნარკოტიკის პოვნაზე გაწვრთნილი ძაღლებით, მაგრამ უშედეგოდ. პარიზის პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. უკვე ცნობილია პირველი დაპატიმრებულებიც. ისინი არიან სამართალდამცველები, რომლებმაც პირველად განაცხადეს, რომ საცავი ცარიელია.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**განდევნა გარდაუვალია, მაგრამ ეს ის განდევნა არ არის, რომელიც ვინმეს გეოგრაფიული პერიფერიისკენ უბიძგებს. ეს არის განდევნა, რომელიც რწმენას კულტურული უმაქნისობამდე მიიყვანს.**

# ამერიკელი ქრისტიანების ეკლესია განდევნილია

**ეს დევნის ეპოქაა. უკიდურეს შემთხვევაში ისინი, ვინც ტრადიციული ქრისტიანული რწმენის მიმდევარნი არიან, ნამდვილად დევნის ობიექტებად იქცნენ. მეცნიერთა მსგავსმა რიტორიკამ რწმენა რაღაც ზებუნებრივად, უგუნურად და სასაცილოდ აქცია. ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებმა, ურთიერთპრეტენზიების გარეშე განქორწინებებმა, ახლა კი ერთსქესიანმა ქორწინებებმაც ტრადიციული სექსუალური ეთიკა, საუკეთესო შემთხვევაში, რაღაც მოძველებულად, უარეს შემთხვევაში კი, საძაგლობად გარდაქმნა. დასავლური საზოგადოება უკვე აღარ არის ისეთი, როგორშიც ქრისტიანები კომფორტულად იგრძნობდნენ თავს...**



აშშ-ში ქრისტიანებს ეს ყველაფერი განსაკუთრებულად უბნევს თავგზას. ევროპაში ქრისტიანობას ორი ასწლეულის მანძილზე დევნიდნენ და რწმენამ იქ „ჯიუტი სიზანტით" დათმო პოზიციები. ამერიკაში ეს პროცესი გაცილებით უფრო სწრაფად ვითარდება.

აღნიშნულ პროცესს მოქმედებაში მოჰყავს ფაქტორები, რომლებზეც ცოტა ვინმე თუ იტყოდა, რომ მათ ასეთი კულტურული ძალა ექნებოდათ. ეს უდავოდ იმდენად მოულოდნელი და არასასიამოვნო პარადოქსია, რომ ყველაზე ინტიმური აქტი დღეს სახალხო პოლიტიკის ყველაზე აქტუალურ საკითხად იქცა. ვინ წარმოიდგენდა, რომ კონტრაცეფციის ზომები და კანონები, რომლებიც ერთსქესიან ქორწინებებს აწესებს, ყველაზე სერიოზულ გამოწვევად იქცეოდნენ რელიგიური თავისუფლებისათვის? განდევნა გარდაუვალია, მაგრამ ეს ის განდევნა არ არის, რომელიც ვინმეს გეოგრაფიული პერიფერიისკენ უბიძგებს. ეს არის განდევნა, რომელიც რწმენას კულტურული უმაქნისობამდე მიიყვანს.

ამ თვალსაზრისით ყველაზე არამდგრადი პროტესტანტობაა, რადგან ის შებოჭილია ამერიკულ ტრადიციებთან მტკიცე ემოციური კავშირებით. კათოლიკობაც საფრთხის წინაშეა, რადგან ის იმდენადაა ფესვგადგმული ამერიკულ მეინსტრიმში, რომ მრავალი კათოლიკე, უბრალოდ, ვერ გაუმკლავდება ცხოვრებისეულ პრობლემებს, როგორც უცხო მარგინალი, რომლისაც არ ესმის და რომელიც არ უყვარს უმრავლესობას.



## თანამედროვე ქრისტიანობის რომელი ფორმაა ყველაზე შესაფერისი იმისათვის, რომ გადაურჩეს დევნის ეპოქას, რომლისკენაც მიექანება ამერიკული ქრისტიანობა?

რეფორმატორი ღვთისმეტყველი კარლ ტრუმერი ირწმუნება, რომ რეფორმირებული ქრისტიანობა ამერიკელ ქრისტიანებს საუკეთესო არჩევანს სთავაზობს, რათა დევნის პირობებში რწმენა შეინარჩუნონ. ის ფლობს იმ ინტელექტუალურ სიმკაცრეს, რომელიც საჭიროა მტრულად განწყობილ გარემოცვაში ქადაგებისა და რწმენის დაცვისთვის. მას აქვს ისტორიული ინდივიდუალობა, რომელიც ფესვგადგმულია ეკლესიის თეოლოგიურ სწავლებაში. მას აქვს მძლავრი რესურსები ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის მკაფიო განსაზღვრისთვის.

ტრუმენის შეხედულებების მოკლედ გადმოცემა იოლი საქმე არ არის, მას დაინტერესებული საზოგადოება დედანში უნდა გაეცნოს, მაგრამ მისი თხზულების ცენტრალური საკითხია, **თანამედროვე ქრისტიანობის რომელი ფორმაა ყველაზე შესაფერისი იმისათვის, რომ გადაურჩეს დევნის ეპოქას, რომლისკენაც მიექანება ამერიკული ქრისტიანობა.**

კარგი იქნებოდა, თუ ადამიანები გამოხატავენ საკუთარ აზრს საკუთარი ეკლესიების, როგორც იმ ნავსაყუდლების შესახებ, რომლებსაც შეაფარებენ თავს დევნის ეპოქის ქრისტიანები.

მაგრამ, აი, რამდენიმე მოსაზრება იმის შესახებ, თუ რატომ არის ეს თავშესაფარი მართლმადიდებლობა, რატომ არის ის ადგილი, რომელსაც ორთოდოქსმა ამერიკელმა ქრისტიანებმა შეიძლება შეაფარონ თავი და გადაიტანონ დევნის პერიოდი:

**მართლმადიდებლობა უძველესია.** ის მტკიცედ და საიმედოდაა აგებული. მისი შეცვლა ძალზე რთულია. ეს არის ღრმად კონსერვატიული რწმენა, რომელიც წარმოუდგენლად მტკიცე საყრდენს ქმნის დროის ცვლილების წინააღმდეგ. და, რა თქმა უნდა, **მართლმადიდებლობა ორთოდოქსულია საერთო თეოლოგიური და სოციოლოგიური თვალსაზრისით.** ის არ მიდის კომპრომისებზე საკვანძო საკითხებთან დაკავშირებით, რაც განასხვავებს ტრადიციულ ქრისტიანებს თანამედროვეებისაგან.

უმთავრესი დასკვნა კი ის არის, რომ **მართლმადიდებლობა ცხოვრობს ღირებულებებითა და მცნებებით, რომლებიც რადიკალურად განსხვავდება თანამედროვე ამერიკული ცხოვრების წესისაგან. მართლმადიდებლობა ასკეტურია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მართლმადიდებლური ეკლესია მუდმივად შეგვახსენებს ჭეშმარიტებას, რომ ქრისტიანული ცხოვრება ვნებებთან ბრძოლას და ხორციელის დაძლევას მოითხოვს.**

განდევნა ღვთის რისხვაა. რისხვა უფრო რელიგიური, ბიბლიური გამონათქვამია, ვიდრე სასჯელი. ღვთის რისხვას მუდამ მოსდევს ცოდვების მონანიების იმედი. შესაძლოა, არა ეს თაობა, არც მათი შვილები და შვილიშვილები, მაგრამ ღმერთი შეუნდობს დარჩენილთ, რადგან მას სწამს, ადამიანებს კი — არა...

**The American Conservative**

# ჩინეთში ქრისტიანებს დევნა აძლიერებთ

**ჩინეთში გრძელდება ქრისტიანული სიმბოლოების განადგურების მეთოდური კამპანია. რამდენიმე დღის წინათ ხელისუფლებამ ჯვარი ჩამოხსნა ჩინურ იერუსალიმად წოდებული ქალაქ ვინჩჟოუში მდებარე ლუნგან ხიაიანის ტაძრის გუმბათიდან.**

როგორც მედიასაშუალებები იტყობინებიან, ხელისუფლებამ ეკლესიის ხელმძღვანელობას განუცხადა, რომ ჯვარი არღვევდა ლიმიტს შენობების სიმაღლესთან დაკავშირებით. ამიტომ ის ჩამოხსნეს და გადასცეს მორწმუნეებს, რომლებიც ტიროდნენ და ლოცულობდნენ ჩამოხსნილი ჯვრის ირგვლივ.

**პროვინცია ჩჟეცზიანში, სადაც მდებარეობს აღნიშნული ქალაქი ვენჩჟოუ, ხელისუფლებამ უკვე ჩამოხსნა და დაიმუქრა, რომ ჩამოხსნის ჯვარს 130-ზე მეტი პროტესტანტული ტაძრიდან. ზოგიერთ შემთხვევაში ხელისუფლებამ თავად ტაძრებიც კი დაანგრია.**

ჩინეთში ხელისუფლების ყველა დონეზე კორუფცია სერიოზული პრობლემაა. მუდმივად სკანდალია რომელიღაც არაკეთილსინდისიერი საწარმოს გამო, რომელიც, ვთქვათ, მდინარეში ყრის მკვდარი ღორების ნარჩენებს და აბინძურებს საკუთარი წარმოების საკვებ პროდუქციასაც. ქვეყანაში იზრდება უთანასწორობა. ამ მდგომარეობაში ჩინეთის ხელისუფლებას წესით საქმე არ უნდა აკლდეს, უმჯობესი იქნებოდა, განზე გამდგარიყო და ხელი არ შეეშალა ქრისტიანებისათვის დამოუკიდებლად განვითარებაში.

მაგრამ სინამდვილეში ამგვარი რეპრესიები ჩინეთის



ქრისტიანებისთვის მხოლოდ სარგებლის მომტანია. დევნა იმდენად ძლიერია, რომ ეს აიძულებს ქრისტიანებს, ერთად შეიკრან, შეინარჩუნონ რწმენა და გაუძლონ ტაძრებზე შეტევებს. მით უფრო, რომ დევნა იმდენად ძლიერი არ არის, ეკლესიებს მოღვაწეობის საშუალება აღარ დარჩეთ.

მაოს დროს მიმდინარე მკაცრს დევნას კი, როგორც ცნობილია, უამრავი ქრისტიანი ემსხვერპლა. უდიდესი რაოდენობით აბსოლუტურად უდანაშაულო მორწმუნეებს სცემდნენ, აწამებდნენ და აპატიმრებდნენ. მაგრამ ჩინელმა ქრისტიანებმა ამ კოშმარს არნახულად გაძლიერებულებმა დააღწიეს თავი.

**სინამდვილეში მაომ ჩინეთში ქრისტიანობას უდიდესი სამსახური გაუწია. მოკვეთა რა ის უცხოეთის მისიონერული მხარდაჭერისა და დაფინანსებისაგან, ასევე გაანადგურა რა ეკლესიაში მისვლის ყველა მატერიალური სტიმული, სინამდვილეში მან შექმნა ნამდვილი, ნატურალიზებული რწმენა.**

დღევანდელი დევნა ამდენად მკაცრი არ არის და აცხადებს, რომ ქრისტიანები არ განეკუთვნებიან კორუმპირებულ და უზნეო ჩინურ ელიტას, ეს კი მხოლოდ გააძლიერებს ეკლესიის ლეგიტიმურობას.

**The American Interest**

**ამ ზემკაცრი სუნიტური ისლამის კანონებით, ქრისტიანის არსებობა დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის მორჩილია, იხდის ფულს, უარს ამბობს რწმენის ღია მიმდევრობაზე და მზადაა დათანხმდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის აკრძალვას, ისევე, როგორც არათანასწორ რეჟიმს.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ისლამისტები წუთი წუთზე მოუღებენ ბოლოს ერაყში ქრისტიანთა 2000-წლოვან ისტორიას

**მას შემდეგ, რაც ელისმა ერაყში შუასაუკუნოვანი ისლამური წესრიგი დაამყარა, ყველაფერი, რაც ოდნავ მაინც არ შეესაბამებოდა მას, პოლიტიკურ განსხვავებულობად განიხილება... და ეს, თავის მხრივ, ყველაზე დაუნდობელი დევნის საბაბია. შედეგად ქრისტიანებს, რომლებიც იქ ჯერ კიდევ არაბულ შემოსევამდე ცხოვრობდნენ, დღეს ჩემოდნების ჩალაგება უწევთ. ჩვენ ერაყის ქრისტიანობის ორიათასწლოვანი ისტორიის აღსასრულის მომსწრენი ვართ.**



ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფოს (ელის) ძალაუფლების განმტკიცების შემდეგ, ახალმა ხელისუფლებამ ქრისტიანებს წამოუყენა ულტიმატუმი: თუ ისინი თანახმანი არ არიან, მიიღონ ისლამი, სიკვდილით დასჯიან ან ქვეყნიდან გააძევებენ. თუ მათ სურთ, დარჩნენ და საკუთარი რწმენა შეინარჩუნონ, მათგან გადასახადს აკრეფენ. საყოველთაოდ აღიარებული გეოპოლიტიკოსი **ალექსანდრ დელ ვალი** ამბობს, რომ საუბარი არ არის ეთნიკურ წმენდაზე, როგორც ამას ზოგიერთი მედიასაშუალება აცხადებს. ეს მასობრივი რელიგიური დევნაა. ხალიფატის შემქმნელი სალაფიტების მსოფლმხედველობა უკიდურესად გამჭვირვალეა: საჭიროა არაბული ხალიფატისა და ოსლამური იმპერიის დროინდელ პრაქტიკასთან დაბრუნება, ასევე, იმ ორთოდოქსალურ ისლამურ ტრადიციებთან დაბრუნება, რომლებიც X საუკუნიდან მოყოლებული არანაირ რეფორმას არ დაქვემდებარებია.

**ამ ზემკაცრი სუნიტური ისლამის კანონებით, ქრისტიანის არსებობა დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის მორჩილია, იხდის ფულს, უარს ამბობს რწმენის ღია მიმდევრობაზე და მზადაა დათანხმდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის აკრძალვას, ისევე, როგორც არათანასწორ რეჟიმს.**

ყურანის მე-19 სურაში საუბარია მუსლიმანების ტერიტორიაზე მცხოვრები ქრისტიანების ან იუდეველების სტატუსზე, რომლებიც ცხოვრობენ „მფარველობის ქვეშ“, რადგან გადასახადებს იხდიან. მასში აბსოლუტურად ცხადადაა გაწერილი, რომ ისლამური წესრიგის პირობებში მცხოვრებმა ქრისტიანებმა და იუდეველებმა უნდა ზღონ „შეცდომის“ (ანუ ჭეშმარიტი რწმენის მიღების სურვილის არქონის) გამო დამცირებით, მაგრამ რას უკავშირდება ამგვარი მორჩილება და დამცირება? იმას, რომ „ურწმუნოებაში“ ცხოვრება სასიამოვნო არ უნდა იყოს. ქრისტიანის ცხოვრება საკმაოდ არაკომფორტული და მტკივნეული უნდა იყოს, რათა მან „კეთილი ნებით“ გადაწყვიტოს გამუსლიმანება და თავიდან აიცილოს დისკრიმინაცია.

უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც შარიათიდან და უმარის ცნობილი შეთანხმებიდან გამომდინარეობს, ისლამურ საზოგადოებაში მცხოვრებ ქრისტიანს არ შეუძლია, ღიად გამოხატოს თავისი რელიგიური მრწამსი და ისაუბროს წმიდა სამებაზე და იმაზე, რომ უფალს შვილი ჰყავს... დაუმორჩილებლობა სიკვდილით ისჯება. აღდგომას ნათქვამ უბრალო ფრაზას „ქრისტე აღსდგა“, შესაძლოა, ძალზე სერიოზული პრობლემები მოჰყვეს.

როდესაც გვეუბნებიან, რომ ყურანი „ტოლერანტული“ წიგნია ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით, იგულისხმება, რომ მასში და შარიათში გათვალისწინებულია განსაკუთრებული სტატუსი ქრისტიანებისა და იუდეველებისთვის (დანარჩენებს მხოლოდ ისლამის მიღებას ან სიკვდილს შორის არჩევანს სთავაზობენ).

ამრიგად, ელისის წევრები ამჟამად, უბრალოდ, იზიარებენ სუნიტური ისლამის ორთოდოქსულ პოზიციას, რომელიც, საუბედუროდ, მუსლიმანურ ქვეყნებში არავის გამოურიცხია ოფიციალური რელიგიური საგანმანათლებლო პროგრამებიდან.

**ყველა ქრისტიანი, რომლებიც არ გაიზიარებენ ხალიფა ალ-ბაღდადის მოთხოვნებს, ყურანისა და შარიათის შესაბამისად, როგორც დაუმორჩილებელი არამუსლიმანი, სასიკვდილოდ იქნება განწირული...**

გარდა ამისა, საფრთხე ჩნდება მთელი ქრისტიანული საზოგადოებისთვის, მღვდლებიდან მონაზვნებამდე, ობლებიდან მოხუცებამდე. ეს ყველაფერი აღმოსავლეთში ქრისტიანობის პრობლემის „საბოლოო გადაწყვეტაა“. ეს საშინელი გადაწყვეტილება არის ადამიანებისათვის მუდმივად შთაგონებადი სიძულვილის შედეგი. ეს პროცესი მთელ მუსლიმანურ სამყაროში მიმდინარეობს 1980-იანი წლებიდან, თუმცა მისი ინტენსივობა იცვლება სხვადასხვა ქვეყანაში. ეგვიპტეში 1970-იანი წლებიდან მიმდინარეობს ყოველდღიური დარბევები, ქრისტიანთა გაძევება კი ქვეყნიდან ჯერ კიდევ ნასერას დროს დაიწყეს. ძარცვა, მკვლელობები, გატაცებები გამოსასყიდის მიღების მიზნით — სამწუხაროდ, ეს ყველაფერი ეგვიპტეში, ერაყში, ნიგერიასა და სუდანში ქრისტიანების ცხოვრების ჩვეულებრივი ყოველდღიურობაა მრავალი ათწლეულის მანძილზე. მაგრამ დასავლეთი სპარსეთის ყურის ფანატური ნავთობ-მონარქიების დიდ მეგობრად იქცა და გადაწყვიტა, ამ ყველაფერზე თვალი დაეხუჭა. მას ერთხელად კი არ მოუთხოვია მუსლიმანი ქვეყნებისაგან, პატივი ეცათ ქრისტიანული უმცირესობისთვის...

**დღევანდელ ერაყში ახალი ფაქტორია ქრისტიანოფობიის სისტემატიზაცია და მისი გაცილებით უფრო მკაცრი ფორმები, მათ შორის დევნილების ძალადობრივი გასახლება. რაც უნდა იყოს, ძირძველი ბარბაროსობიდან ვერსად გაიქცევი, ვიდრე სკოლებში არ დაიწყებენ ახალი ისლამის სწავლებას X საუკუნის ფუნდამენტური ისლამის ნაცვლად.**

ამ ყველაფრის საბაბი დადის ქრისტიანების „მოღალატეებად“, „ჯვაროსნებად“, ამერიკისა და ევროპული კოლონიალიზმის „აგენტებად“ შერაცხვამდე და თვით ევროპული სიონიზმის ხელშემწყობებად მონათვლამდეც კი. ამგვარ თვალსაზრისს ნამდვილად აქვს გამოძახილი ადგილობრივ მოსახლეობაში. **ზოგიერთი სუნიტი არაბისათვის მხოლოდ ის ფაქტი, რომ ვილაც შეიძლება ყურანის ენაზე ლაპარაკობდეს და ამ დროს მუსლიმანი არ იყოს, უკვე ანომალიაა.**

2000 წელია, ერაყის ტერიტორიაზე ქრისტიანები ცხოვრობენ. უძველესი ტაძრები ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეშია აგებული. სამწუხაროდ, ამ ტაძრებს უკვე ანადგურებენ. 1990-იანი წლებიდან მოყოლებული ყველა უბედურებაში ერაყელ ქრისტიანებს სდებენ ბრალს. ისინი მომწყვდეულნი არიან რადიკალ შიიტებს, რადიკალ სუნიტებსა და ნაციონალისტ ქურთებს შორის. შედარებით უსაფრთხოდ არის მხოლოდ ქურთების ტერიტორიებზე მდებარე ტაძრები, რადგან იქ ქრისტიანებს მეტი შემწყნარებლობით ექცევიან.

ირანისა და ერაყის ომის დროს ქრისტიანულ და მუსლიმანურ საზოგადოებებს შორის მჭიდრო კავშირი მაინც დამყარდა. მუსლიმანებს ქრისტიანულ სასაფლაოებზე მარხავდნენ და პირიქით. მაგრამ ეს შედარებითი თანაცხოვრება სადამ ჰუსეინის ელიტური რეჟიმის მიერ იყო თავსმოხვეული და სპონტანურად, თავისთავად არ გაჩენილა. ტყუილია, თითქოს სუნიტები ნებაყოფლობით დათანხმდნენ ამას. **სინამდვილეში ქრისტიანებს მუდამ ამცირებდნენ, მიიჩნევდნენ უმდაბლეს არსებებად, აწამებდნენ და კლავდნენ. საუკეთესო შემთხვევაში მათ იგივე ბედი ელოდათ, რაც საუკუნოდ გეტოებში შეყრილ ებრაელებს.**

მრავალი ერაყელი ქრისტიანი დასავლეთში ემიგრირებაზე ოცნებობს. მაგრამ, ვინაიდან საამისო სახსრები არ გააჩნიათ, ბოროტებათაგან უმცირესს ირჩევენ. სტამბოლის ეკლესიებში ერაყელი ქრისტიანი უფრო მეტია, ვიდრე თურქი ქრისტიანი. ეს პრობლემის გადაწყვეტა არ არის, მაგრამ ერაყში არსებულ მდგომარეობას ბევრად სჯობს.

იორდანიაში ქრისტიანები უფრო მეტი თავისუფლებით სარგებლობენ, ვიდრე სხვაგან. ერთადერთი გამონაკლისი ლიბანი და სირიაა. აქ ქრისტიანები თითქმის თანასწორუფლებიანი მოქალაქეები არიან ისევე, როგორც ერთ დროს, სადამ ჰუსეინის პერიოდში, ერაყში იყვნენ. აქ საკვანძო სიტყვაა „თითქმის“, რადგან ქრისტიანი ვერასდროს იქნება სრულად თავისუფალი ისლამურ მიწაზე, ვიდრე საზოგადოებას შარიათის კანონები მართავს.

ამჟამად ერაყში არსებულ საშინელ მდგომარეობაში ერთადერთი კარგი სიახლე ის არის, რომ ახლა საუდის არაბეთისა და ისლამური თანამშრომლობის 57 ქვეყნის ზეწოლით ისლამოფობიაზე საუბრის მრავალი წლის შემდეგ, როგორც იქნა, ამერიკაში დაიწყეს ქრისტიანთა დევნის აღიარება. ეს დევნა მჭიდროდაა დაკავშირებული გენოციდით გაჟღენთილ პროექტთან — აღმოსავლური ქრისტიანობის პრობლემის „უკანასკნელ გადაწყვეტილებასთან“. სწორედ ამას უკავშირდება გაეროს გენერალური მდივნის — პან გი მუნის განცხადებაც, რომელშიც მან ელისის მიერ ერაყში ადგილობრივ ქრისტიანებთან დაკავშირებით კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულები განიკითხა.

ამრიგად, ჩვენ საერთაშორისო არენაზე ქრისტიანოფობიის გაცნობიერების დასაწყისის მომსწრენი ვართ. საფრანგეთისა და იტალიის გარდა, ევროპული ქვეყნები, როგორც წესი, შედარებით პასიურ პოზიციას იჭერდნენ, რადგან გაერო უცვლელად აკრიტიკებდა თეთრკანიანებსა და დასავლეთის ქრისტიანებს იმიგრანტებისა და მუსლიმანების მიმართ რასისტული დამოკიდებულების გამო. ამასთან, სიტყვასაც არავინ ამბობდა მუსმიანურ ქვეყნებში ქრისტიანების, შიიტების, იუდეველებისა და სხვათა მიმართ არსებულ მტრულ დამოკიდებულებაზე. ახლა ერაყელი და აღმოსავლელი ქრისტიანების მიმართ სოლიდარობა იზრდება კანადასა და ავსტრალიაშიც.

სამწუხაროა, მაგრამ ახლა რელიგიას დადებითად აღიქვამენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ყველგან გაჰყვირის საკუთარი წამებულობის შესახებ. ისლამისტებს მშვენივრად ესმით ეს და სარგებლობენ კიდეც ამით საკუთარი აგრესიის გასამართლებლად, მაგრამ ქრისტიანები აბსოლუტურად არ არიან მიჩვეულნი ამგვარ განლაგებას.

**ნიგერიაში, მალისა და ახლა უკვე ერაყში მიმდინარე მოვლენების გათვალისწინებით, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ქრისტიანობა ყველა რელიგიას შორის ყველაზე წამებულია.**

**Atlantico**

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გასაგებია ფესტივალისგან ეკონომიკურ-ფინანსური სარგებლის მიღებით მთავრობის დაინტერესება, მაგრამ განა შეიძლება ყველაფერი ფულზე გავყიდოთ? საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება, როგორც ჩანს, ვესპასიანეს პრინციპით მოქმედებს და სააკაშვილის რეჟიმის გზას განაგრძობს, რომელმაც კიდევ ერთხელ არ გაითვალისწინა (უკვე მერამდენედ) საქართველოს საპატრიარქოს თხოვნა, — საქართველოში არ ჩატარდეს „კაზანტიპის“ ფესტივალი...**

# ფულს სუნი არ უდის?

# ალკოჰოლი, ნარკოტიკები და თავისუფალი სექსი, ანუ ყველაფერი «კაზანტიპის» შესახებ




**2013-2014 წლებში საქართველოს ე. წ. ლგბტ საზოგადოების შეტევების ტალღამ გადაუარა და თუმცა გეებს, ლესბოსელებს, ბისექსუალებსა და ტრანსექსუალებს აქციების გამართვის საშუალება არ მიეცათ, დასავლეთის მიერ ჩვენი ქვეყნისთვის თავსმოხვეული ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებას მაინც ვერ ავცდით — ქართულ ტრადიციებსა და კულტურაზე, მართლმადიდებლობაზე „თავგადაკლულმა“ დეპუტატებმა, საპატრიარქოს თხოვნის მიუხედავად, ეს კანონი, რომელიც სექსუალური უმცირესობის დისკრიმინაციას კრძალავს (ისე, საკითხავია, აღრიცხული თუა სექსუალური უმცირესობის დისკრიმინაციის ერთი შემთხვევაც კი საქართველოში) და რომელსაც შორსმიმავალი მიზნები აქვს, ერთხმად დაამტკიცეს — 112 მომხრე, არც ერთი წინააღმდეგი...**



**«შეგიძლია დაიძინო იქ, სადაც მოისურვებ, შეგიძლია გააკეთო ის, რაც მოგინდება — ყველაფერი ეს იაფფასიანი ალკოჰოლის თანხლებით, აგრეთვე, ნებისმიერი სახეობის ნარკოტიკით»**

ახლა ჯერი მიდგა „კაზანტიპის“ ფესტივალზე, რომლის ჩატარებასაც, ეკონომიკურ-ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, საქართველოს ხელისუფლებამ დაუჭირა მხარი — 20-30 აგვისტოს (მარხვის პერიოდში და მარიამობის დღესასწაულზე) ანაკლიაში გასამართი ფესტივალის ორგანიზატორი „კაზანტიპის რესპუბლიკის“ პრეზიდენტ ნიკიტა მარშენოკთან ერთად არის საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელი **გიორგი სიგუა**.

არადა, **ვისაც „კაზანტიპის“ ფესტივალის ამსახველი ინტერნეტში გავრცელებული ფოტო და ვიდეოკადრები უნახავს, გაოგნებულია გარყვნილების მასშტაბით. მამათმავლობა, დედათმავლობა, ნუდიზმი, ნარკომანია, ალკოჰოლიზმი — აი, ამით არიან დაკავებული ფესტივალის სტუმრები.**

„ორი ფესტივალის ჩატარებას ვგეგმავთ. ერთი იქნება ელექტრონული მუსიკის ფესტივალი ანაკლიაში, მეორე კი — სიმღერის ფესტივალი, რომელიც ბათუმში ჩატარდება და მასში მონაწილეობას ცნობილი ევროპელი მომღერლები მიიღებენ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ყირიმში 4 მილიონი უკრაინელი ტურისტი ჩადიოდა (აქ „ცოტა“ გადააჭარბა ბატონმა სიგუამ — თვითონ „კაზანტიპის რესპუბლიკის“ თავკაცები ამბობენ, რომ ფესტივალს 150 ათასამდე ადამიანი ესწრებოდა ხოლმე, ისიც ბოლო წელს — ნ. მ.), რომლებიც, სავარაუდოდ, წელს იქ ვეღარ წავლენ, ჩვენ ამ ტურისტების საქართველოში ჩამოყვანაზე სერიოზულად ვმუშაობთ. გვინდა, საქართველოში მასშტაბური მუსიკალური ფესტივალი გვქონდეს. ეს, ერთი მხრივ, ქვეყნის ცნობადობის ამაღლებას შეუწყობს ხელს, მეორე მხრივ, მეტ ტურისტს მოიზიდავს და შესაბამისად — ინვესტორსაც...

**ნარკოტიკები — ჩვენგან შორს! ჩვენთან იქნება მხოლოდ ელექტრონული მუსიკა... ჩვენი ეკლესია ძალიან სწორად და ძალიან კარგად რეაგირებს იმაზე, რაზეც საჭიროა და, თუ ეკლესია თავისუფალი სექსის საკითხზე გამოთქვამს შენიშვნას, ჩემთვის, როგორც მორწმუნისთვის, ეს მისაღები იქნება და აუცილებლად გავითვალისწინებ**“, — განაცხადა გიორგი სიგუამ.

აქ ბატონი გიორგი სიგუას მიმართ ჩნდება კითხვები:

**1. საინტერესოა, როგორ შეუწყობს ხელს საქართველოს „ცნობადობის“ ამაღლებას ფესტივალი, რომელიც, რბილად რომ ვთქვათ, კარგი რეპუტაციით არ სარგებლობს?**

**2. ინტერნეტში გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, უკრაინელ გოგონებს უკვე გადაეცათ საჩუქრად უფასო ვიზები ანაკლიაში გასამართ ფესტივალზე ჩამოსასვლელად. გარდა ამისა, „კაზანტიპი“ უფასო იქნება რუსი და ქართველი გოგონებისთვისაც. როგორ აპირებს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის „შენიშვნის გათვალისწინებას თავისუფალი სექსის საკითხზე“ ბატონი სიგუა — ათასობით მრუშ ქალს, „პლაჟზე სექსი“ რომ არ ჰქონდეს, ე. წ. ერთგულების სარტყელს შემოარტყამს?**

**ახლა კი გაეცანით „კაზანტიპის“ ფესტივალის ერთ-ერთი მონაწილის მონათხრობს:**

## რა არის „კაზანტიპი“?

ყირიმის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთში, ქერჩთან ახლოს, არის კონცხი კაზანტიპი, რომელიც სერფინგის მოყვარულ ტურისტებს იზიდავს. კაზანტიპი თავდაპირველად 1990-იან წლებში სწორედ ტალღებზე ხის დაფებით ცურვის მოყვარულთა საყვარელი ადგილი იყო. მოგვიანებით კი, როცა სერფინგის პოპულარობა დაეცა, კონცხი ელექტრონული მუსიკის მოყვარულთა თავშეყრის ადგილად იქცა. ფესტივალი ყირიმის სხვადასხვა ადგილას იმართებოდა, თუმცა სახელწოდებას არ იცვლიდა. მისი განვითარებისთვის კი ყოველწლიურად დიდძალი თანხა იხარჯებოდა.

დახურულ ტერიტორიაზე გაჩნდა ბრები, საცეკვაო მოედნები, გაურკვეველი დანიშნულების ნაგებობები, ლაზერული შოუ და სხვ.

„კაზანტიპის რესპუბლიკას“ აქვს კონსტიტუცია, ჰყავს პრეზიდენტი და მინისტრთა კაბინეტი, მისი მოქალაქეები კი იწოდებიან დიდ ხალხად. ეს ყველაფერი კაზანტიპის რესპუბლიკის ვებგვერდზე იუმორით არის გადმოცემული, მაგრამ მიზნები მკაფიოდ ჩანს. აი, რამდენიმე მუხლი მათი კონსტიტუციიდან:

**„პლაჟი, ზღვა, მზე, პალმები და არამიწიერი სილამაზის გოგონები ნაციონალური ღირებულებაა, იცავს და იყენებს სახელმწიფო“** (მე-9 მუხლი);

**„დაე, ყველაფერი იყოს ისე, როგორც ჩვენ გვსურს, რადგან ჩვენ ცუდი არაფერი გვინდა! ეს დედამიწაც ჩვენი იქნება და ყველანი წავიდნენ ტ...ში“** (მე-14 მუხლი);

**„რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიესალმებიან სიყვარულს, მისი ყველანაირი გამოვლინებით... ამისთვის არსებობს მოქალაქეების ურთიერთობის დაკანონების ინსტიტუტი FAST MARRIED. მოქალაქეებს, რომლებსაც უცებ შეუყვარდებათ ერთმანეთი, შეუძლიათ, სასწრაფოდ შეკრან კავშირი ცაში, ანუ გაიარონ ცერემონია FAST MARRIED-ი, ციური კავშირების რაოდენობა შეზღუდული არ არის** (მე-15 მუხლი)“.

**„კაზანტიპის“ მინისტრთა კაბინეტის სამინისტროების სახელწოდებები კი ასეთია:**

**— აბსოლუტური თავისუფლებისა და ტკბობის სამინისტრო;**

**— გამო...ბის სამინისტრო;**

**— სამინისტრო ვადებთ საქართველოს**

**— პოხუიზმის (ანუ ფეხებზე დაკიდების — რედ.) სამინისტრო — გააკეთე ის, რაც გეკაიფება, დანარჩენი დაიკიდე;**

**— მანანების ორგიის სამინისტრო;**

**— კაიფში ცხოვრების სამინისტრო — იცხოვრე კაიფში. აკეთე ის, რასაც საჭიროდ თვლი;**

**— ინკვიზიციისა და ინდულგენციების სამინისტრო;**

**— საკუთარი თავის სიყვარულის სამინისტრო;**

**— ჰალუცინაციების, „მომეჩვენას“ სამინისტრო;**

**— საქართველოს ჩემოდნების სამინისტრო და ა. შ.**

## ალკოჰოლი, ნარკოტიკები და... ტუალეტები

**ფესტივალის ხელმძღვანელობა თავის ყველაზე დიდ დამსახურებად მიიჩნევს საზოგადოების შექმნას, რომელიც ფანატიკურად ერთგულია კაზანტიპური ცხოვრების. ისინი არიან სხვადასხვა შეძლებისა და პროფესიის ადამიანები, რომლებიც ყოველწლიურად სტუმრობენ ფესტივალს მზეზე გასარუჯად, ზღვაში საბანაოდ, ახალი ურთიერთობების დასამყარებლად, საცეკვაოდ, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მისაღებად და თავისუფალი სექსისთვის...**

ფესტივალის გახსნის წინ ჩამოსული ადამიანები ადგილობრივი მეორადი ტანსაცმლის მაღაზიებიდან პირდაპირ იტაცებდნენ ჭრელა-ჭრულა მაისურებს, იღებავდნენ თმას მწვანედ, წითლად და თეთრად, იკეთებდნენ უცნაურ ჰალსტუხებს და ცდილობდნენ, თავდავიწყებას მისცემოდნენ. „რესპუბლიკის“ ტერიტორიაზე შესული ადამიანი ძალიან სწრაფად აცნობიერებდა, რომ სხვა სამყაროში მოხვდა. ბარები და საცეკვაო მოედნები 24 საათის განმავლობაში მუშაობენ. **შეგიძლია დაიძინო იქ, სადაც მოისურვებ, შეგიძლია გააკეთო ის, რაც მოგინდება — ყველაფერი ეს იაფფასიანი ალკოჰოლის თანხლებით, აგრეთვე, ნებისმიერი სახეობის ნარკოტიკით. „კაზანტიპი“ დიდძალ ფულს იღებდა ტურისტების ჯიბიდან.**

მთავარი შემოსავალი კი, როგორც ფესტივალის ხელმძღვანელობა ხუმრობით ამბობს, ტუალეტებია, სადაც შესვლა 3 გრივნა (10 უკრაინული გრივნა უდრის 1,4912 ლარს) ღირს და სადაც ყოველთვის რიგი დგას. ტუალეტებიდან შემოსავალი უზარმაზარია. მათზე მუშაობს ყველა და ყველაფერი — ბარები, რომლებიც სასმელებს ყიდიან, დაცვა, რომელიც ადამიანებს ნებისმიერ ადგილას მოშარდვის საშუალებას არ აძლევს. „ტუალეტების მაფიის“ წარმომადგენლები ყველაზე პრივილეგიური ბიზნესმენები არიან ფესტივალის ტერიტორიაზე. გარდა ამისა, ფესტივალის ხელმძღვანელობა ჯარიმებითაც დიდძალ ფულს გამოიმუშავებს — აკრძალულ ადგილას მოშარდვა 2000 გრივნა ღირს.

**2013 წელს „კაზანტიპის“ ტერიტორიაზე გაჩნდა დუქანი სახელწოდებით „ბოტანიკოსი“, რომლის დახლებზეც ნახავდით ქილებს უცნაური წარწერით: „ბომბეი“, „ოლიმპი“, „ჯარაში“... გამყიდველები დაინტერესებულ კლიენტებს უხსნიდნენ, რომ ისინი ყიდიან „უკრაინაში ნებადართულ ნარკოტიკებს“ — ამფეტამინის, ექსტაზის, მარიხუანის, ელ-ეს-დეს შემცვლელებს. და ცოტა ხნის შემდეგ პლაჟზე გამოჩნდნენ მობარბაცე ადამიანები. უჩვეულო აღარ იყო ქვიშაში გართხმული უგონოდ მყოფი ქალებისა და მამაკაცების ხილვაც — მათ ნარკოტიკებს ალკოჰოლიც მიაყოლეს.**

▶

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„კაზანტიპს“ ზოგიერთი ადარებს ნიუ იორკის შტატის დასახლებულ პუნქტ ბეთელში 1969 წელს გამართულ ვუდსტოკის ცნობილ მუსიკალურ ფესტივალს, რომელსაც დაახლოებით 500 ათასი ადამიანი დაესწრო. ვუდსტოკის ფესტივალზე, რომლიდანაც დაიწყო ე. წ. სექსუალური რევოლუცია, 3 ადამიანი დაიღუპა ჰეროინის გადაჭარბებული დოზის მიღების გამო, თუმცა მან საფუძველი დაუდო დღეს უკვე მსოფლიოში აღიარებული ისეთი მუსიკოსების წარმატებულ კარიერას, როგორებიც არიან ჯენის ჯოპლინი, ჯიმი ჰენდრიქსი, „ქრიდენსი“, კარლოს სანტანა და სხვ. „კაზანტიპის“ ფესტივალი კი საქართველოში ალკოჰოლის, ნარკოტიკების და მრუშობის მოყვარულთა ბუდე იქნება, რადგან „კაზანტიპის“ სტუმრებს სწორედ თავისუფალი ცხოვრება, ანუ აღვირახსნილობა — ორგიები და ნარკოტიკები იზიდავთ და არა — ელექტრონული მუსიკა...**





◀ **შემდეგ კი, როცა გონს მოეგებოდნენ, უკვე გულარეულები, თვალებდასიებულები და ფაღარათიანები იფიცებდნენ, რომ „აღარასოდეს მიეკარებოდნენ არაფერს, „ნამდვილი“ ნარკოტიკის გარდა“.**

თუმცა ისინი თავს თავისუფალ ადამიანებად მიიჩნევდნენ. ალბათ, მაშინაც, როცა დაცვა მცირე დარღვევის გამოც კი გისოსებში ამწყვდევდა ან ტუალეტის გაწმენდას აიძულებდა, ალბათ, მაშინაც, როცა ფულს იხდიან და რჩებიან ტერიტორიაზე, რომელსაც მხოლდო ერთი, გულმოდგინედ დაცული გასასვლელი აქვს, ალბათ, მაშინაც, როცა ნარკოტიკებით გათიშვის შემდეგ მათ სხეულებს ექიმები სასწრაფო დახმარების მანქანით კლინიკებში მიათრევდნენ...“

**„კაზანტიპს“ ზოგიერთი ადარებს ნიუ იორკის შტატის დასახლებულ პუნქტ ბეთელში 1969 წელს გამართულ ვუდსტოკის ცნობილ მუსიკალურ ფესტივალს, რომელსაც დაახლოებით 500 ათასი ადამიანი დაესწრო. ვუდსტოკის ფესტივალზე, რომლიდანაც დაიწყო ე. წ. სექსუალური რევოლუცია, 3 ადამიანი დაიღუპა ჰეროინის გადაჭარბებული დოზის მიღების გამო, თუმცა მან საფუძველი დაუდო დღეს უკვე მსოფლიოში აღიარებული ისეთი მუსიკოსების წარმატებულ კარიერას, როგორებიც არიან ჯენის ჯოპლინი, ჯიმი ჰენდრიქსი, „ქრიდენსი“, კარლოს სანტანა და სხვ.**

**„კაზანტიპის“ ფესტივალი კი საქართველოში ალკოჰოლის, ნარკოტიკების და მრუშობის მოყვარულთა ბუდე იქნება, რადგან „კაზანტიპის“ სტუმრებს სწორედ თავისუფალი ცხოვრება, ანუ აღვირახსნილობა — ორგიები და ნარკოტიკები იზიდავთ და არა — ელექტრონული მუსიკა...**

**სწორედ ამის გამო მიმართა მოსახლეობას საქართველოს საპატრიარქომ გამაფრთხილებელი განცხადებით, რომლის ტექსტსაც სრულად გთავაზობთ:**





„გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გადაწყდა, რომ გარკვეული ცვლილებების შეტანის შემდეგ ე. წ. კაზანტიპი მიმდინარე წლის 20-30 აგვისტოს ჩატარდება საქართველოში, მაცხოვრის კვართისა და ღვთისმშობლის სამოსლის მცველ ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში და თანაც მარიამობის მარხვაში.

„კაზანტიპის“ მომწვევის, ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელის — გიორგი სიგუასა და უკრაინაში ამ „ფესტივალის“ დამაარსებლის — ნიკიტა მარშუნოკის თქმით, „წელს ანაკლიაში არ იქნება ნარკოტიკები და თავისუფალი სექსი, მაგრამ იქნება ხმა, განათება, კარგი განწყობა და სიყვარული“. ღონისძიებას სახელიც შეუცვალეს („რეალობის ანტირეალობა“ დაარქვეს) და, ალბათ, კიდევ სხვა საშუალებებითაც შეალამაზებენ, მაგრამ, ანტიდისკრიმინაციული კანონის მსგავსად, არსით იგი მაინც უცვლელი დარჩება და ეს ლოგიკურიცაა (უკრაინაშიც თავდაპირველად ეს საქმიანობა შედარებით რბილი ფორმებით დაიწყეს და შემდეგ მიიღეს ის, რაც დღეს აქვთ).

„კაზანტიპს“ სწორედ აღვირახსნილობის გამო სტუმრობს ამდენი „ტურისტი“ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. მათ სწორედ მასობრივი ორგიები და თავაშვებულობა იზიდავთ და არა მუსიკა ან რაიმე კულტურული ღონისძიება, მითუმეტეს ჩვენი ქვეყნის ალორძინების სურვილი.

არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ **ცოდვა ყველა დროში არსებობდა, მაგრამ დღეს მისი არა თუ ლეგალიზება, შეიძლება ითქვას, იძულებითი დანერგვა ხდება როგორც სარწმუნოების, ისე ზნეობისა და ეროვნული ფასეულობის დამცირების ფონზე; ამგვარ ვითარებაშიც კი „რეალობის ანტირეალობა — კაზანტიპი“ მკვეთრად განსხვავებული მოვლენაა, რადგან გარყვნილების ასეთი მასშტაბური ფორმა არასდროს მოუფიქრებიათ. ასეთი უზნეობა ყოვლად მიუღებელია ნებისმიერი სარწმუნოების ადამიანისთვის.**

ჩვენი აზრით, **ჩვენს საზოგადოებას ხმა არ მიუცია საქართველოს სახელმწიფოს ამ მიმართულებით განვითარებისთვის. საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა და იგი არ შეიძლება გახდეს აღვირახსნილობის ხელშემწყობი.**

რა თქმა უნდა, გვესმის ისიც, რომ მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში მყოფ ადგილობრივ მოსახლეობას ლამის სიცოცხლის ფასად უღირს ის შემოსავალი, რომელიც მათ ბინების ან ტერიტორიის გაქირავების ფასად შეიძლება აიღონ; გვესმის, რომ ახალგაზრდებს, შეიძლება მოუნდეთ რეკლამირებულ სანახაობებზე მისვლა, ხელისუფალთ, ალბათ, ინფრასტრუქტურის განვითარებაც სურთ... **მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს, რომ ამ ფესტივალში ნებისმიერი სახით მონაწილეობა და მისი მხარდაჭერა უმძიმესი შედეგების მომტანი იქნება ქვეყნისთვისაც და ცალკეული პიროვნებებისთვისაც.**

ეკლესია, სულიერ შვილებზე ზრუნვიდან გამომდინარე, ვალდებულია, ამის შესახებ საქართველოს მოსახლეობა გააფრთხილოს!“

**ცნობისათვის:**

**კაზანტიპი (KaZantip) — კაზანტიპის რესპუბლიკა, ნარინჯისფერი რესპუბლიკა ან რესპუბლიკა Z — ყოველწლიური ელექტრონული საცეკვაო მუსიკის ფესტივალი, რომელიც 1992 წლიდან 2013 წლის ჩათვლით უკრაინაში, ყირიმის ნახევარკუნძულზე იმართებოდა. თუმცა, რუსეთის ფედერაციასთან ყირიმის მიერთების შემდეგ, გადაწყდა, რომ 2014 წელს ფესტივალი საქართველოში, ანაკლიაში გაიმართება. დასასწრებ ბილეთებს ეწოდება viZa. ფესტივალი გრძელდება 5-6 კვირას, ზაფხულში მას ყოველწლიურად 150 000 ადამიანი, ე.წ. paradiZers-ი სტუმრობდა.**

**ფესტივალის სახელი კაზანტიპის კონცხს უკავშირდება, რომელზეც ის 1995-1999 წლებში ტარდებოდა. ამ პერიოდში ფესტივალი იმართებოდა ქალაქ შჩიოლკინოს მახლობლად; 2001 წლიდან კი ტარდებოდა ყირიმის პატარა ქალაქ პოპივკაში. ფესტივალის შემქმნელი და პრეზიდენტია ნიკიტა I (ნიკიტა მარშუნოკი). ადრე კაზანტიპს სერფინგის მოყვარულები სტუმრობდნენ, მოგვიანებით ფესტივალს შეემატა ტრანს და ტექნომუსიკა. სწორედ ამ პერიოდში იშვა ფესტივალი თანამედროვე სახით.**

**ნიკა მაისურაძე**

**2013 წელს «კაზანტიპის» ტერიტორიაზე გაჩნდა დუქანი სახელწოდებით «ბოტანიკოსი», რომლის დახლებზეც ნახავდით ქილებს უცნაური წარწერით: «ბომბეი», «ოლიმპი», «ჯარაში»... გამყიდველები დაინტერესებულ კლიენტებს უხსნიდნენ, რომ ისინი ყიდიან «უკრაინაში ნებადართულ ნარკოტიკებს» — ამფეტამინის, ექსტაზის, მარიხუანის, ელ-ეს-დეს შემცვლელებს. ცოტა ხნის შემდეგ პლაჟზე გამოჩნდნენ მობარბაცე ადამიანები. უჩვეულო აღარ იყო ქვიშაში გართხმული უგონოდ მყოფი ქალებისა და მამაკაცების ხილვაც — მათ ნარკოტიკებს ალკოჰოლიც მიაყოლეს**

**P.S. I** საუკუნეში რომის იმპერატორმა ვესპასიანემ საზოგადოებრივი ტუალეტებით სარგებლობისთვის გადასახადი დააწესა. როდესაც მისმა ვაჟმა — ტიტუსმა ამ გადაწყვეტილების გამო უკმაყოფილება ვერ დამალა, ვესპასიანემ მას ცხვირთან ფული მიუტანა და ჰკითხა:

— ეს ფული ყარს, სუნი ასდის?

— არა, — უპასუხა ტიტუსმა.

— არადა, ეს მოშარდვის შედეგად მიღებული ფულია, — უთხრა ვესპასიანემ, ანუ ფულს სუნი არ უდისო.

გასაგებია ფესტივალისგან ეკონომიკურ-ფინანსური სარგებლის მიღებით მთავრობის დაინტერესება, მაგრამ განა შეიძლება ყველაფერი ფულზე გავყიდოთ?

როგორც ჩანს, ვესპასიანეს პრინციპით მოქმედებს და სააკაშვილის რეჟიმის გზას განაგრძობს საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება, რომელმაც კიდევ ერთხელ არ გაითვალისწინა (უკვე მერამდენედ) საქართველოს საპატრიარქოს თხოვნა, საქართველოში არ ჩატარდეს „კაზანტიპის“ ფესტივალი...

**P.P.S.** 4 აგვისტოს საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი თანამდებობიდან გაათავისუფლეს.







ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ლუდი შეიცავს B ჯგუფის ვიტამინების კომპლექსს, კერძოდ B2, B6 და B12 ვიტამინებს. ეს ვიტამინები ხელს უწყობს ადამიანის ორგანიზმში ჰემოგლობინის წარმოქმნას. ჩაციებული ლუდი შეიცავს კალციუმს, რკინას, თუთიას, კალიუმს, სილიციუმს, ნატრიუმს, მაგნიუმს. ლუდი სასარგებლოა თირკმლებისთვის — დაგიცავთ თირკმლის კენჭებისგან.**



# ყველაფერი ლუდის შესახებ

**მას სიამოვნებით მიირთმევენ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, უძველეს ცივილიზაციათაგან რომელიც უნდა დაასახელოთ ლუდის პირველ შემოქმედად, შეცდომა არ იქნება, რადგან დედამიწაზე მცხოვრები ხალხების უმეტესობას მასთან დაკავშირებული საკუთარი ხანგრძლივი და განსაკუთრებული ისტორია აქვთ. ის უყვართ ქალებსაც, კაცებსაც, ასაკოვნებსაც, ახალგაზრდებსაც, განურჩევლად აღმსარებლობისა, პროფესიისა, მორალური თუ პოლიტიკური მრწამსისა. მეცნიერთა ნაწილი კი თვლის, რომ ის დედამიწაზე ცივილიზაციასთან ერთად გაჩნდა.**



ლუდს უძველესი დროიდან ამზადებენ, თუმცა უძველეს სასმელს ერთი კონკრეტული სამშობლო არ აქვს. ლუდის დამზადება ყველა კონტინენტზე ყველა უძველესმა ერმა იცოდა. ისტორიკოსთა მტკიცებით, ის 8000 წლის წინათ გაჩნდა. ლეგენდის თანახმად, გულმავიწყ მცხობელს პურის ცომი მზეზე დარჩა, ცომი თხევადი გახდა და ამჟავდა. შეცბუნებულმა მცხობელმა უცნაური მასა გასინჯა და მოეწონა, — ასე იწყება ლუდის ისტორია.

ანთროპოლოგთა ერთი ნაწილი ამტკიცებს, რომ ცივილიზაცია ლუდის წყალობით გაჩნდა. როდესაც უძველესმა ხალხებმა აღმოაჩინეს, რომ მარცვლეულისგან პურისა და ლუდის დამზადება შეიძლებოდა, მომთაბარე ცხოვრებას ერთ ადგილზე დამკვიდრება ამჯობინეს და მარცვლეულის მოყვანა დაიწყეს.

ლუდის დამზადების პიონერებად შუმერები, სირიელები, ასურელები, ეგვიპტელები და ბაბილონელები ითვლებიან.

ბაბილონის მმართველმა ჰამურაბმა, რომელმაც მესოპოტამია და ასირიელთა ქვეყანა შემოიერთა, სხვა კანონებთან ერთად, ლუდის წარმოებისა და მოხმარების უმკაცრესი წესი დაამკვიდრა. ბაბილონელები ლუდის სიწმინდეს უმკაცრესად იცავდნენ.

„ქვის ძელი“ — ტრაქტატი, რომელიც 1903 წელს სუზში — თანამედროვე ერაყის ტერიტორიაზე აღმოაჩინეს და ამჟამად ლუვრში ინახება, დაუჯერებელ ამბავს გვამცნობს:

უძველესი ლურსმნული დამწერლობით მასზე ამოტვიფრულია წარწერა იმის შესახებ, რომ ლუდის არაკეთილსინდისიერი მხარშველი, რომელიც მასში წყალს გაურევდა, უმკაცრესი სასჯელით დაისჯებოდა — ან თავისივე მოხარშული სასმელით სავსე კასრში ახრჩობდნენ, ან მისივე დამზადებულ სასმელს იმდენს ასმევდნენ, ვიდრე არ მოკვდებოდა. დასჯის სასტიკი მეთოდები იმ გამყიდველებზეც ვრცელდებოდა, რომლებიც ლუდის ფასს უსაზღვროდ ზრდიდნენ.

უძველესი კრებული, რომელსაც ჰამურაბის კოდექსი უწოდეს, ქრისტეშობამდე 1700 წლით ადრეა შექმნილი. სიკვდილით ისჯებოდა ლუდხანის ის მფლობელიც, რომელიც თავის დაწესებულებაში პოლიტიკურ დისკუსიებს დაუშვებდა. ჰამურაბის კოდექსიდან იმასაც ვიგებთ, რომ იმ დროს ყველა წამალს ლუდს აყოლებდნენ.

არქეოლოგების აზრით, 6000-8000 წლის წინათ ძველ ბაბილონში ლუდი ყველაზე პოპულარული სასმელი იყო. ბაბილონელები ქვებით ჩეჩქვავდნენ ქერისა და სპელტის (სიმინდის წინაპარი) მარცვლებს, ასხამდნენ წყალს, ამატებდნენ სურნელოვან ბალახებს და რამდენიმე დღეში იღებდნენ სასიამოვნო გამამხნევებელ სასმელს.

მესოპოტამიის ქალაქ-სახელმწიფო ურში კი ლუდს პროფესიულად — გასაყიდად ამზადებდნენ. ლუდი ისეთი რაოდენობით მზადდებოდა, რომ თითქმის მთელი მარცვლეულის ნახევარს ალაოდ ამუშავებდნენ. სვიას მაშინ ჯერ კიდევ არ ხმარობდნენ. ბაბილონელებისა და შუმერების დამზადებული ლუდი მოტკბო გემოსი იყო, ჩვენთვის კარგად ნაცნობი სვიის სიმწარის გარეშე.

უძველესი სამარხების ბარელიეფებზე შემორჩენილია ლუდთან დაკავშირებული ტრადიციული რიტუალები. ამ ნახატებზე ქურუმების მიერ ღმერთებისთვის ლუდით მსხვერპლშეწირვის რიტუალებია აღწერილი. ქურუმები ავრცელებდნენ მითებს ლუდის უნიკალური სამკურნალო თვისებების შესახებაც.

ეგვიპტელები ლუდს თავდაპირველად ბაბილონში ყიდულობდნენ, თუმცა სასმელი ხანგძლივ ტრანსპორტირებას ვერ უძლებდა, ამიტომაც იძულებული გახდნენ, თავად დაეწყოთ ლუდის დამზადება. ისინი განსხვავებულ ლუდს ამზადებდნენ — სიმინდისაგან ლუდის დამზადება ძველეგვიპტური ღმერთის — ოსირისის სახელს უკავშირდება. ეგვიპტურ ლუდს „ხეკი“ ერქვა და მაგარი და მოტკბო გემოსი იყო.

პაპირუსი, რომელიც გერმანელმა ეგვიპტოლოგმა **გეორგ ებერსმა** აღმოაჩინა, ფარაონთა ქვეყნებში პირველი დოკუმენტია მედიცინის თემაზე და ის ლუდის რეცეპტებსაც შეიცავს. **ლუდის განსაკუთრებულ სამკურნალო თვისებებზე ეგვიპტელებმა ბევრი რამ იცოდნენ. ისინი თვლიდნენ, რომ ლუდის სმა სიცოცხლეს ახანგძლივებს. ლუდი პირამიდების მშენებელთა რაციონში მთავარი პროდუქტი იყო, ხშირად შესრულებული სამუშაოს ასანაზღაურებლად ხელოსნებს ლუდს ურიგებდნენ. ლუდის მხარშველი კი იმდენად საპატიო პროფესია იყო, რომ მათ ქანდაკებებს სამარხებშიც ინახავდნენ.**

ლუდი ეგვიპტეში წარმოუდგენლად პოპულარული იყო. ცნობილია, რომ დედოფალმა კლეოპატრამ პირამიდების მშენებლობის გასაგრძელებლად საჭირო თანხის მოძიება ლუდზე გადასახადების შემოღებით გადაწყვიტა. ეს იყო ისტორიაში პირველი გადასახადი, რომელიც სასმელის დამზადებისთვის დაწესდა.

**ეგვიპტიდან ლუდი ეთიოპიაში, ირანსა და კავკასიაში გავრცელდა. ინდოევროპელთაგან ლუდის დამზადება თავდაპირველად ფრიგიელებმა და თრაკიელებმა დაიწყეს. ისინი, მოგვიანებით კი სკვითებიც, ლუდს ქერისა და დაფქული ბრინჯისაგან ამზადებდნენ.**

ძველი ბერძნები და რომაელები, უმთავრესად, ღვინოს მიირთმევდნენ — ლუდს ისინი ბარბაროსების სასმელად მიიჩნევდნენ.

ჯერ კიდევ არისტოტელეს დროს იცოდნენ ბერძნებმა იმის თაობაზე, რომ ჩრდილოეთ და ცენტრალურ ევროპაში მცხოვრებნი ლუდს ამზადებდნენ. **რომაელმა კონსულმა და მწერალმა პლინიუს უმცროსმა (62-114 წლები) ევროპაში 195 სახეობის ქერის სასმელი აღწერა.** ლუდის დამზადებას იმ დროს გერმანელები მისდევდნენ. ამის შესახებ იუწყებოდა ტაციტუსიც, „გერმანელების შესახებ“ ცნობილი ტრაქტატის ავტორი.

ითვლება, რომ ლუდის დამზადება გერმანელებმა ფინიკიელებისგან ისწავლეს. გერმანიიდან ლუდის დამზადების ტექნოლოგია გავრცელდა ინგლისსა და სკანდინავიაში, ევროპული კულტურის ექსპანსიის კვალდაკვალ კი ლუდი მთელ მსოფლიოში პოპულარული გახდა.

სვიის გამოყენებამ ლუდის დამზადებაში ნამდვილი რევოლუცია მოახდინა. სვიის მოყვანა ევროპაში ხალხთა დიდი გადასახლების დროს დაიწყეს. ლუდის უმნიშვნელოვანეს კომპონენტად სვია მხოლოდ მეთორმეტე საუკუნეში იქცა.

სვია ლუდს განსაკუთრებულ მომწარო გემოს აძლევს და დიდხანს ინახავს. პირველად სვია ლუდში კარლოს დიდის მეფობის დროს დაამატეს, დაახლოებით, 800 წელს. გერმანიაში ის იმდენად ძვირფას პროდუქტად ითვლებოდა, რომ სვიით სახელმწიფო გადასახადების გადახდაც კი იყო შესაძლებელი.

ლუდის დამზადება თავდაპირველად ევროპაში დიასახლისების საქმე იყო, თანდათან კი მკაცრად რეგლამენტირებულ ხელობად იქცა. ლუდის მხარშველებს მისი გაყიდვის უფლება ჰქონდათ.

ლუდის დამზადების ტექნოლოგია ევროპულ მონასტრებში დაიხვეწა. ბერები გამუდმებით ატარებდნენ ექსპერიმენტებს, სვიის გამოყენებაც მათი იდეა იყო – ლუდის მეშვეობით ბერებს შეეძლოთ, ხანგძლივი მარხვისთვის გაეძლოთ, კლერიკალური პრინციპები „თხევადი პურის“ მიღებას არ კრძალავდა.

ლუდის სიწმინდის დაცვაზე ევროპელებიც განსაკუთრებულად ზრუნავდნენ. 1516 წელს ბავარიაში მიიღეს კანონი ლუდის რეცეპტურის უმკაცრესი დაცვის შესახებ. კანონი, რომელსაც „სიწმინდის მცნება“ ჰქვია, აწესებდა, რომ ლუდის დამზადება შესაძლებელი იყო მხოლოდ ქერის, მოგვიანებით — ალაოს, სვიისა და სუფთა წყლისგან. კანონი უმკაცრესად სჯიდა ნების-მიერ გადაცდომას – მათ, ვინც ლუდს წყალს ურევდა ან აყალბებდა, მკაცრ ჯარიმებს უწესებდნენ, ყველაზე ურჩებს კი ლუდში ახრჩობდნენ.

ამერიკის კონტინენტზე ლუდი ევროპელმა მეზღვაურებმა შუასაუკუნეებში ჩაიტანეს, თუმცა ჯერ კიდევ 1502 წელს ქრისტეფორე კოლუმბმა აღმოაჩინა, რომ ამერიკელები ლუდს სიმინდისა და ხის წვენისგან ამზადებდნენ.

ჩინეთში უძველესი დროიდან ამზადებენ ბრინჯის ლუდს. ჩინური ლუდის შესახებ ევროპამ მარკო პოლოსგან შეიტყო. ძველი ჩინური დოკუმენტი მოწმობს, რომ ლუდი სახელწოდებით „კიუ“ ჩინეთში ჩვენს წელთაღრიცხვამდე 300 წლით ადრე მზადდებოდა.

ლუდის მსგავსი სასმელები მარტო მარცვლეულისაგან როდი მზადდებოდა. ცეილონსა და პოლინეზიაში ნედლეულად პალმის წვენსა და ნაყოფს, აფრიკაში – სიმინდს, ირანში – ფინიკს, ინდოეთში გარეული ფუტკრის თაფლს, ბანანს, შაქრის ლერწამსა და წიწაკას იყენებენ.

არსებობს ცნობები კავკასიის ხალხებში უძველესი დროიდან ლუდის მოხმარების შესახებ. **მეცნიერები ფიქრობენ, რომ კოლხები ლუდის დამზადების საიდუმლოს ჯერ კიდევ არგონავტების მოგზაურობის დროს ფლობდნენ.**

ბერძნებს ადრიდანვე შეუმჩნევიათ ქართველთა მიდრეკილება მიწათმოქმედებისადმი. კოლხეთში მოსულმა არგონავტებმა აიეტის სასახლეში იხილეს ღვინის შადრევნები და მაგარი ფოლადისაგან გამოჭედილი გუთანი, რომლის სრულყოფილებამ მათი განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია. ალბათ, მხოლოდ ეს არ იყო იმის მიზეზი, რომ მათ შემდგომში ქართველებს შეარქვეს „გეორგიან“, რაც მიწისმოქმედს ნიშნავს.

**მსოფლიოში ცნობილი 17 სახეობის ხორბლიდან 12 საქართველოში ითესებოდა, ადგილობრივი წარმოშობისაა მახა და ზანდური-გარდამავალი ჯიშები ველურიდან კულტურული ხორბლის ჩამოყალიბების გზაზე.**

მიწათმოქმედების აღმოცენება-განვითარების შვიდი დიდი კერიდან მეცნიერები უძველეს ცენტრად მიიჩნევენ წინა აზიას საქართველოს ჩათვლით. საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე — ამირანისა და არუხლოს გორებზე, ურბნისსა და შულავერში ენეოლითური ხანის ნასახლარებში აღმოჩნდა ალიზის სამეურნეო ნაგებობანი, ხორბლეულის შესანახი ორმოებით და მიწის დასამუშავებელი იარაღებით, რაც იმის მაუწყე- ▶



**ლუდის რეცეპტი. ჩვენ წელთაღრიცხვამდე 2050 წელი. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ყველაზე სევდიანი კატა



**ინტერნეტის დაპყრობა ახალმა შინაურმა ცხოველმა მოახერხა — სევდიანმა კატა მურმანენტნომ. მისი თვალები საცაა ცრემლებით აივსება. კატის პატრონი ეშლი მას სევდიან კატას ეძახის.** ეშლიმ ამ საცოდავი ფუმფულა არსების ფოტოები ფოტოჰოსტინგ საიტ imgur-ზე ატვირთა. ფოტოებმა მალევე მოიპოვეს პოპულარობა. გამოქვეყნებიდან ექვს დღეში ფოტოები უკვე 426 000-ჯერ ნახეს. პატარა სევდიანი ცხოველის პატრონი — 21 წლის ეშლი ჰერინგი, რომელიც ნიუ ორლეანში ცხოვრობს, აცხადებს, რომ სინამდვილეში კატა ძალიან ბედნიერია, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი სევდიანი გამომეტყველება აქვს.



ბელია, რომ აქ მცხოვრები უძველესი ქართველური მოდგმის ტომები დაახლოებით ცხრაათასი წლის წინათ იცნობდნენ ხორბლის კულტურას და მისი მოყვანა-შენახვის ხერხებს. პურეული კულტურის ამაზე უფრო ხნიერი სამეურნეო ცენტრი მსოფლიო მეცნიერებამ არ იცის.

მიუხედავად ამისა, საქართველოში ლუდის, როგორც კულტურის შემოსვლა ძველი მსოფლიოს სხვა ქვეყნებიდან მოხდა, აღმოსავლური ლუდის უძველესობა დღეს უკვე უეჭველია, ხოლო ამ ხალხებთან ქართველთა წინაპარი ტომების კულტურულ-სამეურნეო კავშირები არქეოლოგიური, ისტორიული, ეპიგრაფიკული და ეთნოგრაფიული მასალებით გამორკვეული და დადასტურებულია.

საქართველოში, როგორც ღვინის კლასიკურ ქვეყანაში, უმთავრესი ყურადღება გადატანილი იყო ბარის მევენახეობა-მეღვინეობაზე. ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში დამკვიდრებული შეხედულებით ბარი და მთა გაყოფილია ვაზის გავრცელების არეალითაც. ტერიტორია, სადაც ვაზი ხარობს, ბარადაა მიჩნეული, ხოლო სადაც არ ხარობს — მთად. ამიტომ, ლუდის წარმოებამ თავიდანვე ფეხი მოიკიდა მთაში და აქ დასახლებული ხალხის ყოფაში უპირველესი ადგილი დაიჭირა.

საქართველოს მთაში ყველა მნიშვნელოვანი დღესასწაული თუ საკულტო რიტუალი ლუდთან იყო დაკავშირებული და ლუდით იყო განწმენდილ-გაპატიოსნებული.

როცა შუაკაცებით მოჩხუბრები არ რიგდებოდნენ, მათ ხატის სახელით დაანამუსებდნენ. მოჩხუბართ ჯვრის კარზე მიიყვანდნენ, დამნაშავეს ლუდით სავსე თასს მისცემდნენ და მოწინააღმდეგისთვის უნდა ეთქვა სიტყვები „ეს თასი შენი პატივისა იყოს“, რაც იმას ნიშნავდა, რომ უკან იხევდა და თავის დანაშაულს აღიარებდა. ასეთი შერიგება ლუდის გარეშე არ შედგებოდა, რაც ამ სასმელის მიმართ დიდი პატივისცემის გამოხატულებაა.

მთიანეთს ლუდთან დაკავშირებული კიდევ არაერთი უძველესი ტრადიცია აქვს. დღესასწაულის დროს ლუდის დაყენება ხდებოდა ჯვარის სალუდეში. კოდის გახსნისა და დალოცვის შემდეგ ლუდი ჩხუტებით გამოჰქონდათ საჯარეზე და იწყებოდა საერთო სმა. ახალგაზრდა ბიჭები ხატში მიდიოდნენ სოფელში ლუდის ჩასატანად. სალოცავის კართან ქვაბებს დადებენ და დაილოცებოდნენ. დარბაზში მყოფი ჯვარიონი ერთსულოვნად მიესალმებოდა მოსულთ. თასებით ლუდს შეასმევდნენ, აუვსებენ ქვაბებს, რომელთა სახელურებში კეტები იყო გაყრილი და გამოატანდნენ სოფელში.

სოფელში მოტანილ ლუდს ხალხი ფეხზედგომით ხვდებოდა და მელუდეთ ცეცხლთან დასვამდნენ, გამოჰკითხავდნენ ჯვარიონის ამბებს, შემდეგ მოიტანდნენ ყველანაირ სასმისს და უფროს-უმცროსობით პირველი სადღეგრძელოთი მიცვალებულთა შესანდობარს იტყოდნენ.

თანამედროვე მსოფლიოს ლუდთან დაკავშირებით საკუთარი ტრადიციები აქვს. ახლა ლუდი ისხმება ბოლოსკენ შევიწროვებად ბოკალში ან ჭიქაში, რომელიც დამზადებულია შუშისგან ან რამე სხვა მასალისგან, ოღონდ არა მეტალის და პლასტმასისაგან. ჭურჭლის მოცულობა 1 ინგლისური პინტის, ანუ 0.568245 ლიტრის ტოლია და ეს არის ლუდის მიღების დღიური ნორმაც.

ლუდის ოპტიმალური ტემპერატურა არის 6-8 გრადუსი ცელსიუსით (ეს მიახლოებით შეესატყვისება მაცივრის ყველაზე ქვედა დაფის ტემპერატურას.) თუ თქვენ გააცივებთ ლუდს მოცემულ ტემერატურაზე მეტად, კარგავს გემოს, შემდეგ თუ ისევ დაუბრუნდება თავის ოპტიმალურ გრადუსს, აღდგება გემოც. იმ შემთხვევაში, თუ 10 გრადუსზე მეტ სითბოში ამყოფებთ ლუდს, მისი არომატი და გემო სამუდამოდ იკარგება.

ლუდი ისხმება ჭიქის შუაში 2,5 სმ სიმღლიდან. ქაფი უნდა იყოს სრულიად თეთრი, არაჟნის კონსისტენციის, ბუშტუკების გარეშე.

ვისაც არ მოსწონს ლუდის ქაფი, ურჩევენ ხოლმე, დააწვინოს კათხა და ნელა ჩამოასხან სასურველი რაოდენობით. ამ ხერხით ჭიქაში თითქმის არ იქნება ქაფი.

ლუდის „ექსპერტებად“ აღიარებული ჩეხები არასდროს აყოლებენ მას არც ჩიპსებს და არც ორცხობილებს. ისინი ლუდთან ტრადიციულად მხოლოდ შაშხს და შემწვარ ღორს მიირთმევენ, გერმანელები — შებოლილ კომბოსტოსა და სოსისს.

ლუდი ღვინის შემდეგ ყველაზე უფრო ჯანსაღ სასმელად ითვლება.

**ლუდი შეიცავს B ჯგუფის ვიტამინების კომპლექსს, კერძოდ B2, B12 და B6 ვიტამინებს. ეს ვიტამინები ხელს უწყობენ ადამიანის ორგანიზმში ჰემოგლობინის წარმოქმნას.**

**ჩაციებული ლუდი შეიცავს კალციუმს, რკინას, თუთიას, კალიუმს, სილიციუმს, ნატრიუმს, მაგნიუმს.**

ითვლება, რომ ლუდის მოხმარება ადამიანს ასუქებს. თუმცა, ლუდი ნახშირწყლებს დაბალი რაოდენობით შეიცავს. ამგვარად, თუ თქვენ დაბალნახშირწყლოვან დიეტაზე იმყოფებით, შეგიძლიათ, ერთი კათხა ლუდი ზედმეტი მღელვარების გარეშე მიირთვათ.

ჰარვარდის უნივერსიტეტის კვლევებმა აჩვენა, რომ რეგულარულად ერთი ან ორი კათხა ლუდის მოხმარება ამცირებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარების რისკს. ეს იმიტომ, რომ ლუდი ზრდის HDL-ის დონეს (მაღალის სიმკვრივის მქონე ლიპოპროტეინი, ანუ ე. წ. კარგი ქოლესტერინი). HDL-ის შემცველობის ზრდა აუმჯობესებს სისხლის ნაკადის გულისკენ მოძრაობას, რაც, თავის მხრივ, ახდენს გულის ბლოკადის პრევენციას.

**ლუდი ასევე შეიცავს ფოლიუმის მჟავას (წყალში ხსნადი ვიტამინი B), რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს კორონარული დაავადებების რისკს.**

**ლუდი სასმელია, რომელიც აძლიერებს ძვლებს და აუმჯობესებს მათი ზრდის პროცესს.**

**ლუდი სასარგებლოა თირკმლებისთვის. ლუდი ის სასმელია, რომელიც დაგიცავთ თირკმლის კენჭებისგან.** ლუდი დაახლოებით 90% წყალს შეიცავს, რაც ებრძვის დეჰიდრატაციას, გამოდევნის ტოქსინებს თირკმლებიდან. ეს დაგიცავთ თირკმლებში კენჭების ფორმირებისგან.

**ითვლება, რომ ლუდს შეუძლია ალცჰაიმერის დაავადების განვითარების პრევენციაც.** 2005 წელს განხორციელებულმა კვლევამ აჩვენა, რომ იმ ქალბატონებს, რომლებიც მოიხმარდნენ ლუდის ზომიერ რაოდენობას (1 კათხა დღეში) უკეთესი გონებრივი მდგომარეობა ჰქონდათ, ვიდრე არამსმელებს.

ლუდი ამცირებს სისხლის წნევასაც.



# შიშველი ნეფე-დედოფალი



**ავსტრიელმა წყილმა „შიშველი ქორწილი“ მოიწყო. ქალ-ვაჟი რიტუალზე თითქმის შიშველი გამოცხადდა: პატარძალს მხოლოდ გამჭვირვალე ქვედა საცვალი და ფატა ემოსა, ნეფეს კი სასირცხვო ადგილზე მხოლოდ ქუდი ჰქონდა აფარებული. ქორწინების რიტუალი ქალაქ ფელდკირხში ჩატარდა.**

პენე და მელანი შახნერების თქმით, შიშველი ქორწინება იმიტომ გადაწყვიტეს, რომ სურდათ, ერთმანეთისთვის სამუდამოდ დასამახსოვრებელი დღე ეჩუქებინათ. **„ჩვენ არ გვრცხვენია ჩვენი შიშველი სხეულის. გვინდოდა, მოგვემოქმედებინა რაიმე, ტრადიციული ჩარჩოების იგნორირებით. ამასთან, საქორწინო დრეს-კოდის აუცილებლობა თავიდან ავიცილეთ და ფულიც დავზოგეთ“.**

სარეგისტრაციო განყოფილებაში შიშველ ნეფე-დედოფალს სრულიად მშვიდად შეხვდნენ. სანამ რეგისტრატორების წინაშე იდგნენ, წყვილმა გადაწყვიტა, ისინი არ დაებნიათ და შიშველი სხეული ქალმა ყვავილებით, მამაკაცმა კი — ქუდით დაიფარა.

**„შიშველი ქორწილები“ სულ უფრო პოპულარული ხდება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ბოლო დროს ამ რიტუალს ხშირად მიმართავენ აშშ-ის ზოგიერთ შტატსა და ავსტრალიაში.**

# რატომ ამთქნარებენ ადამიანები?



**ამ საკითხთან დაკავშირებით უამრავი ჰიპოთეზა არსებობს, თუმცა მეცნიერები ჯერ-ჯერობით მაინც ვერ თანხმდებიან.**

ხალხში ყველაზე ფართოდ არის გავრცელებული მოსაზრება, რომლის თანახმადაც დამთქნარება გვეხმარება მივაწოდოთ ფილტვებს დიდი რაოდენობით ჰაერი, გავზარდოთ სისხლის წნევა, გულის ცემის სიხშირე და სისხლში ჟანგბადის რაოდენობა. ეს ფიზიოლოგიური ცვლილებები კი ადამიანის გონებას აფხიზლებს.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ჰიპოთეზა კარგად გამოიყურება, ექსპერიმენტებმა დაამტკიცეს, რომ მთქნარება სულაც არ იწვევს ზემოთ ნახსენებ მოვლენებს (გულის ცემის სიხშირის, წნევის, სისხლში ჟანგბადის რაოდენობის გაზრდა და ა. შ.).

2010 წლის კვლევები, რომლებიც გამოქვეყნდა ჟურნალ Neuroscience-ში, გვიჩვენებს, რომ მთქნარება ზრდის ტვინის აქტივობას და უფრო ფხიზელს ხდის მას.

არსებობს ერთი იდეა, რომელმაც უკანასკნელ წლებში მეცნიერების ყველაზე დიდი ყურადღება მიიპყრო. ეს იდეა მოიცავს „გადახურების ჰიპოთეზას“. ამ ჰიპოთეზის თანახმად, მთქნარება ტვინს გადახურებისგან იცავს, აგრილებს. 2007 წელს საკმაოდ საინტერესო კვლევა ჩატარდა. ადამიანები დასვეს ტელევიზორთან და აყურებინეს, თუ როგორ ამთქნარებენ სხვა ადამიანები. ექსპერიმენტში მონაწილე ადამიანების ნაწილს თავზე ცივი საგანი ჰქონდა მიდებული, ხოლო ნაწილს – ცხელი. ექსპერიმენტის შედეგებმა აჩვენა, რომ ცივი საგნის მიდებამ შეამცირა დამთქნარების სიხშირე, ხოლო ცხელი საგნის მიდებამ — პირიქით.

ამ ჰიპოთეზას ამყარებს თაგვებზე ჩატარებული ექსპერიმენტი, რომლის თანახმადაც, ისინი ამთქნარებენ მაშინ, როდესაც მათი ტვინის ტემპერატურა ჩვეულებრივზე მაღალია. ასევე ადამიანები უფრო ხშირად ამთქნარებენ, როდესაც ჰაერი ცივია. ეს შეიძლება ალოგიკურად მოგეჩვენოთ, მაგრამ მეცნიერების თქმით, რაც უფრო ცივია ჰაერი, მით უფრო კარგად გრილდება ტვინი მთქნარების დროს.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ყველაზე დიდი მწერი

**მსოფლიოში ყველაზე დიდი მწერი ჩინეთში, ჩენგდუს მთებში აღმოაჩინეს. მისი ფრთების სიგრძე 21 სანტიმეტრია.** მეცინიერებმა ჯერ ზუსტად არ იციან, რა მწერია ის. ზოგი ამბობს, რომ მეგალოპტერაა, ზოგი კი — გიგანტური დობსონფლაია. არსებობს კიდევ ორი გიგანტური მწერი: ახალ ზელანდიაში აღმოჩენილი დეინაკრიდა ჰეტერაკანტას ცნობილი ნიმუში, რომელიც 71 გრამს იწონის და მეგასტიკი. მდედრი მეგასტიკის სხეული 35.7 სანტიმეტრი მოცულობისაა, რაც მსოფლიო რეკორდია მწერის გარშემოწერილობისთვის. ხოლო მისი ფეხები 56.7 სანტიმეტრი სიგრძისაა.



# მამაკაცებს გადაშენება ემუქრებათ

**„მამაკაცებს სრული გადაშენება ემუქრებათ: ქრომოსომა, რომელიც ძლიერი სქესის წარმომადგენლებს განასხვავებს, თანდათანობით ქრება,“ — გვაფრთხილებს ავსტრალიის ნაციონალური უნივერსიტეტის პროფესორი ჯენი გრეივი.**

როგორც ცნობილია, ქალებს აქვთ ორი X ქრომოსომა, მამაკაცებს — ერთი X და ერთი უფრო პატარა — Y ქრომოსომა. „სამასი მილიონი წლის წინათ Y ქრომოსომა 1,4 ათას გენს მოიცავდა, ახლა კი მათი რაოდენობა მხოლოდ 45-ია. ამის გათვალისწინებით, Y ქრომოსომის გენები დაახლოებით 5 მილიონი წლის შემდეგ სრულიად გაქრება.

Y -ქრომოსომა განსაზღვრულ გენს შეიცავს, რომელიც მამაკაცის სქესობრივ თვისებებსა და მამაკაცური ჰორმონების გამომუშავებაზეა პასუხისმგებელი. „საქმე ისაა, რომ **ადამიანებს, ისევე, როგორც ძუძუმწოვართა უმრავლესობას, განაყოფიერების გარეშე გამრავლება არ შეუძლიათ, ვინაიდან რიგი აუცილებელი გენებისა მამაკაცებისგან უნდა მოდიოდეს, — აღნიშნავს ჯენი გრეივსი, — მაგრამ, საბედნიეროდ, შეგვიძლია გამოვიყენოთ ისევ ბუნების მინიშნება, რომ მღრღნელების ზოგიერთ სახეობას არ აქვს Y ქრომოსომა და მამაკაცური გენი, ამავე დროს მითითებულ სახეობებს ჰყავთ სრულიად ჯანმრთელი მამრები“.**



# ყველაზე საშიში ფეხსაცმელი

**რეზინის ე. წ. შლოპანცები მედიკოსებმა ყველაზე მავნე ფეხსაცმლად დაასახელეს. ორთოპედების შეფასებით, ამ ტიპის ფეხსაცმელი ვერ აფიქსირებს ტერფის თაღს, რის გამოც კუნთები იჭიმება და ქუსლის მყესები იძაბება. საბოლოოდ მუხლებში, მენჯსა და ზურგში, სახსრებში პრობლემებს ვღებულობთ.**

„შლოპანცს“, როგორ წესი, თხელი ძირი აქვს, ამიტომ ფეხი მჭიდროდ ებჯინება მიწას. ასეთი ძალით დაწოლა კი ძვლებისა და სახსრებისთვის უსაფრთხო არაა. იმის გამო, რომ მეტისმეტად ღიაა, მის ფეხზე „გასაჩერებლად“ ფეხისთვის ძალის დატანებაცაა საჭირო. მას განსაკუთრებით უნდა ერიდონ პაციენტები, რომლებიც ხერხემლის მიდამოში დისკომფორტს ხშირად განიცდიან.

გარდა იმისა, რომ ამ ღია ფეხსამოსში ტერფები აბსოლუტურად დაუცველია და ნებისმიერ დროს შეიძლება დაიზიანოთ, რეზინის მასალაც გარკვეულ რისკებს შეიცავს — ის ყოველგვარი სოკოსა და ბაქტერიის გასამრავლებლად ხელსაყრელი ადგილია.

ბუნებრივია, ეს საშიშროება ემუქრება მხოლოდ მათ, ვინც „შლოპანცებს“ მთელი დღის განმავლობაში, ჩვეულებრივი ფეხსაცმლის ნაცვლად ატარებს. მხოლოდ პლაჟისთვის კი მათი გამოყენება საფრთხეს არ შეგიქმნით. განსაკუთრებული სიფრთხილე მართებთ მშობლებს — ბავშვის ჯერ კიდევ გაუმაგრებელი ძვალსახსროვანი სისტემა კიდევ უფრო სუსტია ამ რისკებისადმი.

# Codex Gigas — «ეშმაკის ბიბლია»

**მსოფლიოს მე-8 საოცრება – ასე მოიხსენიებენ Codex Gigas-ს, იმავე „ეშმაკის ბიბლიას“ – შუა საუკუნეების მონუსკრიპტს, რომელსაც რაციონალური ახსნა დღემდე არ მოეძებნა.**






მე-13 საუკუნის ხელნაწერი წარმოადგენს ძველი და ახალი აღთქმის ორიგინალური ტექსტების კრებულს. მის შემადგენლობაში შედის სხვა რელიგიური ტექსტებიც და საიდუმლო შელოცვები, რომელთა გამოყენებასაც ეკლესია საუკუნეების მანძილზე კრძალავდა.

უნიკალურ ხელნაწერთა კრებულის დასამზადებლად გამოყენებულია 160 ცალი ვირის ტყავი, ზომით 92X52 სანტიმეტრი. წიგნის სისქე 22 სანტიმეტრია და 75 კილოგრამს იწონის. ხელნაწერი შეიცავს 640 გვერდს, აქედან 624 გვერდი იდეალურადაა შემონახული.

ლეგენდის თანახმად, **CODEX GIGAS-ი ბენედიქტელმა ბერმა ჩეხეთის ქალაქ პოდლაჟიცეში მე-13 საუკუნის მეორე ნახევარში დაწერა. უძველესი გადმოცემით, მას ამ გრანდიოზული სამუშაოს შესრულებაში თვით ლუციფერი დაეხმარა**.



1648 წელს, ოცდაათწლიანი ომის შემდეგ, შვედეთის სამეფო არმიამ „ეშმაკის ბიბლია“ პრაღის ციხესიმაგრიდან, სადაც ის სამი საუკუნის მანძილზე ინახებოდა, სტოკჰოლმში წაიღო და სამეფო ბიბლიოთეკის თაროზე საპატიო ადგილი მიუჩინა. რამდენიმე წლის წინათ ბიბლია კვლავ დაუბრუნდა ჩეხეთს, მის სანახავად პრაღაში ათასობით ტურისტმა მოიყარა თავი.

# საზარელი რელიგიური რიტუალი

**მსოფლიოში არაერთი სარწმუნოება და უამრავი რელიგიური რიტუალი არსებობს, მათ შორის ბევრი შემზარავიც. ასეთია ინდოეთში მოქმედი ე. წ. ბავშვების გადაგდების რიტუალი, რომელიც მახარაშტრას შტატში, გრიშნეშვორის ტაძარში ტარდება.**



ის ყველაზე სახიფათო წესჩვეულებად მიიჩნევა რელიგიურ რიტუალებს შორის. სახელწოდებიდან ჩანს, რომ მისი აღსრულებისას ბავშვებს სადღაც ისვრიან. ამისთვის ერთიდან ორ წლამდე ბავშვებს ირჩევენ. ისინი ტაძრის აივანზე აჰყავთ და 15 მეტრის სიმაღლიდან ძირს აგდებენ.

გადაგდებული ბავშვების მშობლები მიიჩნევენ, რომ საშიში არაფერია — პატარების მამებს ქვემოთ ზეწარი აქვთ გაჭიმული და ბავშვები ზედ ენარცხებიან. ზოგჯერ უბედური შემთხვევებიც ფიქსირდება, თუმცა ბავშვები სასიკვდილო დაზიანებებს ძალიან იშვიათად იღებენ. ადგილობრივი სულიერი ლიდერები ირწმუნებიან, რომ ბოლო 150 წლის განმავლობაში ამ წესის აღსრულებისას „მხოლოდ“ 3 ბავშვი დაიღუპა.

ინდუსებსა და იქაურ მუსლიმებს სწამთ, რომ ამ პროცედურის შემდეგ ბავშვები უფრო ჯანმრთელები, იღბლიანები და ჭკვიანები ხდებიან.

რიტუალს 700-წლიანი არსებობის ისტორია აქვს. მორწმუნეები მასში არაჰუმანურსა და სასტიკს ვერაფერს ხედავენ. დარწმუნებულნი არიან, რომ „გადაგდების“ შემდეგ ბავშვი ცხოვრებაში წარმატებული ადამიანი დადგება.

სამაგიეროდ, ბავშვებს ძალიან ეშინიათ. ბევრი მათგანი ფსიქიკურ ტრავმასაც იღებს.

ქრონოგრაფი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ჩინეთში მდინარე გაწითლდა

**ჩინეთის ქალაქ ვენჟოუს მაცხოვრებლები დილით უჩვეულო სანახაობის მომსწრენი გახდნენ — მდინარე სისხლისფრად შეიღება.** ადგილობრივები ამბობენ, რომ 4 საათისთვის წყლის დინება და ფერი ნორმალური იყო, მაგრამ 6 საათისთვის ის სისხლისფერი გახდა. მოხუცი, რომელიც მთელი ცხოვრება მდინარესთან ცხოვრობდა, ამბობს, რომ მსგავსი რამ არასდროს უნახავს. სამრეწველო დაბინძურება გამოირიცხა, რადგანაც გარშემო ქიმიური ნარგავები არაა.





# გონიერი კაბა

**მეცნიერებმა შექმნეს ტანსაცმელი, რომელიც სხეულს სოციალურ ქსელებში აქტიურობის შესაბამისად აშიშვლებს. ამგვარი ტანისამოსი კიდევ ერთხელ დააფიქრებს ადამიანს იმაზე, თუ რამდენ დროს ხარჯავს იგი ონლაინ რეჟიმში ყოფნისას.**

მიუ იორკის უნივერსიტეტის მკვლევარებმა წარმოადგინეს „გონიერი“ კაბა, რომელიც მისი მფლობელის გლობალურ ქსელში ხანგრძლივად აქტიურობისას თანდათანობით გამჭვირვალე ხდება. სანამ ინტიმური ადგილების გაშიშვლებასაც დაიწყებდეს, კაბის ნაწილები ციმციმს იწყებს.

x.pose-ს კარკასი 3D ბეჭდვის მეთოდითაა დამზადებული. ცვალებადი გამჭვირვალობის პანელები იმ მომცრო ზომის კომპიუტერით იმართება, რომელიც კაბის უკანა ნაწილშია ჩამონტაჟებული. კომპიუტერი მუდმივად აკონტროლებს მომხმარებლის ქსელში აქტიურობას, გადაცემული და მიღებული ინფორმაციის მოცულობას არეგისტრირებს და შესაბამისად რეაგირებს.



# ბავშვი, რომელიც აბორტის შედეგად დაიბადა

**31 წლის ირლანდიელ ქალს დუბლინის კლინიკის ექიმებმა დიაგნოზად შეწყვეტილი ორსულობა დაუდგინეს. დიაგნოზის ხუთგზის გადამოწმების შემდეგ მედიკოსებმა საბოლოოდ დაასკვნეს, რომ ნაყოფი მკვდარი იყო და პაციენტს ორგანიზმიდან მის გამოსადევნად 2 პრეპარატი დაუნიშნეს. ეს ე. წ. მუცლის მოსაშლელი წამლები იყო, რომლებსაც მიშელის საშვილოსნო მკვდარი ნაყოფისგან უნდა გაეთავისუფლებინა.**

წამლებმა შესაბამისი რეაქცია მართლაც იქონია. სისხლდენის შეწყვეტის შემდეგ კი ქალმა იმის გადასამოწმებლად, სრულად დაიცალა თუ არა საშვილოსნო, განმეორებით ჩაიტარა ფეხმძიმობის ტესტი. პასუხი დადებითი იყო. ეს იმას ნიშნავდა, რომ საშვილოსნო ნაყოფის ნარჩენებისგან ქირურგიული მეთოდით უნდა გასუფთავებულიყო.

ამ პროცედურის წინ ულტრასონოგრაფიული კვლევა კეთდება — საშვილოსნოში ექიმებმა პატარა მეგანი იპოვეს.

„ვერავინ იჯერებდა, რომ ეს ბავშვის გულისცემის ხმა იყო. ექიმები შოკში იყვნენ, მე კი იმ ბედნიერ წუთებს ვერ ვივიწყებ“, — აცხადებს მიშელი, რომელიც ახლა უკვე სამი შვილის დედაა.

აღმოჩნდა, რომ მიშელი ტყუპზე იყო ორსულად, ექიმებმა კი ულტრასონოგრაფიული კვლევისას მეორე ნაყოფი ვერ შენიშნეს. საოცარი ის იყო, რომ პრეპარატებს მუცლის მოშლის 97%-იანი ეფექტურობა ახასიათებთ. დარჩენილი 3%-ის შემთხვევაშიც ნაყოფი სხვადასხვა დეფექტით იბადება — გულის მანკით, დაუნის სინდრომით და ა. შ. მეგანმა ეს წესიც თავდაყირა დააყენა, რადგან სრულიად ჯანმრთელი მოევლინა ქვეყანას. ექიმებმა მას ღვთის სასწაული უწოდეს, რადგან ასეთი საოცრება პრაქტიკაში არ შეხვედრიათ და ვერც მის ახსნას ახერხებენ.













# ყველაზე ორიგინალური ფეხსაცმელი

**ხელოვანმა სებასტიან ერაძურიმ საინტერესო ნამუშევრები შექმნა. ეს არის 12 წყვილი ფეხსაცმელი, რომელთაგან თითეული მის ყოფილ შეყვარებულებს განასახიერებს.**

ზოგიერთი მოდელი ძალიან ლამაზია, ზოგი კი — არც ისე. ხელოვანმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ მუშაობის პროცესი ძალიან რთული იყო, მაგრამ საინტერესო და სასიამოვნო. რთული აღმოჩნდა ყოფილ შეყვარებულებთან ურთიერთობაც, რადგან ზოგიერთ მათგანს მეუღლე ან მეგობარი მამაკაცი ჰყავს. ამ ნამუშევრებში ადამიანების ზუსტი იდენტიფიცირება შეუძლებელია, რადგან მხოლოდ სებასტიანმა იცის, თუ ვინ იმალება ყოველი წყვილი ფეხსაცმლის მიღმა.

სებასტიან ერაძური წარსულში ისეთ ცნობილ დიზაინერებთან მუშაობდა, როგორებიც არიან ვივიენ ვესტვუდი და კარლ ლაგერფილდი.

ამ ფეხსაცმელების ზოგიერთი მოდელი პრაქტიკული სულაც არ არის, მაგრამ უდიდესი იდეის მატარებელია. დიზაინერი დარწმუნებულია, რომ რამდენიმე ქალბატონი აუცილებლად გამოჩნდება, რომლებიც მათ ტარებას გადაწყვეტს.

# თბილისის მერიის ადმინისტრაციას და საქალაქო სამსახურებს ახალი ხელმძღვანელები ჰყავს

**5 აგვისტოს თბილისის საკრებულომ დედაქალაქის ახალი მერის — დავით ნარმანიას მიერ წარდგენილი კანდიდატურები დაამტკიცა.**



თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსად დაინიშნა **რევაზ ჩახავა,** ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე — ეროვნული სატყეო სააგენტოს ყოფილი უფროსი **ბიძინა გიორგობიანი**, ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის უფროსად **— ირაკლი ბერეკაშვილი**, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსად — **გეგი ნიჟარაძე**, იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსად — **გურანდა რომანაძე,** კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსად — **ავთანდილ სუდაძე,** საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსად — **ლევან თევზაია,** სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსად — **გელა ჩივიაშვილი**, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსად — **პაატა ჯაჭვლიანი,** შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსად — **დავით მორალიშვილი** და უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის უფროსად — **ვალერი პაპიაშვილი**, არქიტექტურის სამსახურის უფროსად — **ნინო ღოღობერიძე** და ქონების მართვის სამსახურის უფროსად **გიორგი გაგოშიძე**.

საბურთალოს რაიონის გამგებლად — **ბექა მიქაუტაძე**, ვაკის — **გივი ჭიჭინაძე**, მთაწმინდის — **გელა არჩვაძე**, ჩუღურეთის — **ზურაბ ჩიკვილაძე,** დიდუბის — **ირმა ზავრადაშვილი**, ნაძალადევის — **ზაზა გაბუნია,** გლდანის — **ბესიკ ქარცივაძე**, კრწანისის — **გიორგი კოპალეიშვილი**, ისნის — **ვახტანგ ქიზიყურაშვილი,** სამგორის — **მამუკა ჩოქური.**

დავით ნარმანიას მოადგილეები იქნებიან **ალექსანდრე მარგიშვილი, ნინა ხატისკაცი, გიორგი ხელაია, გიორგი სოლომონია** და **ალუდა გოგლიჩიძე.**

## ვალერი გელაშვილი:
# ირაკლი ოქრუაშვილი სააკაშვილს საკითხის ძალადობის გარეშე გადაწყვეტას სთავაზობდა



**თავდასხმა სააკაშვილის კაბინეტში დაიგეგმა და წინააღმდეგი მხოლოდ ირაკლი ოქრუაშვილი იყო, — განაცხადა ყოფილმა დეპუტატმა ვალერი გელაშვილმა, რომლის ცემის ფაქტზეც მიხეილ სააკაშვილსა და ვანო მერაბიშვილს 5 აგვისტოს ბრალი დაუმძიმდათ.**

გელაშვილის თქმით, სააკაშვილმა მისი დასჯა მერაბიშვილს დაავალა. ყოფილი პარლამენტარი აცხადებს, რომ ირაკლი ოქრუაშვილი სააკაშვილს სთავაზობდა, შუამავალი მოეძებნა და საკითხი ძალადობის გარეშე გადაეწყვიტა.

„ოქრუაშვილმა შესთავაზა სააკაშვილს, რომელიც ყველაფერს ძალის გამოყენებით აგვარებდა, მოეძებნა კაცი, რომელიც დამელაპარაკებოდა და ასე მოვაგვარებდით ჩვენ შორის არსებულ დაპირისპირებას. მაგრამ სააკაშვილი გაბრაზებული იყო იმაზე, რაც დავუწერე გაზეთში ჩემს სახლთან დაკავშირებით და ჩემზე შური იძია. თავდასხმა დაუკვეთა მერაბიშვილს, რომელმაც კოდუას დაავალა. კოდუა არის შემსრულებელი", — განაცხადა გელაშვილმა.

# ბრიტანეთის პროფკავშირის ლიდერმა უკრაინის ხელისუფლებას ფაშისტური უწოდა



დიდი ბრიტანეთის ყველაზე დიდი პროფკავშირული გაერთიანების (Unite the Union) ლიდერმა ენდრიუ მიურეიმ განაცხადა, რომ „კიევის ხელისუფლების მოქმედებები მიმართულია საკუთარი ხალხის განადგურებისკენ". მან დაიწყო კამპანია სახელწოდებით „სოლიდარობა ანტიფაშისტურ წინააღმდეგობას უკრაინაში", — წერს Daily Mail-ი.

მიურეიმ დაგმო პრინც ჩარლზის საქციელი, რომელმაც რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ჰიტლერს შეადარა. პროფკავშირის ლიდერის განცხადებით, სამეფო ოჯახის წევრმა საზოგადოების ყურადღება იმ მომენტში გადაიტანა პუტინზე, როდესაც საერთო მტერი ძალიან ახლოსაა.

— ჩვენ მთავრობისგან უნდა მოვითხოვოთ, შეწყვიტოს ევროკავშირისა და ნატოს გაფართოებისადმი, აგრეთვე, უკრაინის ხელისუფლებისადმი მხარდაჭერა, — განაცხადა პროფკავშირული მოძრაობის ლიდერმა.

Unite the Union — ეს არის უდიდესი პროფკავშირული მოძრაობა დიდ ბრიტანეთში. მასში გაერთიანებულია 3 მილიონზე მეტი ადამიანი დიდი ბრიტანეთიდან, ირლანდიიდან, ჩრდილოეთ ამერიკიდან და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებიდან.

# რუსეთი უკრაინის საზღვრებთან მასშტაბურ სამხედრო სწავლებას ატარებს

**რფ-ის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, ორმხრივი სამეთაურო-საშტაბო სწავლება რუსეთის დასავლეთისა და ცენტრალური ოლქების სამხედრო-საჰაერო და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელმძღვანელობის მონაწილეობით 4 აგვისტოს დაიწყო და 8 აგვისტომდე გაგრძელდება.**

სწავლებაში მონაწილეობს ავიაციის სხვადასხვა სახეობის 100-ზე მეტი საფრენი აპარატი: გამანადგურებლები „რუ-27" და „მიგ-31"; ბომბდამშენი „სუ-24"; მრავალფუნქციური კომპლექსები „სუ-34"; ვერტმფრენები „მი-8", „მი-24" და „მი-28H".




# ახალი სანომრე ნიშნები ძალაში სექტემბრიდან შევა

**მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილემ ნინო კობახიძემ ჟურნალისტებთან ევროპული სტანდარტის სანომრე ნიშნების შემოღების აუცილებლობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ახალი სანომრე ნიშნები ძალაში სექტემბრიდან შევა.**

„ეს არის თანამედროვე დიზაინის მქონე სანომრე ნიშანი, რომელიც ევროპელ კოლეგებთან ერთად შევიმუშავეთ. ხელისუფლების მიზანია, სანომრე ნიშნები მიუახლოვდეს საერთაშორისო სტანდარტებს. ეს ავტომფლობელებს თავიდან აარიდებს მთელ რიგ ხარვეზებს და უცხოეთში მგზავრობისას მათ გადაადგილებას უსაფრთხოსა და კომფორტულს გახდის. რაც მთავარია, სანომრე ნიშნების ფასები რჩება უცვლელი, ზოგ შემთხვევაში კი მცირდება. ახალი ნომრების შეძენა უნდა მოხდეს 2020 წლის მიწურულამდე. საუბარია 6 წელზე და ნომრის გამოცვლა არ დააწვება მძიმე ტვირთად მოსახლეობას", — განაცხადა ნინო კობახიძემ.



# უკრაინელი სამხედროები რუსეთის მხარეს გადადიან

**4 აგვისტოს 438 უკრაინელი სამხედრო მოსამსახურე, მათ შორის, მესაზღვრეები, რუსეთის ტერიტორიაზე გადავიდა და რუს მესაზღვრეებს თავშესაფარი სთხოვა. ისინი რუსეთის ტერიტორიაზე ჰუმანიტარული დერეფნის მეშვეობით დროებით შეუშვეს როსტოვის ოლქში. უკრაინელ სამხედროებს რუსეთის მოქალაქეობის მიღება სურთ.**

ექსპერტთა აზრით, ეს და სხვა შემთხვევები მოწმობს, რომ უკრაინელები, ოფიციალური კიევის პროპაგანდის მიუხედავად, რუსეთს მტრად არ მიიჩნევენ.



მოგემსახურებით მსუბუქი კომფორტული ავტომობილით სახლიდან სახლამდე
თბილისი — ბათუმი — თბილისი.
ტელ. 585-79-99-69

## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

მკურნალობა — ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;
218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**

საქართველო და მსოფლიო
ყოველკვირეული გაზეთი
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894